საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№18 (394)
17 - 23 მაისი, 2017
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## საქართველოს საგარეო ვალმა მოიმატა 10



## კავკასიელი ტყვე კაცი



7

## კლიმკინი კვირიკაშვილზე გაუშვეს 11



6

## «რომელ დამოუკიდებლობაზეა საუბარი, როცა ევროპარლამენტის გვეშინია, ევროსასამართლოსი გვეშინია, ვენეციის კომისიის გვეშინია, ელჩის გვეშინია, არასამთავრობოების გვეშინია...»

## სიკვდილის შახტი



4

„ისინი, ვინც შრომის პირობების გაუმჯობესებისთვის ან ნებისმიერი სხვა პრობლემის გადაწყვეტისთვის იბრძვიან, მალე, სავარაუდოდ, თავს იგრძნობენ პარტიზანებად ოკუპირებულ ქვეყანაში, რადგან ოლიგარქიული კაპიტალის, სახელისუფლო გუნდში გაერთიანებული მისი ლობისტებისა და სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ნარჩენების სტრატეგიული ალიანსი განუხრელად აფართოებს კონტროლის ზონას“

## «ჩიჩილაკის» «ქამინგაუთი» ფილარმონიაში 5



## «დამიწებული ოცნება» 8



## «აშშ-თან ჩვენი ძირითადი მედიატორი კვლავ მაკეინია» 2

## NDI-მ კვარტლის გეგმა 126 პროცენტით შეასრულა 3

NDI

## «საქართველოს მოსახლეობამ ვერანაირი სიკეთე, სიხარული და ბედნიერება ვერ მიიღო საბჭოთა კავშირის დაშლით» 3



საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხრესილის საკითხი, რომელიც მე სოციალურ ქსელში პოსტად დავწერე, იმის მტკიცებულებაა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ ერთი სისტემის ორი პირობითი წარმომადგენელია, აქვთ ერთი იდეოლოგიური ხაზი, რომელიც მათთვის დამახასიათებელი პოლიტიკური მანქურთიზმის დამკვიდრებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში პოლიტიკური მანქურთიზმი სწორედ ისტორიული მეხსიერების შეზღუდვაში მდგომარეობს და მსგავს მცდელობას ჩვენ უკვე რეგულარულად ვხედავთ“.**

# ხრესილის მემორიალურ დაფაზე სიტყვები «თურქი დამპყრობელი» წაშალეს

**ადვოკატმა და უფლებადამცველმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ პირად გვერდზე დაწერა, რომ ტყიბულის რაიონის სოფელ ხრესილში აღმართულ მემორიალზე, რომელიც 1757 წლის ხრესილის ბრძოლას ეძღვნება, წარწერა „თურქი დამპყრობელი“ წაშლილია და მის ნაცვლად გამოყენებულია სიტყვა „მტერი“. ეს, სავარაუდოდ, 2009 წელს მოხდა, თუმცა კონკრეტულად ვინ ან რატომ გააკეთა, უცნობია. „საქმე იქით მიდის, რომ ისტორიის სახელმძღვანელოებშიც მალე გაქრება ქართულ მხარესთან დაპირისპირებულ ისტორიულ მტერთა ვინაობა. გუშინ — ხრესილი, დღეს უკვე — დიდგორი“, — წერს დიმიტრი ლორთქიფანიძე.**
**რატომ ჩაანაცვლეს მემორიალზე „თურქი დამპყრობელი“ სიტყვით „მტერი“ და რა შეიძლება ამ საქციელს დაერქვას — ჩვეულებრივი ვანდალიზმი თუ სახელმწიფო პოლიტიკა, რომელსაც წინა და მოქმედი ხელისუფლებები მიზანმიმართულად ატარებენ?**
**— „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის დიმიტრი ლორთქიფანიძეს დაუკავშირდა.**



**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

— დიდი მადლობა თქვენს გაზეთს, რომ დაინტერესდა ამ საკითხით, ვინაიდან დიდგორის ბრძოლის დღის უქმედ გამოცხადების გამო ატეხილი ხმაურის ფონზე ეს თემა მართლაც აქტუალურია.

რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს, ხრესილის საკითხი, რომელიც მე სოციალურ ქსელში პოსტად დავწერე, იმის მტკიცებულებაა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ ერთი სისტემის ორი პირობითი წარმომადგენელია, აქვთ ერთი იდეოლოგიური ხაზი, რომელიც მათთვის დამახასიათებელი პოლიტიკური მანქურთიზმის დამკვიდრებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში, პოლიტიკური მანქურთიზმი სწორედ ისტორიული მეხსიერების შეზღუდვაში მდგომარეობს და მსგავს მცდელობას ჩვენ უკვე რეგულარულად ვხედავთ.

2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ხრესილში **ელისო ჩაფიძესთან** ერთად გახლდით, რომელიც იმხანად ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო და პატივი მივაგეთ ხრესილის ბრძოლაში დაღუპულ გმირებს. მაშინ მემორიალზე „ეპოქსიდით“ იყო წაშლილი „ოსმალო დამპყრობელი“ და მის ნაცვლად ეწერა „მტერი“, თუმცა ძველი წარწერის კვალიც ჩანდა. ბუნებრივია, ამან ძალიან გამაკვირვა და ელისოსაც ვუთხარი, რომ არ შეიძლება, ისტორიული რეალობა ასე წაიშალოს-მეთქი. მასაც ისეთივე რეაქცია ჰქონდა, როგორიც მე. ბევრი ვილაპარაკეთ. ვსაუბრობდით იმაზე, რომ დამპყრობელს დამპყრობელი უნდა ერქვას, მტერს — მტერი, ხოლო კონკრეტულ დამპყრობელზე როცაა საუბარი, კონკრეტულად უნდა ითქვას... საერთოდ, ისტორიის გაყალბება დიდი დანაშაულია ერისა და სახელმწიფოს წინაშე, იმიტომ, რომ გაყალბებული ისტორია ამახინჯებს ისტორიულ მეხსიერებას...

**— პარლამენტში შესვლის შემდეგ თუ დაინტერესდა ჩაფიძე ამ ფაქტით?**

— სიმართლე გითხრათ, მერე რა მოხდა, მოჰყვა თუ არა ამას რაიმე რეაგირება ხელისუფლების მხრიდან, თვალყური არ მიდევნებია. უბრალოდ, დიდგორობის უქმედ გამოცხადების ამბავმა გამახსენა ეს შემთხვევა.

**— რა შეიძლება ეწოდოს ამ ფაქტს — ჩვეულებრივი ვანდალიზმი თუ მიზანმიმართული პოლიტიკა?**

— ერთადერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ მსგავსი მემორიალის წარწერებში ჩარევა შესაბამისი სახელმწიფო უწყების საქმის კურსში ჩაყენების გარეშე არ ხდება. იქ საკმაოდ ოსტატურად უმუშავნიათ, თუმცა, ყოვლად წარმოუდგენელია, ეს ვინმე კერძო პირს თვითნებურად, შესაბამის სამსახურთან შეთანხმების გარეშე გაეკეთებინა. ბუნებრივია, **გამიჭირდება თქმა, კონკრეტულად ვინ და რა სამსახურები შეიძლება იდგნენ ამის უკან, მაგრამ ფაქტია, მტრის იდენტიფიცირებასა და მის მოხსენიებას კონკრეტული სახელით ამ ქვეყანაში გარკვეული ძალები ეწინააღმდეგებიან.** ამას ემსახურება გამუდმებით იმის მცდელობა, რომ ისტორიული მეხსიერება წაიშალოს და მემორიალებსა თუ სხვა ძეგლებზე კონკრეტული დეფინიცია კი არ იყოს, არამედ ერთი კრებითი სახელი — მტერი, რომელიც კონკრეტულად არავის იდენტიფიცირებას არ მოახდენს.

**— როგორ ფიქრობთ, რა პოლიტიკური ვალდებულებები აქვს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, ვთქვათ, იმავე თურქეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან — მისთვის თურქეთის საელჩოს ნოტა უფრო მნიშვნელოვანია ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას თუ საკუთარი ხალხის ნება და დაკვეთაა უმთავრესი?**

— საქართველოს ხელისუფლებას ვალდებულებები არ აქვს, საქართველოს ხელისუფლება არის მარიონეტი; და ეს მარიონეტები, ნებსით თუ უნებლიეთ, სახელმწიფოს ანგრევენ. დღეს დიდგორობას აგიკრძალავენ, ხვალ მემორიალებზე გმირების სახელებს წაგიშლიან, ზეგ მტერს მოყვარედ გამოგიცხადებენ... მათთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს. მათთვის ისტორია ჩვეულებრივი ამბავია, რომელსაც ხან ასე მოყვები, ჭორივით; ხან ისე — სად როგორ დაგჭირდება, იმის მიხედვით. ამიტომ არ უნდა მართავდნენ ქვეყანას ასეთი ადამიანები, ასეთი ხალხის ყოფნა სათავეში სახელმწიფოსთვის საშიშია...

ესაუბრა **ჯაბა ქვანია**






## თამარ კიკნაძე:

# აშშ-თან ჩვენი ძირითადი მედიატორი კვლავ მაკეინია



**„საქართველო სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადადის“, — ამბობენ ხელისუფლების წარმომადგენლები და ამ ფრაზას ყველა საინფორმაციო საშუალება იმეორებს. სტრატეგიული პარტნიორი ამერიკაა, ქვეყანა, რომელშიც საქართველოს პრემიერმინისტრს სკამსაც არ სთავაზობენ დასაჯდომად. საქართველოს ხელისუფლება ბოლო პერიოდში ხშირად იწონებს თავს საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული წარმატებებით... რა წარმატებას მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ და სწორ ნაბიჯებს დგამენ თუ არა ქართველი პოლიტიკოსები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**

**— ხელისუფლება თავს იწონებს საგარეო პოლიტიკაში მიღწეული წარმატებებით. როგორ ფიქრობთ, მართლა წარმატებულ პოლიტიკას აწარმოებს?**

— მსოფლიოში საკმაოდ რთული სიტუაციაა და უახლოეს მომავალში, ალბათ, მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი, ამიტომ პატარა საქართველოს ძალიან ფრთხილი და დაფიქრებული მოქმედება მართებს. ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი რეგულარულად იმეორებს, რომ საქართველოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ნატოსა დ ევროკავშირში გაერთიანება და რომ ამ გზას არ გადაუხვევს. ეს სიტუაცია კი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ რუსეთთან ურთიერთობების მხრივ რაღაც წარმატებაზე ვილაპარაკოთ. დღეს ნათლად ჩანს, რომ, **როგორც რუსეთში, ისე დასავლეთსა და საქართველოში საკმაოდ ძლიერი ძალები მოქმედებენ, რომლებსაც რუსეთ-საქართველოს შორის დიალოგი ხელს არ აძლევთ.**

რაც შეეხება ევროპაში მიმდინარე პროცესებს, უდავოა, რომ ევროკავშირის ერთიანობას საფრთხე ემუქრება. ბრექსიტის მწარე გაკვეთილის შემდეგ ევროკავშირის მომხრე პოლიტიკოსებმა ყველაფერი გააკეთეს, ეს რომ აღარ გამეორებულიყო ჰოლანდიასა და საფრანგეთში, მაგრამ საყურადღებოა ევროსკეპტოკოსთა და ნაციონალისტთა მკვეთრი ზრდა, რაც ახლო მომავალში ცენტრიდანულ განწყობებსა და მოძრაობებს კიდევ უფრო გააძლიერებს.

**მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში ემანუელ მაკრონმა გაიმარჯვა და ეს აღიქმება გლობალისტებისა და ევროპული სისტემის გამარჯვებად, ზოგიერთი ექსპერტი ლაპარაკობს, რომ საკითხი ასე ერთმნიშვნელოვნად არ დგას, რომ იგი არის საფინანსო კაპიტალისა და როტშილდების ფრანგულ კლანთან დაახლოებული პირი და პიარტექნოლოგიების პროდუქტი, რომელსაც საკუთარი პარტიაც კი არ ჰყავს,** მაგრამ იგი შეიძლება უფრო საშიში აღმოჩნდეს ერთიანი ევროპისთვის, ვიდრე ულტრანაციონალისტი **მარინ ლე პენი** და ნაპოლეონ III-ს მსგავსად ფრანგულ-გერმანული ალიანსის დასაშლელად იმუშაოს. ეს აზრი შეიძლება უტოპიური არ იყოს, მით უმეტეს, რომ ევროკავშირსა და ინგლისს შორის ურთიერთობა უპრობლემო არ არის. თუ ამას დავუმატებთ ტრამპის იზოლაციონისტურ განცხადებებს (თუმცა მას აშშ-ში საკმაოდ მძლავრი ოპოზიცია ჰყავს ფინანსური კლასტერების სახით), შეიძლება ვთქვათ, ამ თვალსაზრისში არის ჭეშმარიტების მარცვალი. საინტერესოა, აშშ-რუსეთის ურთიერთობაც. დღეს რუსეთის ფაქტორი გამოიყენება აშშ-ის საშინაო პოლიტიკაშიც. რამდენიმე დღის წინათ **ჰილარი კლინტონმა** განაცხადა, რუსეთის ჩარევა რომ არა, აშშ-ის პრეზიდენტი გავხდებოდიო. რუსულ კვალზე იყო ლაპარაკი საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებისას. ეს კი პუტინის პიარს ემსახურება. დღეს მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში დასავლეთისა და რუსეთის კონფრონტაციაა.

ისევ ჩვენს ქვეყანას დავუბრუნდეთ. ამ კონფრონტაციულ რეჟიმში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დიდი სიფრთხილეა საჭირო. დღევანდელი კონფლიქტების უმეტესობა, მათ შორის, ჩვენი ტერიტორიული კონფლიქტებიც, დიდი ქვეყნების ერთმანეთზე ზემოქმედების მექანიზმია.

**— საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, შეურაცხმყოფელი იყო ამერიკის პრეზიდენტის საინფორმაციო გვერდზე გამოქვეყნებული ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია ფეხზე მდგომი ქართველი პრემიერი და მაგიდასთან მჯდომი დონალდ ტრამპი...**

— უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრთან ტრამპის შეხვედრისას გადაღებული ფოტო ანალოგიურია **ტრამპისა და კვირიკაშვილის შეხვედრისა** — ტრამპი ზის, **პავლე კლიმკინი** კი დგას, სამაგიეროდ, ძალიან შთამბეჭდავი იყო **სერგეი ლავროვთან** შეხვედრის ფოტოები.

ჩვენი პრემიერი ჯერ ვიცეპრეზიდენტ **მაიკ პენსს** შეხვდა, შემდეგ — ტრამპს. ნებისმიერ შემთხვევაში, შეხვედრა გაიმართა. ეს ცუდი არ არის, მაგრამ კადრებში ვნახეთ, რომ ამ შეხვედრაზე იყო **მაკეინიც**, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აშშ-თან ჩვენი ძირითადი მედიატორი კვლავ მაკეინია, მისი განწყობები კი ჩვენ კარგად მოგვეხსენება.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„ობიექტური რეფერენდუმი თუ ჩატარდება, დავინახავთ, რომ სინამდვილეში ქართველ ხალხს, არათუ შესვლა არ სურს ნატოში, გაცნობიერებული აქვს ის უმძიმესი შედეგები, რომლებიც არც ისე შორეულ მომავალში შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისთვის ამ ორგანიზაციისკენ სწრაფვის უპერსპექტივო პოლიტიკას“.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# NDI-მ კვარტლის გეგმა 126 პროცენტით შეასრულა

**ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა მორიგი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. კვლევა, საზოგადოდ, ბევრ ციფრსა და შედეგს მოიცავს, მაგრამ ყველაზე საინტერესოა ის, რომ, გამოკითხულთა (საერთო ჯამში, 2493 ადამიანი გამოიკითხა) 42%-ის აზრით, საქართველოსთვის საბჭოთა კავშირის დაშლა ცუდი მოვლენა იყო. დემოკრატიული ინსტიტუტის მკვლევარები ამბობენ, რომ ასეთი თვალსაზრისი, ძირითადად, სოფლისა და დაბის ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ადამიანებს აქვთ. გამოკითხულთა 84% ფიქრობს, რომ საქართველოს სწრაფვა ნატოსა და ევროკავშირისკენ კარგია.**

სანამ ძირითად საკითხზე გადავალთ, გეტყვით, რომ, 2012 წლისა და იმის შემდგომ არჩევნებზეც 30-40%-იანი ცდომილებების მიუხედავად, NDI-ის ხელმძღვანელობა ჯიუტად ამტკიცებს, რომ ამ გამოკითხვებში ცდომილება +-2.7%-ია.

არადა, ლოგიკას რომ მივყვეთ, ის ადამიანი, რომელიც ამბობს, საბჭოთა კავშირის დანგრევა ცუდი იყოო, პრაქტიკულად, გამორიცხულია, ნატოს წევრობაზე ფიქრობდეს. პირიქით — მათი თხოვნაც, მოთხოვნაც და ფიქრიც არის ის, რომ, როგორმე ისევ რუსეთისკენ აიღოს კურსი ქვეყანამ, რომ მეზობელთან თბილი ურთიერთობები დამყარდეს და ქართული პროდუქციისთვის მსოფლიოს უდიდესი ბაზარი ისევ ხელმისაწვდომი გახდეს. ანუ თუ 42 პროცენტი მიიჩნევს რომ საბჭოთა კავშირის დაშლა ცუდი იყო, შესაბამისად არ ემხრობა ნატოსკენ სწრაფვას, 84 პროცენტი როგორღა იქნება ნატოსკენ და ევროკავშირისკენ სწრაფვის მომხრე, 42+84 ხომ 126 პროცენტია? ენდიამ სოციაოლოგიური კვლევა ჩატაარა თუ „სოცშეჯიბრი“ სიცრუის ტირაჟირებაში და კვარტლის გეგმა 126 პროცენტით შეასრულა?

NDI-ის კვლევების მიხედვით ან ნატოს მოსურნე ადამიანების პროცენტული რაოდენობა არის ხელოვნურად გაზრდილი ან იმ ადამიანების რაოდენობაა მომატებული, რომლებისთვისაც საქართველოსთვის საბჭოთა კავშირის დაშლა ცუდი მოვლენა იყო (ჯამში, ორივე კატეგორიის ადამიანების პროცენტული რაოდენობა 126%-ია). და ამას ის +-2.7%-იც რომ ჩამოვაკლოთ თუ მივუმატოთ, მაინც არაფერი ეშველება. თავისივე ციფრებში ახლართული NDI-ის დირექტორი ამაზე დუმს, მაგრამ ფაქტია, რომ წლების განმავლობაში ეს ინსტიტუტი ვიღაცის და რაღაცის ინტერესებს ემსახურება და, წლებია, ხელისუფლება გაიძახის, მათი კვლევების არ გვჯერაო. თუ არ გჯერათ, საერთოდ აკრძალეთ, თქვე კაი ხალხო, მაგრამ... NDI-ის რა მოვთხოვოთ, როცა ციფრებში უკვე „ქართული ოცნებაც“ აიხლართა და, ახალი კონსტიტუციის პროექტს თუ დავუჯერებთ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში შეიძლება ისე მოხდეს, რომ პირველ ადგილზე პარტია 30 მანდატით გავიდეს, საბოლოო ჯამში კი საკონსტიტუციო უმრავლესობა ერგოს, ამიტომ ხელისუფლებასაც სჭირდება ერთი ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ციფრებს არასწორად დაითვლის და 100%-იან ზღვარს გასცდება. რისთვის? იმისთვის, რომ ხალხის აზრი არაფრად ჩააგდონ და ყველას დაანახვონ, რომ ნატო გვინდა, ევროკავშირი გვინდა და...

მერე რა, თუ დაბებსა და სოფლებში, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ხალხი სხვანაირად ფიქრობს. არადა, **ამბობენ, ციფრები არასდროს ტყუისო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს NDI-ის ოფისზე არ ვრცელდება.**

**ბესო ბარბაქაძე**

**ლოგიკას რომ მივყვეთ, ის ადამიანი, რომელიც ამბობს, საბჭოთა კავშირის დანგრევა ცუდი იყოო, პრაქტიკულად, გამორიცხულია, ნატოს წევრობაზე ფიქრობდეს. პირიქით — მათი თხოვნაც, მოთხოვნაც და ფიქრიც არის ის, რომ, როგორმე ისევ რუსეთისკენ აიღოს კურსი ქვეყანამ, რათა მეზობელთან თბილი ურთიერთობები დამყარდეს და ქართული პროდუქციისთვის მსოფლიოს უდიდესი ბაზარი ისევ ხელმისაწვდომი გახდეს**

## მრავალშვილიან ოჯახებს პატრიარქის კურთხევით «მამულისთვის თავდადებული მშობლების» სიგელი გადაეცემა

**17 მაისს ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში 7 და მეტშვილიან ოჯახებს, პატრიარქის კურთხევით, „მამულისთვის თავდადებული მშობლების“ სიგელი გადაეცემა.**

მრავალშვილიან ოჯახებს სამების ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი) დალოცავს. სასულიერო პირები კი მათ „მამულისთვის თავდადებული მშობლების“ სიგელს გადასცემენ. დალოცვის ცერემონიაზე 7 და მეტშვილიანი 100 ოჯახი შვილებთან ერთად იქნება წარმოდგენილი.



# «საქართველოს მოსახლეობამ ვერანაირი სიკეთე, სიხარული და ბედნიერება ვერ მიიღო საბჭოთა კავშირის დაშლით»

**ამერიკის „ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა“ (NDI) მორიგი სოციოლოგიური კვლევის შედეგი გამოაქვეყნა. კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 48 პროცენტი მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა კარგი იყო, 42 პროცენტი ამ მოვლენას უარყოფითად აფასებს, 10 პროცენტს კი პასუხი არ აქვს, თუმცა, როგორც „ენ-დი-აის“ წარმომადგენლები აცხადებენ, იმ ადამიანთა უმეტესობა, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლას უარყოფით მოვლენად მიიჩნევენ, მაინც ევროკავშირში გაერთიანების მომხრეა....არის კი ზუსტი „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული კვლევა, რაზე მიანიშნებს ამ კვლევაში მოცემული ციფრები და რატომ აფასებს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოთა კავშირის დაშლას უარყოფით მოვლენად? გვესუბრება ექსპერტი ვალერი კვარაცხელია:**



— მე, როგორც სოციოლოგიის პროფესორმა, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს გამოკვლევები და არა მხოლოდ „ენ-დი-აის“, არამედ საერთოდ, რასაც ჰქვია ემპირიული სოციოლოგია (გამოყენებითი სოციოლოგია), დიდი ხანია, ჩამდგარია გარკვეული პროპაგანდის სამსახურში; და ამას ახლა კი არ აკეთებენ, დასავლური სოციოლოგია თავის არსებობის განმავლობაში ამ მიმართულებით მუშაობდა.

რაც შეეხება კონკრეტულად იმ 42 პროცენტს, რომელიც მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა უარყოფითი მოვლენა იყო (თუნდაც ვენდოთ ამ ციფრებს), ვთქვათ: **42 პროცენტი ხომ თითქმის ნახევარია?!** ეს იმას ნიშნავს, რომ **ჩვენმა მოსახლეობამ ვერანაირი სიკეთე, ვერანაირი სიხარული და ბედნიერება საბჭოთა კავშირის დაშლით ვერ მიიღო; და ვერ მიიღო ვერც ერთი მიმართულებით — ვერც ეკონომიკურად, ვერც მატერიალურად, ვერც სოციალურად, ვერც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მხრივ, მათ შორის, სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისითაც.** დღეს ხომ თითქოს არის სიტყვის თავისუფლება, **სინამდვილეში ყველაფერი უზურპირებული აქვს დასავლეთს, დასავლურ მედიასა და პროპაგანდას. ყველა წამყვანი მედიასაშუალება მათ ემსახურება. არადა, გაჰყვირიან, წალეკა ქვეყანა რუსულმა პროპაგანდამო.** რუსული პროპაგანდა კი არა, რუსეთის ხსენებისა ეშინია ხალხს. ტერორია პირდაპირ. **განსხვავებული აზრისადმი პატივისცემას ქადაგებენ და, ვინც განსხვავებულად ფიქრობს, ლამის ჩაქოლონ.** გზას არ გიტოვებენ — ან **მათი ყურმოჭრილი მონა უნდა იყო და მათ იდეოლოგიას, მათ პროპაგანდას ემსახურო, ან ქვეყნის მტერი ხარ და „ბნელ საბჭოთა“ წარსულს მისტირი. აი, ეს არის მათი დემოკრატია და თანასწორობა.** ამ ყველაფრის ფონზე ვინმეს შეიძლება უკვირდეს, რატომ მიაჩნია საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს საბჭოთა კავშირის დაშლა უარყოფით მოვლენად? ამაში გასაკვირი არაფერია. რა პროპაგანდაც უნდა მუშაობდეს, საზოგადოება ყოველთვის ხვდება, რა არის კარგი და რა — ცუდი, რა ჯობია ან ჯობდა და რა — არა....

**— დღეს რეფერენდუმი რომ ჩატარდეს ნატოში შესვლა-არშესვლის საკითხზე, როგორ შედეგს მივიღებთ?**

— კონკრეტულ მონაცემს, ბუნებრივია, ვერ დაგისახელებთ, მაგრამ ვფიქრობ, **ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის მომხრეთა რაოდენობა წლების წინათ გაცილებით მეტი იყო. ეს იმიტომ, რომ დასავლური პროპაგანდა მას ჩვენი უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და განვითარების ერთადერთ გარანტად ხატავდა, მაგრამ ეს მითი ნელ-ნელა დაიმსხვრა.** დღეს, რა თქმა უნდა, გაცილებით ნაკლებია იმ ადამიანების რაოდენობა. და, **ობიექტური რეფერენდუმი თუ ჩატარდება, დავინახავთ, რომ სინამდვილეში ქართველ ხალხს, არათუ შესვლა არ სურს ნატოში, გაცნობიერებული აქვს ის უმძიმესი შედეგები, რომლებიც არც ისე შორეულ მომავალში შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისთვის ამ ორგანიზაციისკენ სწრაფვის უპერსპექტივო პოლიტიკას.** კიდევ ვიმეორებ: ეს კურსი არის საქართველოს სრული განადგურების, გაჩანაგებისა და უპერსპექტივობის კურსი, ამიტომ ქართველმა ხალხმა უნდა გააცნობიეროს, რომ, ძირეულად თუ არ შეცვალა მიდგომები საგარეო-პოლიტიკური ორიენტირების თვალსაზრისით, საქართველოს საბოლოოდ მოსპობისა და განადგურების დღე (დაწყებული დემოგრაფიით, დამთავრებული მისი ტერიტორიული მთლიანობით) სწრაფად მოახლოვდება.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«განსხვავებული აზრისადმი პატივისცემას ქადაგებენ და, ვინც განსხვავებულად ფიქრობს, ლამის ჩაქოლონ. გზას არ გიტოვებენ — ან მათი ყურმოჭრილი მონა უნდა იყო და მათ იდეოლოგიას, მათ პროპაგანდას ემსახურო, ან ქვეყნის მტერი ხარ და «ბნელ საბჭოთა» წარსულს მისტირი. აი, ეს არის მათი დემოკრატია და თანასწორობა»**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**პროფკავშირების მონაცემებით, 2007-2016 წლებში საქართველოში საწარმოო ტრავმებისგან 416 ადამიანი დაიღუპა, 716 კი — მძიმედ დაშავდა. ზედამხედველი ინსტანციების უფლებები შეზღუდულია, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი გულგრილია, ქართველი ბიზნესმენების დიდი ნაწილი კი ნებისმიერ დანაშაულზე არათუ 300, არამედ 30 პროცენტისთვისაც წავა.**

**გასული კვირა დაიწყო ტრაგედიით ტყიბულში და თანმდევმა დისკუსიამ ნათლად აჩვენა, რომ შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სიტუაცია კატასტროფულია. სამწუხაროდ, ეროვნული ხასიათის თავისებურებებიდან გამომდინარე, ჩვენ არ ვაქცევთ ყურადღებას პრობლემას, სანამ უბედურება არ მოხდება.**

# სიკვდილის შახტი



**ისინი, ვინც შრომის პირობების გაუმჯობესებისთვის ან ნებისმიერი სხვა პრობლემის გადაწყვეტისთვის იბრძვიან, მალე, სავარაუდოდ, თავს იგრძნობენ პარტიზანებად ოკუპირებულ ქვეყანაში, რადგან ოლიგარქიული კაპიტალის, სახელისუფლო გუნდში გაერთიანებული მისი ლობისტებისა და სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ნარჩენების სტრატეგიული ალიანსი განუხრელად აფართოებს კონტროლის ზონას, საზოგადოება კი მოჯადოებულ წრეში ტრიალებს და უსამართლობის აღმოფხვრა არ ძალუძს**

მეშახტეების დაღუპვის შემდეგ ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ქვეყანას ფართო უფლებებით აღჭურვილი შრომის ინსპექცია სჭირდება. ის 2006 წელს მიხეილ სააკაშვილმა გააუქმა. საქართველო, ეკონომიკის მდგომარეობიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ დაინტერესებულია ინვესტიციების მოზიდვით და სააკაშვილის რეჟიმი ვარაუდობდა, რომ შემზღუდავი რეგულაციების მოხსნის და მართლაც რომ მონათმფლობელური შრომის კოდექსის დამტკიცების ხარჯზე ინვესტორებს დააინტერესებდა. შრომის ინსპექცია, 2006 წლის მდგომარეობით, არაეფექტიან, კორუმპირებულ სტრუქტურას წარმოადგენდა, მაგრამ ის მოითხოვდა რეფორმას და არა გაუქმებას. სტრატეგიულად მცდარი გადაწყვეტილების გამო, უბედური შემთხვევების რაოდენობამ იმატა და ამას არავინ უარყოფს, თუმცა არის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც — ძველი, ხშირ შემთხვევაში ჯერ კიდევ საბჭოთა დანადგარების ცვეთა, ტექნიკური კულტურის ზოგადი დაცემა, ფართოდ გავრცელებული აგდებული დამოკიდებულება უსაფრთხოების ნორმების მიმართ და სხვ.

ინსპექციის გაუქმების შემდეგ მისი ძირითადი ფუნქციები გადანაწილდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტზე (შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) და ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოზე (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო). პრობლემა ისაა, რომ ინსპექტირების დეპარტამენტი პრაქტიკულად უუფლებოა — საწარმოთა მეპატრონეებთან შეთანხმების საფუძველზე უნდა იმოქმედოს და მხოლოდ რეკომენდაციებით შემოიფარგლოს, რომელთა გათვალისწინება სავალდებულო არაა.

**მას შემდეგ, რაც ტყიბულში 4 მეშახტე დაიღუპა, ჯანდაცვისა და ეკონომიკის მინისტრების ერთობლივი ბრძანების საფუძველზე შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ორი ზემოთ ნახსენები სტრუქტურის სპეციალისტებით დაკომპლექტდება და მაღალი რისკის საწარმოებში იმუშავებს. გაუგებარია, რა უშლიდა ხელს ამ ჯგუფის შექმნას ტყიბულის ტრაგედიამდე და ბუნდოვანია, რა უფლებები ექნება მას. ცხადია, ეს პალიატიური ზომა განსაკუთრებულ შედეგს ვერ მოიტანს, თუმცა იგულისხმება, რომ მალე დასრულდება მუშაობა ახალ კანონპროექტზე „შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და პარლამენტი მას ფორსირებულ რეჟიმში მიიღებს.**

ზედამხედველობის სააგენტოს მაღალი რისკის საწარმოების შემოწმების, კომპანიების დაჯარიმებისა და სამუშაო პროცესის შეჩერების უფლება აქვს, მაგრამ ეს სიტუაციას ვერ აუმჯობესებს. „აიპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის“ ცენტრის სოციალური უფლებების პროგრამის დირექტორმა **ლინა ღვინიანიძემ** განაცხადა, რომ სააგენტოს სპეციალისტებს „10-ზე მეტი შესვლა აქვთ განხორციელებული ტყიბულის შახტებში, 2015 წლის ჩათვლით გვაქვს ჩვენ ეს მონაცემი და რამდენიმე ათასი ლარით არის დაჯარიმებული ტყიბულის შახტი სააგენტოს მხრიდან. მახსოვს, რომ მინიმალური ასეთი სანქცია იყო 100 ლარი და მაქსიმალური იყო 9900 ლარი“. ცხადია, ასეთი ჯარიმები ვერ აიძულებს მსხვილ კომპანიებს, პრობლემების გადაწყვეტაზე იზრუნონ.

ევროკავშირთან დაახლოების პროცესში საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარ თავზე აიღო ვალდებულება, შექმნას ფართო უფლებების მქონე შრომის ინსპექცია და ეტაპობრივად დანერგოს (მათ შორის) ის რეგულაციები, რომლებიც მაღალი რისკის საწარმოებში მუშაობას უფრო უსაფრთხოს გახდის. „ეს ვალდებულება გამომდინარეობს არა მხოლოდ ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმებიდან, არამედ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებიდან“, — აცხადებს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი იანოშ ჰერმანი. დღეს ქართველი ბიზნესმენების ნაწილი და მათი ლობისტები დროის გაწელვაზე გადავიდნენ და პარალელურად ცდილობენ, შეაშინონ საზოგადოება იმით, რომ ევროპულთან მიახლოებული უსაფრთხოების ნორმების დანერგვა ნახშირის მოპოვებას (ან სხვა საქმიანობას) არარენტაბელურს გახდის, რომლის შედეგადაც შახტები თუ სხვა საწარმოები დაიხურება და ათასობით ოჯახი უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდება.

**ასეთ დროს საზოგადოება ურთულესი მორალური დილემის წინაშე დგება – გაიზიაროს ბიზნესმენების არგუმენტები და დათანხმდეს „სიკვდილთან თამაშის“ გაგრძელებას თუ ბოლომდე „მიაწვეს“ და შრომის ცივილიზებული პირობების უზრუნველყოფა მოსთხოვოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს საწარმოების დახურვის რისკს ზრდის და ამის წინააღმდეგ შეიძლება შრომითი კოლექტივები წავიდნენ, ანუ ის ადამიანები, რომელთა უფლებების დაცვას ცდილობენ პროფკავშირები თუ სამოქალაქო აქტივისტები**. დისკუსიაში ჩართულთა უმრავლესობა მეორე ვარიანტს ემხრობა, მიუხედავად იმისა, რომ ოპონენტები მათ რადიკალურ მემარცხენეობაში ადანაშაულებენ. სწორედ ასეთ მომენტებში მოქალაქეებმა შეიძლება იგრძნონ, რამდენად ღარიბი ქვეყანაა საქართველო და რამდენად უსუსურია მისი ხელისუფლება და საზოგადოება, რომელსაც იმ პრობლემების გადაწყვეტა არ შეუძლია, რომელიც ცივილიზებულმა სამყარომ, ათწლეულებია, დღის წესრიგიდან მოხსნა.

„თუ არსებობს საკმარისი მოგება, კაპიტალი თამამი ხდება. უზრუნველყავით 10% და კაპიტალი თანახმაა ნებისმიერ გამოყენებაზე, 20%-ზე მას გამოცოცხლება ეტყობა, 50%-ის გულისთვის ნამდვილად თანახმაა, კისერი მოიტეხოს, 100%-ზე ყველა ადამიანურ კანონს თელავს და არ არსებობს ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენას ის ვერ გაბედავს, როდესაც საქმე 300-პროცენტიან მოგებას ეხება, თუნდაც მას სახრჩობელა ემუქრებოდეს. მტკიცებულება: კონტრაბანდა და მონებით ვაჭრობა“, — ამ სიტყვებს კარლ მარქსს მიაწერენ, სინამდვილეში ის ბრიტანელ პუბლიცისტსა და პროფკავშირების აქტივისტ **თომას დანინგს** ეკუთვნის (მარქსმა, უბრალოდ, მისი ციტატა გამოიყენა).

პროფკავშირების მონაცემებით, 2007-2016 წლებში საქართველოში საწარმოო ტრავმებისგან 416 ადამიანი დაიღუპა, 716 კი — მძიმედ დაშავდა. ზედამხედველი ინსტანციების უფლებები შეზღუდულია, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი გულგრილია, ქართველი ბიზნესმენების დიდი ნაწილი კი ნებისმიერ დანაშაულზე არათუ 300, არამედ 30 პროცენტისთვისაც წავა. არსებობდა ერთი საშუალება, რომელსაც სიტუაციის შეცვლა შეეძლო: თუ ქვეყანაში გაიმართებოდა თუნდაც ერთი ხმაურიანი სასამართლო პროცესი, რომლის დროსაც დადგინდებოდა, რომ ესა თუ ის კომპანია დამნაშავეა თანამშრომლის დაღუპვაში და მისი მფლობელები ან თუნდაც მენეჯმენტის წარმომადგენლები სათანადოდ დაისჯებოდნენ, შეიქმნებოდა მნიშვნელოვანი პრეცენდენტი და სხვა კომპანიები თავის პოლიტიკას შეცვლიდნენ, მაგრამ ეს არ მომხდარა.

„ნეტგაზეთის“ ინფორმაციით, სასამართლოებში შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის შესახებ (სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლი) 2015-17 წლებში 56 პირის მიმართ 48 საქმე განიხილეს. ამ საქმეებიდან 41 პირის მიმართ, საპროცესო შეთანხმებით, სისხლის სამართლის 35 საქმე დასრულდა, პატიმრობა კი მხოლოდ 4 პირს შეეფარდა.

ამ საქმეებიდან არც ერთი არ მოქცეულა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. აღსანიშნავია, რომ დაღუპულთა ოჯახების წევრები ხშირ შემთხვევაში კომპანიებთან შეთანხმებასა და კომპენსაციების აღებას ამჯობინებენ და სასამართლოებსა თუ უფლებადაცვით ორგანიზაციებში სირბილისგან თავს იკავებენ. მათ არავინ ამტყუნებს, რადგან საუბარია უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანებზე



ქვეყანაში, სადაც ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ ძალზე დაბალია.

სხვაგვარი დამოკიდებულება წარმოუდგენელია, მაშინ, როდესაც ივანიშვილის ხელისუფლება და იუსტიციის საბჭოს ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებენ, რათა სისტემაში სააკაშვილ-ადეიშვილის მორჩილი მოსამართლეები დატოვონ, სავარაუდოდ, იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში უპრობლემოდ მართონ. მხოლოდ ერთი მაგალითი: 11 მაისს იუსტიციის საბჭომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში მოსამართლედ მერაბ ლომიძე დანიშნა. ეს მოსამართლე არაერთგზის დაადანაშაულეს იმაში, რომ მან თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2009 წლის 15 ივნისის სადისტური დარბევის შემდეგ, საშინლად ნაცემი დაჩი ცაგურიას ადვოკატი პროცესს არ დაასწრო (შესაბამისი მოთხოვნა სხდომის ოქმშიც არ შეიტანეს). იყო სხვა საქმეებიც; ციტატა კრებულიდან „უუფლებობის ზონა“, რომელიც „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ 2009 წელს გამოსცა: „საქალაქო სასამართლომ „ობიექტივს“ საბოლოოდ უთხრა უარი ლიცენზიის აღდგენასა და დაბრუნებაზე, რომელიც უკანონოდ აქვს გადაცემული უშიშროების სტრუქტურის ტელეკომპანია „ალანიას“. მოსამართლე მერაბ ლომიძემ ჟურნალისტი ირმა ინაშვილი სხდომიდან გააძევა და დააჯარიმა იმის გამო, რომ ინაშვილმა ლომიძეს „პოლიტიკური მოსამართლე“ უწოდა და შეახსენა, რომ ამ უკანონო განაჩენისთვის ის აუცილებლად დაისჯებოდა“. 2012-ში კი სააპელაციო სასამართლოში მერაბ ლომიძემ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე ბიძინა ივანიშვილს მრავალმილიონიანი, აშკარად პოლიტიკური ჯარიმის გადახდა დაეკისრა. მსგავსი წარსული 11 მაისს დანიშნულ ზოგიერთ სხვა მოსამართლესაც აქვს. შესაძლოა, სწორედ ამ დანიშვნების გადასაფარად ხელისუფლების პროპაგანდისტულმა მანქანამ სცადა, წინა პლანზე გირგვლიანის საქმის მოსამართლის — გიორგი ჩემიას საკითხი გამოეტანა (მან საჭირო რაოდენობის ხმები ვერ მოაგროვა). სასამართლოს მიმართ რა ნდობაზე შეიძლება საუბარი ასეთ ვითარებაში?

ისინი, ვინც შრომის პირობების გაუმჯობესებისთვის ან ნებისმიერი სხვა პრობლემის გადაწყვეტისთვის იბრძვიან, მალე, სავარაუდოდ, თავს იგრძნობენ პარტიზანებად ოკუპირებულ ქვეყანაში, რადგან ოლიგარქიული კაპიტალის, სახელისუფლო გუნდში გაერთიანებული მისი ლობისტებისა და სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ნარჩენების სტრატეგიული ალიანსი განუხრელად აფართოებს კონტროლის ზონას, საზოგადოება კი მოჯადოებულ წრეში ტრიალებს და უსამართლობის აღმოფხვრა არ ძალუძს.

**საქართველოს რეგიონებში „დავარცხნილ აკადემიურ“ განხილვებს მიჩვეულმა პარლამენტის თავმჯდომარემ აშკარად ვერ აიტანა „უზრდელი“ თბილისელებისგან ობსტრუქცია და, რომ იტყვიან, „რამსები“ აერია შავ ჩიჩილაკიანს — სულ კომუნისტები გვეძახა დამსწრე საზოგადოებას: კომუნიზმი და განათლება შეუთავსებელიაო, კომუნიზმი დამთავრდა საქართველოში და ჩვენ ილიას გზით მივდივართო და ა.შ., ათასი სისულელე.**



ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ჩიჩილაკის» «ქამინგაუტი» ფილარმონიაში

**როგორ მიყვარდა გაზაფხულის ულამაზესი თვე — მაისი 2012 წლს 17 მაისამდე, როდესაც ქართველმა ლგბტ-პედერასტებმა პირველი გეიაღლუმის ჩატარება სცადს, თუმცა რაღა სცადეს — 51-ე სკოლასთან შეკრებილებმა თავიანთი ამაზრზენი შინაარსის პლაკატებითურთ მშვიდობიანად მიაღწიეს კინოს სახლამდე, სადაც, ბედად, მაშინდელი წინააღმდეგობის მოძრაობის ბიჭებთან ერთად მეც გახლდით და, როცა მივხვდით, რასთან გვქონდა საქმე, სოსო მანჯავიძე (დღეს თბილისის საკრებულოს ერთ-ერთი პატრიოტი დეპუტატი), კოტე ინაშვილი (ირმა ინაშვილის ძმა და „ტელეობიექტივის“ ერთ-ერთი ნიჭიერი წამყვანი) და მე წინ გადავუდექით რუსთაველის გამზირის წაბილწვის მსურველ ჰომოსექსუალებს, გამვლელ-გამომვლელი ხალხიც მოვიყვანეთ გონს და დაახლოებით 50-60 პედერასტის აღლუმი შევაჩერეთ. როცა შეიქნა ერთი გაწევ-გამოწევა და ატყდა წივილ-კივილი, სოსო მანჯავიძემ ერთ-ერთ პედერასტს „მამაშვილური“ ალიყური აჭამა. მოკლედ, ის აღლუმი ქსენოფობმა და ჰომოფობმა ქართველებმა ჩავშალეთ.**

## ერთი აქეთ მოიხედე, ყმაწვილო! არც მეფეს, არც პატრიარქს, არც პრეზიდენტს და არც არავის აქვს უფლება ქართული მიწა-წყლის გაყიდვის!

ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ, „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქტორმა მაცნობა, რომ სადღაც კანდელაკის ქუჩის პარალელურ ქუჩაზე განთავსებული იყო ნობელიანტი, მაგრამ პედერასტი მწერლის — **ჰაინრიხ ბიოლის** სახელობის ფონდი, სადაც დაგეგმილა ხსენებული პირველი გეიაღლუმი და მთხოვა, რაღაც პედერასტული ფილმის ჩვენებას აპირებენ და იქნებ მიხვიდე, სტატია დაწეროო. კონსპირაციისთვის ვარდისფერი კოლჰოტები ვერ ჩავიცვი და კაცურად გამოწყობილი აღმოვჩნდი პედერასტების შეკრების ადგილას, მაშინვე იყნოსეს, რომ მე არ ვიყავი მათი ამქრის წევრი. აი, იქ გავიგე პირველად სიტყვა „ქამინგაუტი“, რაც თურმე იმას ნიშნავს, რომ მავანი პედერასტი გამოუტყდება სამეგობროს ან ოჯახს, რომ გეია ან ლესბოსელი. რაც შეეხება ფილმს, როგორც კი დაიწყო, ტანში გამცრა, რადგან სწორედ ჩვენ მიერ ჩაშლილი გეიაღლუმის დოკუმენტური კადრები ამოძრავდა ეკრანზე და ვფიქრობდი, აი ახლა გამოვჩნდები ეკრანზე, როგორ ვალეწავ თავზე ბანერს იმ პედერასტს, რომელსაც შემდეგ **სოსო მანჯავიძემ** ალიყური აჭამა-მეთქი, მაგრამ გადავრჩი...

ამასობაში ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა და სწორედ მას მოუწყვეს ნაცებმა პროვოკაცია 2013 წლის 17 მაისს. ეს არშემდგარი გეიაღლუმი ტაბურეტიანი მღვდლების აქციითაც არის ცნობილი... და აი აქ ჩვენმა საყვარელმა პატრიარქმა გააკეთა გენიალური სვლა — 17 მაისი ოჯახური სიწმინდის, ტრადიციების დაცვის დღედ გამოაცხადა და, აბა, 2014, 2015, 2016 წლებში რაღას გაბედავდნენ წმინდა ხატებით ხელში ასიათასობით თბილისელისა თუ თბილისის სტუმრების თვალწინ?! იგივეა დაგეგმილი წელსაც — გეიაღლუმის საფრთხე არ გვემუქრება, მაგრამ...

### ერთი აქეთ მოიხედე, ყმაწვილო!

არა, ჩემს გაჩენაში ღმერთი არ ურევია: ჩემი კლასელი იყო გაქანებული მიშარასტი — **მეუფე გრიგოლი**, რომელსაც მეუფე ყანდური შევარქვი; ჩემი ალალი დეიდაშვილია ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი **მაია ფანჯიკიძე**, სიძედ მეკუთვნის ყოფილი თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ალასანია**, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემი მძაფრი კრიტიკის ობიექტები (ყანდური ჭირსაც წაუღია) სწორედ ეს ჩემი ახლობელი ადამიანები აღმოჩნდენ, რის გამოც სამუდამოდ დავკაგე ჩემი სისხლი და ხორცი!

რა ვქნა, ჩემი სამშობლოს ნებსითი თუ უნებლიე მტერი შვილი არ მინდა!

ახლა არის და, ფილარმონიაში უგვანო (და ეს რბილად არის ნათქვამი) საქციელის გამო პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძის** „მიწაში ჩადება“ მიწევს, რომლის დედასთან, **თამრიკო ზაალიშვილთან** ერთად დავამთავრე 51-ე საშუალო სკოლა (ერთ კლასში), ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის მამა, **გიორგი კობახიძე**, ცოტა ხნის წინათ ნინო ბურჯანაძის პარტიის არცთუ რიგითი წევრი იყო, რომელსაც შვილისგან დიამეტრულად განსხვავებული რიტორიკა ჰქონდა რუსეთის მიმართ.

ჰოდა, **საქართველოს რეგიონებში „დავარცხნილ აკადემიურ“ განხილვებს მიჩვეულმა პარლამენტის თავმჯდომარემ აშკარად ვერ აიტანა „უზრდელი“ თბილისელებისგან ობსტრუქცია და, რომ იტყვიან, „რამსები“ აერია შავ ჩიჩილაკიანს — სულ კომუნისტები გვეძახა დამსწრე საზოგადოებას: კომუნიზმი და განათლება შეუთავსებელიაო, კომუნიზმი დამთავრდა საქართველოში და ჩვენ ილიას გზით მივდივართო და ა.შ., ათასი სისულელე.**

ჰოდა, ერთი აქეთ მოიხედე, ყმაწვილო!

ჩამოგითვალო კომუნისტებისდროინდელი მეცნიერებისა თუ მწერლობის, ხელოვნების კორიფეები? აქვს აზრი?.. **რაც შეეხება ილიას გზით სიარულს, შენ ისევე იცი ილია, აკაკი, ვაჟა, როგორც მე — ჩინური!**

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“-ო 20 წლის ილიამ თქვა; „დამეხსენი, ჩრდილოელო“ ყმაწვილმა აკაკიმ დაწერა, მაგრამ, წლების განმავლობაში დაბრძენებულები, აი რას ამბობდნენ ილიაცა და აკაკიც:




**ქართული მიწების არგაყიდვის კანონს მაინც ჩაგაწერინებთ კონსტიტუციაში, ისევე, როგორც ოჯახის ცნების განმარტებას, რომელსაც წინასაარჩევნოდ პოპულისტურად შეგვპირდით, მაგრამ ბოლო პერიოდში წაუყრუეთ... არც მეფეს, არც პატრიარქს, არც პრეზიდენტს და არც არავის აქვს უფლება ქართული მიწა-წყლის გაყიდვისა, — ბრძანებს პატრიარქი და ამ სიტყვებს ქართველი ხალხი ჩაგაწერინებთ კონსტიტუციაში!**

**„ოც საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულს ასპარეზზედ გამოსულა. ამ ხანგრძლივ დროთა მიმავლობაში ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი სჭერია და მეორეში გუთანი და ამ ყოფით და ვაი-ვაგლახით გაუტარებია ეს აუარებელი დრო“,** — ასე წერდა თერგდალეულთა აღიარებული ბელადი, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე **ილია ჭავჭავაძე** და საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მტკიცდებოდა, მშვიდობისა და პროგრესის გადამწყვეტი ფაქტორი იყო. მას წარმოუდგენლად მიაჩნდა თავისი სამშობლოს განვითარება რუსეთთან ძმური კავშირის გარეშე. ამ მხრივ გამოირჩევა სტატია **„ასის წლის წინათ“** (1899 წ.), რომელიც მან რუსეთის ჯარის თბილისში შემოსვლის ას წლისთავს მიუძღვნა:

**„ამ ღირსახსოვარი დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა... დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დაუდუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრის ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე. გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა მიწას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადღა დაგვრჩა, დაუდგა ახალი ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა...“** (ტ.. IV. გვ. 216-217).

**„ჩვენმა სამშობლომ, — წერდა აკაკი წერეთელი 1872 წელს, — მრავალი საუკუნის განმავლობაში მტრებთან ბრძოლის, სისხლისღვრის, ტანჯვისა და ბევრი უბედურების გამოცდის შემდეგ, თავის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის, გადაწყვიტა თავისი ბედი მით, რომ მონახა სასურველი პატრონი, რომელსაც შეავედრა და მიანდო თავისი თავი. იმ ახალ პატრონს, ცხადია, იმ დროის საქართველოს სიკეთე ჰსურდა და მიტომაც მიიღო ის თავის მფარველობაში“.**

გავიხსენოთ, მაგალითად, აკაკის პოემა **„თერთმეტი ენკენისთვე“** (1895). დიდი მგოსანი აგვიწერს ასი წლის წინათ მომხდარ კრწანისის ტრაგედიას, მოგვაგონებს უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული გმირების სისხლით დაწერილ ანდერძს რუსეთთან კავშირის აუცილებლობის შესახებ.

**„კავშირი ძმური და**
**მეგობრული...**
**და, ვინც იფიქროს**
**მისი გაწყვეტა,**
**იყოს წყეული ხვთისგან**
**და კრული...**
**...ასე ჰფიქრობდნენ,**
**რომ გვიანდერძეს**
**მათი განზრახვა**
**სახელმძღვანელოდ,**
**და მათი ღირსი აღარ**
**ვიქნებით,**
**ეგ გრძნობა გულში**
**რომ გავინელოთ“.**

და კვლავ აკაკი:

**„როცა ჩვენმა წინაპრებმა თქვენ, რუსები, მოგიწვიეს,** — თქვა მან **კონსტანტინე ბალმონტის** პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე 1914 წელს, **— მაშინ ჩვენ, შვილიშვილებს, გვიანდერძეს: არ დავივიწყოთ სტუმართმოყვარეობა, გვიყვარდეს რუსები, ვიმეგობროთ მათთან და განუყრელად ვიაროთ ერთი გზით**“.

**„დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისათვის“,** — წერდა **ილია ჭავჭავაძე.**

ასეთივე აზრისაა აკაკი წერეთელიც. მისი ღრმა რწმენით, საქართველო რუსეთთან შეკავშირებული უნდა იყოს „სიყვარულის ოქროს ჯაჭვით“. (შვიდტ., ტ. VI, გვ. 264).

რაც შეეხება **ნიკო ნიკოლაძეს**, მან ჯერ კიდევ 1865 წელს გერცენის „კოლოკოლში“ აღნიშნა, რომ საქართველო რუსეთთან კავშირში **„უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობთ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე, რომლებისაც საქართველოში არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის“.**

რუსმა მოგზაურმა და ლიტერატორმა **ევგენი მარკოვმა** თავის წიგნში „კავკასიის ნარკვევები“ სიყვარულით აღწერა ჩვენი მხარე. 1899 წელს მის პატივსაცემად გამართულ საღამოზე თბილისში ილია ჭავჭავაძემ თავის მისასალმებელ სიტყვაში თქვა:

**„რატომ დავმალოთ, ჩვენ უთუოდ გვიყვარს ჩვენი სამშობლო და რად ვიცრუოთ, ჩვენი სამშობლო რომ გვიყვარს, მხოლოდ ამიტომ გვიყვარს რუსეთიცა. ეს ასეთი ბუნებრივი ჩვეულებრივი და გასაგებია ჩვენი მამა-პაპური ზნეობისა გამო. რუსეთმა დაიფარა ჩვენი სამშობლო დარბევისა და დამცირებისაგან, იგი ამჟამადაც აშორებს მას უწინდელ ავბედობა-განსაცდელს. რუსეთმა განკურნა ჩვენი სამშობლოს წყლულნი... ჩვენი სამშობლოს სიყვარული თვითონ არის ნაყოფიერი ნიადაგი, სადაც ფესვიანდება, იზრდება და ძლიერდება ჩვენი კეთილი დამოკიდებულება და ერთგულება რუსეთისადმი“.**

აქეთ მოიხედე, ყმაწვილო!

აი გზა ილიასი, აკაკისა და ა.შ. სხვა დიდი ქართველების გზა!

**ფილარმონიაში თქვენი კრახი იმის ბრალი იყო, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში პოლიტიკური ქამინგაუტი გააკეთეთ, რომ საქართველოსთვის სასიკეთოს არაფერს აპირებთ! შენ და შენი საპარლამენტო მანქურთების გზა, ილიასი კი არა, სატანისტური დასავლეთის მონური მსახურებაა!** ქართული მიწების არგაყიდვის კანონს მაინც ჩაგაწერინებთ კონსტიტუციაში, ისევე, როგორც ოჯახის ცნების განმარტებას, რომელსაც წინასაარჩევნოდ პოპულისტურად შეგვპირდით, მაგრამ ბოლო პერიოდში წაუყრუეთ!

დიდხანს აცოცხლოს ღმერთმა ჩვენი პატრიარქი, რომლის წინაშეც ფარისევლურად მუხლს იყრით ხოლმე, მაგრამ, რასაც ის ამბობს, არ გესმით!

არც მეფეს, არც პატრიარქს, არც პრეზიდენტს და არც არავის აქვს უფლება ქართული მიწა-წყლის გაყიდვისა, — ბრძანებს პატრიარქი და ამ სიტყვებს ქართველი ხალხი ჩაგაწერინებთ კონსტიტუციაში!

**დავით მხეიძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„27 წელი გავიდა და, რისთვისაც ვიბრძოდით, არაფერი გვაქვს. ჩვენ არ ვართ დამოუკიდებლები და სუვერენულები. ჩადის ჩვენი ქვეყნის პირველი პირი თურქეთში და საქართველოს დროშა არ ხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ შენ სუვერენული ქვეყანა არ ხარ, თურქეთი თავისად მიგიჩნევს — დროშა არა კვახი. დიდგორობა არ აღნიშნოთო,— გეუბნებიან და ხელისუფლებაც უსიტყვოდ ასრულებს მათ მოთხოვნას. აი, თუნდაც ამ საკითხშიც არ არის მიშასა და ახლანდელ პირველ პირებს შორის განსხვავება. ორივე ერთნაირად ასრულებს ბრძანებებს, თავმოყვარეობა არ აქვთ“.**



## ვასილ ჭიჭინაძე:

# რომელ დამოუკიდებლობაზეა საუბარი, როცა ევროპარლამენტის გვეშინია, ევროსასამართლოსი გვეშინია, ვენეციის კომისიის გვეშინია, ელჩის გვეშინია, არასამთავრობოების გვეშინია...

**რამდენიმე თვეა, ხელისუფლების ინიციატივით შეიქმნა კომისია, რომელმაც კონტიტუციაში ძირეული ცვლილება უნდა შეიტანოს, კონტიტუციაში, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში უკვე მესამედ იცვლება. ამ პროცესს დიდი ხმაურით ხვდება ქვეყნის მოსახლეობა... 2016 წლის ოქტომბრის საპარლამეტო არჩევნებიდან რვა თვე გადის. „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობით არის ხელისუფლებაში. ამ ვითარებას პოლიტოლოგებიც, პოლიტიკოსებიც და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანებიც პროგნოზირებდნენ. თუმცა დასძენდნენ, რომ შესაძლოა, „ოცნებამ“ მეორე საპარლამენტო ვადა ველარ დაასრულოსო... სოციალური ქსელების ბევრი მომხმარებელი წერს, რომ „საქართველოს მთავრობის თავზე შავმა ღრუბელმა მოიყარა თავი“. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე გვესაუბრება.**

**— ბოლო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რვა თვე გავიდა. უკვე შესაძლებელია დასკვნების გამოტანა. მივიღეთ თუ არა ის შედეგი, რომელსაც ველოდით?**

— რაც სურდა მმართველ გუნდს, მიიღო — საკონსტიტუციო უმრავლესობა. ახლა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ხელისუფლებაში მუდმივად დარჩეს.

**ხალხი ისე დაბრმავებულია, რომ დღემდე გაიძახის — ეს მთავრობა წინაზე უკეთესიაო. ოღონდ ეს უკეთესობა რაში გამოიხატება, ნამდვილად არ ვიცი. სხვაობა ამ ორ ხელისუფლებას შორის არის ის, რომ ესენი ცოცხებით არ დასდევენ პატიმრებს. თუ მხოლოდ ეს იყო ქართველის ოცნება, მაშინ აგვსრულებია; მაგრამ, თუ უკეთეს მომავალზე ვფიქრობდით, შედეგი ნულია.**

ყველაფერი ისევ ისე კეთდება, როგორც ნაცების მმართველობის პერიოდში. დავიწყოთ იმით, რომ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, მათ შორის, პარლამენტში, თანაც „ოცნების“ კვოტით, კვლავ ნაციონალები სხედან და, აქედან გამომდინარე, უკეთესობის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს — ირგებენ კონსტიტუციას საკუთარ თავზე, სასამართლო მაგათია, პროკურატურა ხელისუფლებას ექვემდებარება.

**აუქმებენ პარტიების ბლოკებს, მაშინ, როდესაც თვითონ სწორედ ასე მოვიდნენ ხელისუფლებაში.** არგუმენტებს ასახელებენ, რატომ არ ვარგა „ბლოკებით“ არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ ყველამ ვიცით სიმართლე: წვრილ-წვრილი პარტიები არჩევნებში დამოუკიდებლად გავლენ, ამისთვის ხელისუფლება კაპიკებს გადაუგდებს, ისინი კი იმ კაპიკებით ბარიერს ვერ გადალახავენ. სამაგიეროდ, გადანაწილებული ხმების შედეგად სახელისუფლო გუნდი, ხმების რამდენი პროცენტიც უნდა მოიპოვოს, საკონსტიტუციო უმრავლესობას მაინც მიიღებს. **კონსტიტუციით მიწის გაყიდვას აკანონებენ, მიწის, რომელიც ისედაც ერთი მუჭალა დარჩა. ამერიკაში სულ 2% მიწის გაყიდვის უფლება აქვთ და ისიც ჯერ არ გაუყიდიათ. ამ ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, ნათლად დავინახავთ, რომ წინა ხელისუფლებასა და ამ ხელისუფლებას შორის განსხვავება არ არის.**

2012 წლის არჩევნებამდე რაზეც საუბრობდნენ, რასაც მართლა საქმის კეთება ერქვა და მოხიბლა მოსახლეობის დიდი ნაწილი, ახლა აღარც ახსენებენ. საუბარი იყო ბანკების პროცენტების კონტროლზე, წამლების ფასების კონტროლზე... ბიძინა ივანიშვილი ამბობდა, რომ აქ ჩამოიყვანდა ისეთ ფირმებს, რომლებიც ამ პროცესებს დაარეგულირებდნენ. **მსოფლიოში არ არსებობს ჩვენნაირი საბანკო სისტემა, ჩვენი ბანკირები მევახშეები არიან.** მეტიც — ხელისუფლებაში გვყოლია მევახშეები: **პენსიას არ უმატებენ, ფასებს არ ამცირებენ. ენერგეტიკის მინისტრი ამბობს, შესაძლებელია, ენერგომატარებლებზე ფასები გაიზარდოსო. ოპტიმიზაცია გამოაცხადეს, ხალხი გაყარეს სამსახურებიდან, იმის ნაცვლად, რომ არაფრისმაქნისი სამინისტროები გაეუქმებინათ და დეპარტამენტებად გადაეკეთებინათ, ხარჯები შეემცირებინათ, ადამიანები უმუშევარი დატოვეს. ქვეყანას მილიონამდე ლტოლვილი ჰყავს და კიდევ ბინებიდან ასახლებენ ოჯახებს...** რომელი ერთი უნდა დაასახელო... რა ქნას ხალხმა, ამაზე არავინ ფიქრობს. ხელისუფლებაში მყოფებს ხომ ჯერ კონსტიტუცია აქვთ მოსარგები, თანაც ისე, რომ ველარაფერმა წააქციოს.

> **«კონსტიტუციით მიწის გაყიდვას აკანონებენ, მიწის, რომელიც ისედაც ერთი მუჭალა დარჩა. ამერიკაში სულ 2% მიწის გაყიდვის უფლება აქვთ და ისიც ჯერ არ გაუყიდიათ. ამ ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, ნათლად დავინახავთ, რომ წინა ხელისუფლებასა და ამ ხელისუფლებას შორის განსხვავება არ არის»**

მიკვირს იმ ხალხის, რომელიც მაინც ამბობს, ეს ხელისუფლება წინაზე უკეთესიაო. სულ მხსნელის მოლოდინში ყოფნა არ შეიძლება. საკუთარ თავს ჩვენვე უნდა ვუშველოთ. რუსეთს ერთ რამეს ვუჩივი ყოველთვის: გაგვაფუქსავატეს, გაგვაზარმაცეს და გვგონია, რომ ვიღაც უნდა მოვიდეს, საქმე აკეთოს, ჩვენ კი ბანტიანი გიტარით ვისხდეთ და ვიქეიფოთ.

**— ხალხი ხედავს, რომ, რუსეთმა ყველა „გაგვაფუქსავატა“, ამერიკა მხოლოდ ხელისუფლებაში მყოფ 150 ადამიანს აფუქსავატებს. ხალხს სურს, მთავრობასავით იცხოვროს...**

— არქიფო სეთური გახსოვთ, ალბათ, რომ ამბობს, — ამისთვის ორი გოჭი არ უნდა მიმეცა, გაძღა და მე დამიპირისპირდაო? მთავრობას არ უნდა, შენ რომ მოძლიერდე. ძლიერს სხვა მოთხოვნები გაუჩნდება. ღარიბისა და ღატაკის მართვა ადვილია. ელიტამ იცის, ფულით ყველაფერს გადაწყვეტს, ამერიკასაც ხელს აძლევს ასეთი ელიტა.

9 აპრილიდან დღემდე რა მივიღეთ, რას ვზეიმობთ? **27 წელი გავიდა და, რისთვისაც ვიბრძოდით, არაფერი გვაქვს. ჩვენ არ ვართ დამოუკიდებლები და სუვერენულები. ჩადის ჩვენი ქვეყნის პირველი პირი თურქეთში და საქართველოს დროშა არ ხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ შენ სუვერენული ქვეყანა არ ხარ, თურქეთი თავისად მიგიჩნევს — დროშა არა კვახი. დიდგორობა არ აღნიშნოთო, — გეუბნებიან და ხელისუფლებაც უსიტყვოდ ასრულებს მათ მოთხოვნას. აი, თუნდაც ამ საკითხშიც არ არის მიშასა და ახლანდელ პირველ პირებს შორის განსხვავება. ორივე ერთნაირად ასრულებს ბრძანებებს, თავმოყვარეობა არ აქვთ.**

**— დიპლომატი ხართ და პროტოკოლი კარგად გეცოდინებათ, ამიტომ შეგეკითხებით — ამერიკის პრეზიდენტთან შეხვედრისას პრემიერი კვირიკაშვილი ფეხზე იდგა, ხოლო ტრამპი მაგიდასთან იჯდა. ეს ნორმალურია?**

— პროტოკოლით ასე არ ხდება. ვიზიტი, როგორც ვიცი, ოფიციალური არ იყო, მათ ერთმანეთი შემთხვევით ნახეს, ისე, როგორც მიშა ხვდებოდა ხოლმე, შემთხვევით. **ტრამპი ფეხზე რომ არ ადგეს, რა გასაკვირია, როცა თურქეთმა ოფიციალურ შეხვედრაზე ჩვენი დროშა არ გამოფინა. ასეთი ფაქტები ჩვენს უთავმოყვარეობასა და უსუსურობაზე მეტყველებს. ან რომელ დამოუკიდებლობაზეა საუბარი, როცა ევროპარლამენტის გვეშინია, ევროსასამართლოსი გვეშინია, ვენეციის კომისიის გვეშინია, ელჩის გვეშინია, არასამთავრობოების გვეშინია...**

ახლა ხალხზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, აუცილებლად უნდა ამოიღოს ხმა, ხელისუფლებას არ უნდა მივცეთ კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგების უფლება, მაგრამ, როგორც ჩანს, დავუძლურდით, იმედი დავკარგეთ, თორემ, როცა შეგვეძლო, ასიათასობით ადამიანი გამოდიოდა ქუჩაში **გამსახურდიას, შევარდნაძისა** თუ **სააკაშვილის** წინააღმდეგ...

**— ენ-დი-აიმ ახალი კვლევა გამოაქვეყნა. მის ციფრებსა და პროცენტებში იმხელა ცდომილებაა, რომ კვლევის შინაარსზე ლაპარაკიც კი ზედმეტია...**

— არ მგონია, ამ კვლევებს ვინმე სერიოზულად აღიქვამდეს. მათ მიერ გამოკითხული ერთი ადამიანიც კი არ შემხვედრია. ამ ენ-დი-აისაც ვერ ვიშორებთ თავიდან, იმასაც ვერ მივაღწიეთ, ამერიკულმა ინსტიტუტებმა რომ არ აგვიბნიოს თავგზა.

ენ-დი-აის ბოლო კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი არის ის, რომ, თუ ადამინს დაჰპირდები, — შენს სახელს არ გავაცხადებ, ოღონ სიმართლე თქვიო, და ისიც ამბობს, რაც სურს, ანუ — საბჭოთა კავშირის დაშლა ცუდი მოვლენა იყოო, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის გარკვეული, არცთუ მცირე ნაწილი ჯერ კიდევ შეშინებულია და ხმის ამოღებას ვერ ბედავს. აი, ეს დავინახე ბოლო კვლევებში.

**— ჩვენნაირ ქვეყანას როგორი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს?**

— თუ ქვეყანა საპარლამენტო ხდება, მაშინ პრემიერმინისტრი რატომ უნდა იყოს პირველი პირი, არ მესმის. პირველი პირი პარლამენტის თავჯდომარე გამოდის, ასეა იმ ქვეყნებში, რომლებშიც საპარლამენტო სისტემა აქვთ, სხვა საქმეა შერეული სისტემა.

პრეზიდენტი ვინ იქნება და რა ძალაუფლების მქონე, მნიშვნელობა არ ექნება, თუკი კონსტიტუციას იმ ცვლილებით მივიღებთ, რომელი ცვლილებებიც იგეგმება, რადგან ერთი ადამიანი იქნება ერთპიროვნული მმართველი, მალე ჩვენ „ხაზეინის“ ხელში ვიქნებით.

ტერიტორიები გვაქვს დაკარგული. აქ კი „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ პრინციპია. ჩვენი საშველი არ იქნება, თუ მართლაც მორჩილად შევხვდებით ამ ყველაფერს.

ასე რომ, გავიმეორებ იმას, რაც თავში ვთქვი:

**წინა და დღევანდელ ხელისუფლებებს შორის განსხვავება არ არის — მმართველობის პრინციპი ერთი და იგივეა, დაპირებებიც — იგივე... ისიც გვატყუებდა და ესეც გვატყუებს; არც იმას უნდოდა ხელისუფლების დათმობა და არც ამას სურს. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ადამიანები, რომლებიც იმ ხელისუფლებაში იყვნენ, ახლაც ხელისუფლებაში არიან. თუმცა ეს არ მიკვირს, რადგან ივანიშვილი თავის დროზე ამბობდა, რომ ბევრი მათგანი მოსწონდა, მაგალითად, ადეიშვილი, მერაბიშვილი.** არც იმას გამოვრიცხავ, რომ „ევროპული საქართველო“ „ოცნების“ სატელიტია და ფულიც სწორედ მათგან აქვთ. ფული ნაციონალებს აქვს, მაგრამ ამდენი არ უნდა ჰქონდეს **ბოკერიას** გუნდს. დრო ყველაფერს წარმოაჩენს. ფაქტია, რომ ხელისუფლება რეგრესისკენ მიდის.

„თავისუფლად ვსუნთქავთ“ არ არის გამართლება, ცვლილებები, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ, მალე სუნთქვის საშუალებასაც არ მოგვცემს.

> **«ტრამპი ფეხზე რომ არ ადგეს, რა გასაკვირია, როცა თურქეთმა ოფიციალურ შეხვედრაზე ჩვენი დროშა არ გამოფინა. ასეთი ფაქტები ჩვენს უთავმოყვარეობასა და უსუსურობაზე მეტყველებს»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## იგორ დოდონი: ნატოში მოლდოვას გაერთიანება კატეგორიულად მიუღებელია



**მოლდოვის პრეზიდენტმა იგორ დოდონმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერ ვიაჩესლავ ვოლოდინთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ მისთვის ნატოში ქვეყნის შესვლა „კატეგორიულად მიუღებელია“.**

„ჩვენს პარტნიორებთან ყოველთვის ვამბობ, რომ არსებობს სამი ან ოთხი რამ, რაც მოლაპარაკებების საგანი არ შეიძლება იყოს: ეს ჩვენი სახელმწიფოს — მოლდოვის შენარჩუნებაა; მეორე — ეს ჩვენი ნეიტრალიტეტია, ნატო კატეგორიულად მიუღებელია; მესამე — მნიშვნელოვანია ჩვენი მართლმადიდებლობა“, — განაცხადა დოდონმა.

**„ეს ოთხი პრინციპული მომენტია, რომელთა განხილვა არ შეიძლება. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ამ საკითხს მოლდოვის რესპუბლიკის მოქალაქეების უმრავლესობა მხარს უჭერს“,** — დასძინა მოლდოვის პრეზიდენტმა. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ევროპული ღირებულებები, რომელთა თავსმოხვევას სხვადასხვა გზით ცდილობენ, მოლდოვას არ სჭირდება.

9 მაისს იგორ დოდონი მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიწვევით ჩავიდა. მან ფაშიზმზე გამარჯვებისადმი მიძღვნილ აღლუმში მიიღო მონაწილეობა.

რუსეთის პრეზიდენტისთვის ხელის ერთ სავარაუდო ჩამორთმევას ქვეყნის ინტერესები ეწირება. და ეს მაშინ, როცა ამერიკის პრეზიდენტის ერთ ზარზე კვირიკაშვილმა ყველა შეხვედრა გადადო და შტატებში თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. გაიქცა იმისთვის, რომ ფეხზე მდგარიყო, სკამი რომ არ შეეთავაზებინათ და არავის ეთქვა, საქართველო ამერიკასთან ურთიერთობაზე უარს ამბობსო.

ჩეკლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კავკასიელი ტყვე კაცი

**ყველას, ალბათ, გინახავთ ლეონიდ გაიდაის ფილმი „კავკასიელი ტყვე ქალი“ — ერთ-ერთი ქალაქის თავი ლამაზ ქალს იტაცებს და რისთვის იტაცებს, ადვილი მისახვედრია. გაიდაი ცოცხალი რომ იყოს, აუცილებლად გადაიღებდა ფილმს „კავკასიელი ტყვე კაცი“ და მთავარ როლში ჩვენი ხელისუფლების პირველ პირებს ათამაშებდა.**



სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ხელისუფლება ტყვეა — დღეს ამერიკის ტყვე, უფრო კონკრეტულად კი, ამერიკის პრეზიდენტის ტყვე. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება შტატების პირველი პირი, რა შეფერილობის, მონობის უღელი გვრჩება და, თუ ადრე მონობისთვის ხარკს ფულითა და პროდუქტით ვიხდიდით, ახლა ხარკად ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, ჩვენსეროვნულ გენს ვწირავთ და ავღანეთში, აფრიკაში, ერაყსა და კიდევ, ვინ იცის, სად ვგზავნით.

სხვათა შორის, როცა საქართველოს მონღოლთა და არაბთა მონობის უღელი ედგა, ჩვენს მეფეებს დამპყრობლები მაინც პატივით ეპყრობოდნენ, როგორც ტოლ-სწორს ისე ესაუბრებოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ გურჯები დაუმორჩილებელი ერია და ერთ დღეს შეეძლოთ, თავზე ხელი აეღოთ და უძლეველი ურდოები დაემარცხებინათ. ახლა კი რა მივიღეთ — **საკმარისი იყო ერთი ზარი და გიორგი კვირიკაშვილმა ყველა დაგეგმილი შეხვედრა გადადო, ყველაფერი დაივიწყა და ამერიკაში ტრამპთან გაფრინდა. სავარაუდოდ, ძალიან ეამა ტრამპს ასეთი მონური საქციელი და ჩვენს პრემიერს ზუსტად ისე მოექცა, როგორც, საზოგადოდ, მოქმედი პრეზიდენტის წინაპრები ექცეოდნენ წინა პრეზიდენტის წინაპრებს — ბატონი დონალდი ფეხზეც არ ადგა, გვერდით დააყუდა მასთან „მეთხუთმეტე კაცად შესული“ პრემიერი.** კვირიკაშვილმაც, სულ უცხოდ არ გამოვჩნდეო, იფიქრა და მაგიდას ცალი ხელით დაეყრდნო. რაღაც იეჭვა, ალბათ, წითურმა პრეზიდენტმა, ემანდ არაფერს მიპირებდეს კვირიკაშვილიო და მისი გასვლის შემდეგ, მაგიდის ის ნაწილი, რომელსაც პრემიერმა ხელი შეახო, საგანგებოდ გაწმინდეს ქიმიური ხსნარით. აბა, როგორ გინდათ, უძლეველი სახელმწიფოს პირველი პირის ჯანმრთელობას მოფრთხილება სჭირდება...

გაიდაის ფილმი ვახსენე და, სწორედ იმ ფილმშია, ერთ მთავარ გმირს დაჯდომა რომ არ შეუძლია უკანალში მოხვედრილი მარილიანი ტყვიის გამო. „სპასიბო, ია პეშკომ პოსტაიუ“, — ეუბნება მოსამართლეს და **ახლა ისრა დაგვრჩენია, ვიფიქროთ, ამ ჩვენს პირველ პირს რა მოხვდა, დაჯდომას რომ ვერ ახერხებდა.** მეტყვით, არაფერიც არ ჰქონდა, უბრალოდ, არ შესთავაზეს სკამიო... მაშინ იქ რა გინდა სტუმრად, სადაც იცი, რომ სკამს არ შემოგთავაზებენ, შენს ნაფეხურებსა თუ ნახელურებს გაწმენდენ და შენი იქ ყოფნის კვალს ისე გააქრობენ, ვერავინ გაიგებს, იყავი იქ თუ არა ოდესმე.

**ნატოს ჩვენგან საჯიშე ბიჭები უნდა ზვარაკად და ამ ზვარაკს პრაქტიკულად ყველა მთავრობა ისე სწირავს, თითქოს ვასლის ვალდებულება ჰქონდეს ნაკისრი, მაგრამ რაღა თითქოს, დაპყრობილი ქვეყნის მეთაურს არ შეურაცხყოფენ ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის პირველ პირს. ჯოხი არ უხმარიათ და იარაღი არ უსვრიათ, თორემ სხვა კი არაფერი უქნიათ მუამარ კადაფისთვის, როცა დააპატიმრეს ევროპის სახელმწიფოს რომელიმე ლიდერს ამას გაუბედავდა ტრამპი? — ვერა! არადა... აკი, უვიზო მიმოსვლა მოგვცეს და მსოფლიო უკვე ევროპად გვთვლისო?! ახლა ხომ ხვდებით, რომ ევროპისთვისაც და ამერიკისთვისაც ის ვართ, ვინც «დოლჟენ პეშკომ პოსტაიატ...»**

ამ ყველაფრის ფონზე ძალიან სასაცილოა ის შეფასებები, რომლებიც გაკეთდა: რომ ამერიკა ჩვენი მოძმე და სტრატეგიული პარტნიორია; რომ, თურმე ამერიკას ჩვენი იმედი აქვს და რომ... არასასურველი სასიძოსავით დაყუდებული პრემიერი მსოფლიომ ნახა და, სავარაუდოდ, ყველას გულიანად გაეცინა. ახლა სკეპტიკოსები იტყვიან, — რა უნდა ექნაო?..

გასული კვირის ბოლოს ჩინეთში 110 ქვეყნის წარმომადგენელი შეიკრიბა ეკონომიკურ ფორუმზე. ამ ღონისძიებას 28 სახელმწიფოს მეთაური დაესწრო და, თუ ადრე ანალოგიურ ფორუმს „აბრეშუმის გზა“ ერქვა, ახლა „ერთი სარტყელი — ერთი გზა ჰქვია...“ ამ ფორუმზე მონაწილეობა კარგი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ კვირიკაშვილი იქ არ წავიდა და, როგორც ამბობენ, არ წავიდა ერთადერთი მიზეზით — იქ რუსეთის პრეზიდენტიც ჩავიდა და ჩვენი ქვეყნის მეთაურმა მასთან შეხვედრას აარიდა თავი, ვაითუ შემთხვევით ხელის ჩამორთმევა მომიწიოს და შემდეგ ოპოზიცია რუსეთუმეობას დამწამებსო. შესაბამისად, **რუსეთის პრეზიდენტისთვის ხელის ერთ სავარაუდო ჩამორთმევას ქვეყნის ინტერესები ეწირება. და ეს მაშინ, როცა ამერიკის პრეზიდენტის ერთ ზარზე კვირიკაშვილმა ყველა შეხვედრა გადადო და შტატებში თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. გაიქცა იმისთვის, რომ ფეხზე მდგარიყო, რომ სკამი არ შეეთავაზებინათ და რომ არავის ეთქვა, საქართველო ამერიკასთან ურთიერთობაზე უარს ამბობსო.**

მოდი, ისიც ვთქვათ, რა მოგვცეს ტრამპის წინამორბედებმა. ამერიკის პრეზიდენტთან ვიზიტის პრესტიჟულობა მას შემდეგ დამკვიდრდა, როცა გადაწყდა, რომ ნატოში გვინდა. ეს იმის მიუხედავად, რომ გასაგებად აგვიხსნეს, — ნატოს კარი თქვენთვის, სავარაუდოდ, ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ გაიღებაო და აკი არც იღება. სამაგიეროდ, **ნატოს ჩვენგან საჯიშე ბიჭები უნდა ზვარაკად და ამ ზვარაკს პრაქტიკულად ყველა მთავრობა ისე სწირავს, თითქოს ვასლის ვალდებულება ჰქონდეს ნაკისრი,** მაგრამ რაღა თითქოს, **დაპყრობილი ქვეყნის მეთაურს არ შეურაცხყოფენ ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის პირველ პირს.** ჯოხი არ უხმარიათ და იარაღი არ უსვრიათ, თორემ სხვა კი არაფერი უქნიათ **მუამარ კადაფისთვის**, როცა დააპატიმრეს. ცუდი შედარებააო, ვიღაც იტყვის, მაგრამ აღარ არის რევერანსების დრო — საქართველოს ისე უყურებენ, როგორც მონების ქვეყანას და ამ თვალსაზრისის განეიტრალება შემდეგ ძალიან რთული იქნება. რთული იქნება იმის ახსნა ნებისმიერი ქვეყნის ლიდერისთვის, რომ ოვალურ კაბინეტში ერთი სკამი არ მოიძებნა, ჩვენი ქვეყნის მეთაურს ერთი ადგილი რომ დაედო, ის ადგილი, რომელიც... უფრო ზუსტად, რომელსაც **მელანია ტრამპის** უკანალში ვერ არჩევს მისტერ დონალდი და თავისი ჰგონია, და ისიც ჰგონია, რომ ისე მოექცევა, როგორც სურს. ჰოდა, სწორედ ისე მოექცა, როგორც სურდა, და „სპასიბო, პეშკომ პასტაიუ“ ათქმევინა კვირიკაშვილს...

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. როცა მონა გქვია, მნიშვნელობა არ აქვს, ვისი მონა ხარ. არც იმას აქვს მნიშვნელობა, პლანტაციებში გამუშავებენ თუ გემზე მენიჩბედ... როცა მონა ხარ, მონათმფლობელი ნებისმიერ დროს გადაგიჭერს ზურგზე მათრახს და ცხრაპირ ტყავს გაგაძრობს. ამიტომ მონა გინდა, ოვალურ კაბინეტში დააბი და გინდა, — კუთხეში, მონა მონაა და ამ კლიშეს მოხსნა ძალიან, ძალიან ძნელი იქნება. ევროპის სახელმწიფოს რომელიმე ლიდერს ამას გაუბედავდა ტრამპი? — ვერა! არადა... აკი, უვიზო მიმოსვლა მოგვცეს და მსოფლიო უკვე ევროპად გვთვლისო?! ახლა ხომ ხვდებით, რომ ევროპისთვისაც და ამერიკისთვისაც ისინი ვართ, ვინც „დოლჟენ პეშკომ პოსტაიატ...“**

**P.S.S. „გდეტა ნა ბელომ სვეტე, ტამ გდე ვსეგდა მოროზ...“**




## აზერბაიჯანმა მთიან ყარაბაღში სამხედრო ობიექტი დაბომბა

15 მაისს აზერბაიჯანის არმიამ მთიანი ყარაბაღის ოკუპირებულ ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ობიექტზე სარაკეტო იერიში მიიტანა. სომხეთის თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა თავისი სარაკეტო სისტემის განადგურება. სომხეთის მხარემ განაცხადა, რომ „სარაკეტო დარტყმის შედეგად სამხედრო ტექნიკა დაზიანდა“.

აზერბაიჯანის საფრენი აპარატებისთვის შექმნილი რეალური საფრთხიდან გამომდინარე, აგრეთვე, მოწინააღმდეგის აქტიურობის აღსაკვეთად, სრულიად განადგურებულია კომპლექსი „ოსა“, — ნათქვამია აზერბაიჯანული მხარის განცხადებაში. სამხედრო შეტაკების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს Associated Press-იც. სააგენტო აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით წერს, რომ აზერბაიჯანელებმა გაანადგურეს სომხეთის საჰაერო თავდაცვის სისტემა მთიან ყარაბაღში. მთიანი ყარაბაღი ოფიციალურად აზერბაიჯანის ტერიტორიაა, მაგრამ 1994 წლის სეპარატისტული ომის დასრულების შემდეგ, რომელმაც 30 000 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, მას ადგილობრივი ეთნიკური სომხები აკონტროლებენ. ბოლო 25 წლის განმავლობაში დიპლომატიური მცდელობები, გადაწყვეტილიყო კონფლიქტი, უშედეგოდ დასრულდა. ოფიციალური ბაქო ამტკიცებს, რომ ტერიტორიაზე სომხეთის რეგულარული არმია იბრძვის. მთიანი ყარაბაღის სეპარატისტულმა მთავრობამ განაცხადა, რომ აზერბაიჯანის „პროვოკაციას უპასუხოდ არ დატოვებს“.



მსოფლიო



## დასავლური კოალიციის ავიადარტყმების შედეგად სირიაში კიდევ 16 მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა, მათ შორის — 4 ბავშვი

**„სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე დასახლებულ პუნქტზე აშშ-ის მიერ შექმნილი კოალიციის ავიადარტყმის შედეგად 5 მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა“, — იუწყება ვებგვერდი aljazeera.net-ი.** დასავლური კოალიციის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაბომბეს „ბოევიკების“ სავარაუდო პოზიციები ქალაქ ელ კურიში, დეირ ეზ-ზორთან ახლოს. ამას გარდა, რამდენიმე დღის წინათ, კოალიციის ავიადარტყმის შედეგად სოფელ ეს-სალაჰიაში (ქალაქ რაკასთან) დაიღუპა 11 ადამიანი, მათ შორის — 4 ბავშვი.

ცოტა ხნის წინათ პენტაგონმა განაცხადა, რომ დასავლური კოალიციის ავიადარტყმების შედეგად სირიასა და ერაყში 2014 წლიდან დღემდე სულ დაღუპულია 352 მშვიდობიანი მოქალაქე, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკელთა მიერ განხორციელებული ავიადარტყმების შედეგად ერაყსა და სირიაში დაღუპულია 3000-ზე მეტი მშვიდობიანი ადამიანი.

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სხვა თუ არაფერი, პარლამენტის თავმჯდომარეს სასკოლო ასაკში მაინც უნდა ჰქონდეს გაგონილი, რატომ და რა მიზნით დააარსა ილია ჭავჭავაძემ საადგილმამულო ბანკი... თუმცა სხვაზე რაღა უნდა ილაპარაკო, როდესაც „ილიას გზით“ მავალ პარლამენტის თავმჯდომარეს იმდენი არ ესმის, რომ ახალგაზრდებს, სტუდენტებს, საზოგადოების ნაწილს „ახალგაზრდა კომუნისტები“ არ უნდა უძახოს და, მით უმეტეს, არავინ ეკითხება ირაკლი კობახიძეს, „ვისი ადგილი არის ამ ქვეყანაში და ვისი — არა“!**

# «დამიწებული ოცნება»

**„ქართული მიწა არ გაიყიდება!“ — ეწერა კრწანისის ასახვევთან მაშინ, როდესაც „კორუფციის ჭაობში ჩაფლული“ საქართველოს პრეზიდენტი იყო ედუარდ შევარდნაძე. ამ წარწერის იქ გაკეთების მიზანი იყო ის, რომ ამ ქუჩაზე დღეში ორჯერ — დილით სამსახურში, სახელმწიფო კანცელარიაში, წასვლისას და საღამოს შინ დაბრუნებისას მიდი-მოდიოდა პრეზიდენტი შევარდნაძე. სიმბოლური იყო ისიც, რომ კონკრეტული ადგილი იყო გზისპირა პატარა სკვერი, რომელიც შევარდნაძის „ვარდებით“ გადატრიალების შემდეგ, სულ რაღაც, ორიოდე წელიწადში გაიყიდა. მოგვიანებით „ახალგაზრდობის სპორტული აღზრდისა და გამწვანებული ქალაქის“ ლოზუნგით მოსული „ვარდების ხელისუფლების“ პირობებში გაიყიდა ქალაქში არსებული უამრავი სასპორტო მოედანი (ცნობილი „სკა“-ს სტადიონის ჩათვლით) და უამრავ სკვერში აშენდა კორპუსი...**



**შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ «ოცნება» უკვე თავისი «გამპრავებლებიანად» შეერწყა «ნაციონალურ მოძრაობას» და ერთადერთი ცოცხილა აკლია, სრულყოფილ ნაცებად რომ მოგვევლინოს**

დღეს, „გადამთიელების აგენტი მიშასა“ და „საქართველოს და ქართული მიწების გამყიდველი იუდა ბენდუქიძის“ ლანძღვის ტალღაზე მოსული ხელისუფლების პირობებში, ქართული მიწის არგაყიდვასა და დაცვაზე გვიწევს საუბარი... ვიცი, მომისმენია და წამიკითხავს და მათი არგუმენტებიც, ვინც მიწის გაყიდვას არ მიიჩნევს კატასტროფად, მიუთითებს კანონში ჩადებულ გარკვეულ „დამზღვევ“ მუხლებზე და ა.შ. ერთი საგაზეთო გვერდი ამ თემაზე სერიოზულ კამათსა და მით უფრო რაიმე საბოლოო დასკვნის გამოტანას არ ეყოფა. ამიტომ თავი დავანებოთ „ჭეშმარიტების დადგენის“ მცდელობას საკითხზე, უნდა გაიყიდოს თუ არა ქართული მიწა და მხოლოდ იმ პარადოქსებზე გავამახვილოთ ყურადღება, რომლებიც ამ თემის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს მოჰყვა:

**პირველი,** რომელიც უკვე აღვნიშნეთ, არის სწორედ ის, რომ, როდესაც მოდიხარ წინა ხელისუფლებისადმი ასეთი ბრალდებით, — ქართულ მიწებს „უპრაგონოდ“ ასხვისებდნენო, მერე შენ წინააღმდეგ ხალხის უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი ისევ ეგ არ უნდა ხდებოდეს...

**მეორე,** რითაც ყველაზე მეტად გვაოცებენ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ეს არის ამ თემაზე საუბრისას უდიდესი მამულიშვილის — **ილია ჭავჭავაძის** — წამდაუწუმ ხსენება.

საზოგადოდ, ილია ჭავჭავაძის ხსენება, ჩემი აზრით, კანონით არის ასაკრძალი, რადგან, ვისაც არ ეზარება, ნებისმიერ თემაზე საუბრისას სწორედ ილიას ახსენებს და მის სახელს, ბოდიში გამოთქმაზე, წაღმა-უკუღმა ატრიალებს.

თვით დიადმა „მარიხუანისტმა“ **ზურაბ ჯაფარიძემ** ნარკოტიკის ლეგალიზების თემაზე საუბრისას ილია ჭავჭავაძე ახსენა, მაგრამ ამ ფონზეც კი მეტად კომიკურია ილია ჭავჭავაძის ხსენება, როდესაც საქმე ქართული მიწების გასხვისებას ეხება.

**სხვა თუ არაფერი, პარლამენტის თავმჯდომარეს სასკოლო ასაკში მაინც უნდა ჰქონდეს გაგონილი, რატომ და რა მიზნით დააარსა ილია ჭავჭავაძემ საადგილმამულო ბანკი...**

თუმცა სხვაზე რაღა უნდა ილაპარაკო, როდესაც „ილიას გზით“ მავალ პარლამენტის თავმჯდომარეს იმდენი არ ესმის, რომ ახალგაზრდებს, სტუდენტებს, საზოგადოების ნაწილს „ახალგაზრდა კომუნისტები“ არ უნდა უძახოს და, მით უმეტეს, **არავინ ეკითხება ირაკლი კობახიძეს, „ვისი ადგილი არის ამ ქვეყანაში და ვისი — არა“!**

პარლამენტის თავმჯდომარის სწორედ ეს შეძახილია ყველაზე საინტერესო და იმის გამომააშკარავებელი, რეალურად როგორი აზროვნების ადამიანები დაგვასვა თავზე **ბიძინა ივანიშვილმა.**

**„თქვენი ადგილი არ არის ამ ქვეყანაში“** — ეს შემთხვევით ხომ არ გახსენებთ მიხეილ სააკაშვილის ცნობილ ფრაზას: **„თქვენ უკვე ჩარეცხილები ხართ! თქვენ ამ ქვეყანაში აღარ გაქვთ მომავალი“?!** გახსენებთ კი არა, მეტიც — ეს არ არის ერთი-ერთში მიშას ფრაზა და მიშას აზროვნება?

გთხოვთ, ნუ დაიწყებთ დემაგოგიურ გამოხდომებს: „აბა, სანდრო ბრეგაძეა მაგარი?“, „ლადო სადღობელაშვილია პატრიოტი?“, „ლევან ჩიჩუაა კაი ტიპი?“, „აუდიტორია 115“ არიან წმინდანები?“ და ა.შ.

ეგ ხალხი რომ ჩემში რაიმე სიმპათიას იწვევდეს, თვითონ ვიქნებოდი იქ, ფილარმონიაში, აქციაზე. ჩემს ახლობლებს, რომლებიც ხსენებულ აქციაში მონაწილეობდნენ, ვუთხარი კიდეც, რომ მაგ „ლიდერების“ ორგანიზებულ შეკრებებში მონაწილეობას არ მივიღებ-მეთქი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ირაკლი კობახიძის სამარცხვინო საქციელს რამე გამართლება აქვს.

საზოგადოდ, პარლამენტის თავმჯდომარის (რომელსაც ხალხი უკვე დაცინვით „კულულას“ ეძახის) ასეთი „გაპრავებაც“ ძალიან გვაგონებს მიშასდროინდელ „გაპრავებებს“ ცნობილი ფრაზით — „აბა, გრეჩიხა ჯობდა?“

ანუ, **შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ „ოცნება“ უკვე თავისი „გამპრავებლებიანად“ შეერწყა „ნაციონალურ მოძრაობას“ და ერთადერთი ცოცხილა აკლია, სრულყოფილ ნაცად რომ მოგვევლინოს.**

ალბათ, არც არის გასაკვირი, რადგან **ირაკლი კობახიძე, ალექსანდრე ჯეჯელავა, თამარ ხულორდავა** და სხვები ის ადამიანები არიან, რომლებიც „ნაცრეჟიმის“ ზეობისას ჩირგვებში გატრუნული ისხდნენ, კარიერას იწყობდნენ და, მიშა რომ დარჩენილიყო ქვეყნის სათავეში, არც ნაციონალების პირობებში გაუჭირდებოდათ საკუთარ „წარმატებაზე“ ზრუნვა. თუ ასე არ არის, მაშინ ვინმემ იქნებ შემახსენოთ რომელიმე მათგანის რაიმე სახის, თუნდაც „ადგილობრივი მნიშვნელობის“ პროტესტი ნაციონალების მანიაკობის გამო. მით უმეტეს, ეს ადამიანები სულაც არ არიან ბავშვები, კაი 40-ს მიტანებულნი არიან და მიშას მმართველობის პერიოდში სწორედ იმ ასაკში იყვნენ, რომ, თუ ნამუსი და შუბლის ძარღვი ჰქონდათ, აქტიურად უნდა გამოეხატათ თავიანთი პოზიცია.

ეგ კი არა, **ირაკლი კობახიძის მამა — გიორგი კობახიძე, რომელიც ნინო ბურჯანაძის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო, გავრცელებული ინფორმაციით, 26 მაისს სასტიკად სცემეს, ორი დღე დაპატიმრებულიც ჰყავდათ და მაშინ არ გაუგია არავის მისი „საამაყო“ შვილის პროტესტი;** მეტიც — მშვიდად გააგრძელა მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ-ერთ წამყვან პოსტზე, სადაც, მოგეხსენებათ, ნაცების მონა თუ არ იყავი, არავინ გამუშავებდა და მით უმეტეს ოპოზიციონერი მამის შვილს იქ არავინ გააჩერებდა, რომ არა...

დიახ! **რომ არა სწორედ ის „კომკავშირული“ სულისკვეთება, რომელიც ახლა „კულულამ“ სხვებს წამოაძახა: „მოვკლავ დედას და დავახრჩობ მამას, ჩემი პარტია თუ მომთხოვს ამას!“ — ერთი ეგაა, იმხანად სხვა პარტია სთხოვდა ამას „კულულას“ და მის დაქალ-ძმაკაცებს. ახლა სხვა პარტია სთხოვს. მათთვის და მათნაირებისთვის კი ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია „წარმატებულებისა“ და „შემდგარების“ იმიჯი გაიკეთონ და რომელი პარტიის, რომელი ბატონისა და რომელი აქრიფოს ერთი ადგილის ლოკვით იზამენ ამას, დიდად არც ადარდებთ.**

აი, იმ არქიფოს საქმე კი ნამდვილად ცუდად წავა, რომელიც ასეთებს დაიყენებს გვერდით, თუმცა ეს კიდევ სხვა თემაა...

ჯერჯერობით კი ქართველი საზოგადოების საქმე ძალიან ცუდადაა და კიდევ უფრო ცუდად იქნება, სანამ ასე მოაზროვნეთა რაოდენობა არ შემცირდება. „ირაკლი კობახიძეს ყველა ერთად დაუპირისპირდა! ეს ყველაზე უფრო მეტყველებს, რა მაგარია ის!“ — ასეთი ტიპის ყოვლად სულელურ „გამაპრავებელ“ ფრაზებს, როგორც ჩანს, „ოცნების“ დაკვეთით უკვე ბევრი წერს.

რაც უფრო ბევრი ადამიანი დაგიპირისპირდება, მით მაგარი ხარ? აჰა, კიდევ ერთი წმინდა ნაცური ლოგიკა და იმის ახსნა, რატომ იყო მიშა მაგარი!

„ჩუმად იყავით, თორემ ნაცების წისქვილზე დაასხამთ წყალს“ — ეს ძალიან მოძველდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც „ხოდშია“. **ყველაზე მაგარი „ლოგიკა“ კი ის არის, რომ თურმე ნაცების წისქვილზე წყალს ის ხალხი ასხამს, რომელიც ბოკერიას გასამართლებას ითხოვს, ხოლო ის ხალხი, რომელიც ბოკერიას გვერდით ზის და მასთან ერთად განიხილავს „კონსტიტუციურ საკითხებს“, თურმე დაუძინებელი მტერია „ნაცების წისქვილისა“.**

„ოცნებისტებს“ მიწის საკითხზეც არანაკლებ სასაცილო „არგუმენტები“ აქვთ. ამ შემთხვევაში ყველაზე კომიკური არის ის, რომ მიწების გაყიდვის მთავარ „არგუმენტად“ მოაქვთ ყოვლად სულელური ფრაზა: **„ქართველი გლეხი ზარმაცია და მიწას არ ამუშავებს, ამიტომ ისევ უცხოელებს უნდა მივყიდოთ“.**

აი, რა სულელი ყოფილა ილია ჭავჭავაძე! რა ადგილ-მამული და ქართული მიწების გამოსყიდვა! არ ამუშავებენ გლეხები მიწებს? ადექი და დაურიგე გადამთიელებს! აბა, რა!

ისე, **ამ ქვეყანაში რა ყველაფერი საწყალი გლეხების და უბრალო მოქალაქეების ბრალია,** კაცო! ეს ჩვენ ვართ ზარმაცები, უქნარები, მიწას არ ვამუშავებთ, სამსახურები არ გვინდა, თორემ ვიშოვიდით, რა პრობლემაა?!

სამაგიეროდ, სახელმწიფო მოხელეები გყავს გამრჯეები. სულ რაღაც, 5 ან 10 ათას ლარად თვეში დაუღალავად „ჟიმავენ“ ტვინს, გვაფხიზლებენ და გვეუბნებიან, როგორი უქნარები ვართ! და მერე დიდი რუდუნებით ყიდიან ჩვენგან დაუმუშავებელ მიწებს.

როგორც ჩანს, ირაკლი კობახიძესა და მისნაირებს ილია ჭავჭავაძე და **კახა ბენდუქიძე** ერთმანეთში ერევა...

ეს მათგან არც არის გასაკვირი და ისიც ნუ გაგვიკვირდება, თუ ცოტა ხანში გვეტყვიან, ილია ჭავჭავაძემ განაცხადა, რომ სამი უწმინდესი რამ გვიანდერძა მამა-პაპამ — ფული, გავლენა და მიწების გასხვისებაო.

საერთოდ, **ძალიან კომიკურია, როდესაც ვიღაცების უკანალში ძრომით თანამდებობებზე გამძვრალი ვაზელინიანი ახალგაზრდა მაღალჩინოსნები სხვებს უწოდებენ „კომსომოლას“.**

ეს მართლაც უტიფრობის პიკია!

მე კი მხოლოდ ისღა დამრჩა გასარკვევი, რას ფიქრობს ჩვენი უფალი კობახიძე — ჩემნაირი ჟურნალსტების ადგილი არის ამ ქვეყანაში თუ ასეთ ქვეყანაში მხოლოდ მათგან უკვე მყარად „დაჩმორებული“ ხუთი ტელეარხის, რამდენიმე გაზეთისა და უამრავი ინტერნეტ-მედია-საიტის ადგილია, ნეტავ?

**ირაკლი კობახიძის მამა — გიორგი კობახიძე, რომელიც ნინო ბურჯანაძის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო, გავრცელებული ინფორმაციით, 26 მაისს სასტიკად სცემეს, ორი დღე დაპატიმრებულიც ჰყავდათ და მაშინ არ გაუგია არავის მისი „საამაყო“ შვილის პროტესტი. მეტიც — მშვიდად გააგრძელა მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ-ერთ წამყვან პოსტზე, სადაც, მოგეხსენებათ, ნაცების მონა თუ არ იყავი, არავინ გამუშავებდა და მით უმეტეს ოპოზიციონერი მამის შვილს იქ არავინ გააჩერებდა, რომ არა... რომ არა სწორედ ის «კომკავშირული» სულისკვეთება, რომელიც ახლა «კულულამ» სხვებს წამოაძახა: «მოვკლავ დედას და დავახრჩობ მამას, ჩემი პარტია თუ მომთხოვს ამას!»**

**სოციოლოგების შეფასებით, გალიბაფის რეიტინგი 15-25 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. IPP-ჯგუფის მონაცემებით, მას ამჟამად 23% აქვს, ხოლო რაისის რეიტინგი ბოლო კვირების განმავლობაში 13-დან 20 პროცენტამდე გაიზარდა. მესამე კონსერვატორი კანდიდატის მუსტაფა მირ-სალიმის რეიტინგი, ამ მონაცემების თანახმად, 3%-ს არ სცდება. ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, მოხსნის თუ არა რომელიმე კონსერვატორი ბოლო მომენტში თავის კანდიდატურას სხვა პრეტენდენტის სასარგებლოდ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ შეაჩერებს «სისხლიან აიათოლას»?

**19 მაისს ირანში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. შედეგი ტრადიციულად წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს, რომელიც უცხოელ კომენტატორებს ეხმარება, უკეთ გაერკვნენ ამ ქვეყნის პოლიტიკაში.**

IPP-ჯგუფის გამოკითხვის თანახმად, ყველაზე კარგი შანსი მოქმედ პრეზიდენტს, **ჰასან რუჰანის** აქვს — თვის დასაწყისში მას მხარს უჭერდა გამოკითხულთა 60%. შემდგომ მის მომხრეთა რაოდენობა 55%-მდე შემცირდა, მაგრამ იმის ალბათობა, რომ ბრძოლა პირველსავე ტურში დასრულდება, კვლავინდებურად მაღალია. საერთოდ, ირანის ისლამური რესპუბლიკის ყველა პრეზიდენტი, თანამდებობიდან გადაყენებული **აბულ ჰასან ბანისადრისა** და მოკლული **მოჰამედ ალი რაჯაის** გარდა, პოსტს ორი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში იკავებდა. თუმცა რუჰანის მოწინააღმდეგეები ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ და მწვავედ აკრიტიკებენ მას.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ირანს ამ ეტაპზე ნამდვილად არ ულხინს, მიუხედავად იმისა, რომ რუჰანის გუნდმა ბოლო პერიოდში ინფლაციის შემცირება 30-35%-დან 7,5%-მდე მოახერხა, ხოლო ეკონომიკურმა ზრდამ 6%-ს გადააჭარბა. ბირთვული პრობლემის მოგვარების გეგმის მიღების შემდეგ, ირანი უმეტესი საერთაშორისო სანქციებისგან გათავისუფლდა, თუმცა დასავლეთის ქვეყნების მიერ დაწესებული შეზღუდვების ნაწილი კვლავინდებურად ძალაშია, ეს ხელს უშლის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ნეგატიურ როლს ნავთობის ფასის შემცირებაც ასრულებს. იხურება ბევრი საწარმო, უმუშევრობამ რეკორდულ მაჩვენებელს — 12%-ს მიაღწია, ახალგაზრდებში კი 20%-ს გადააჭარბა.

„ბირთვული გარიგების“ გაფორმების შემდეგ ირანისა და დასავლეთის ურთიერთობებში „დათბობა“ დაიწყო, მაგრამ 2016 წლის დეკემბერში აშშ-ის კონგრესმა ირანის წინააღმდეგ სანქციები (ამ სანქციებს ბირთვულ პროგრამასთან კავშირი არ აქვს; პირველად 1996 წელს შემოიღეს) კიდევ 10 წლით გაახანგრძლივა. **დონალდ ტრამპმა მწვავედ გააკრიტიკა ობამას ადმინისტრაცია „ბირთვული გარიგებისთვის“ და ირანის მისამართით რამდენიმე ძალზე კონფრონტაციული განცხადება გააკეთა, ხოლო ვიცეპრეზიდენტმა პენსმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ირანს „მსოფლიოში ტერორიზმის მთავარი სპონსორი“ უწოდა.** ასეთი საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, მოქმედი პრეზიდენტის ოპონენტები აცხადებენ, რომ დასავლეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციაზე ორიენტირებული რუჰანი ახალ გამოწვევებს ჯეროვნად ვერ გაუმკლავდება.

კომენტატორები ტრადიციულად ყოფენ კანდიდატებს რეფორმატორებად და კონსერვატორებად. პირველ ბანაკს მიაკუთვნებენ მოქმედ პრეზიდენტ რუჰანის, ვიცეპრეზიდენტ ესჰაყ ჯაჰანგირისა და მრეწველობის ყოფილ მინისტრ (1994-2001) მუსტაფა ჰაშემიტაბას. ვიდრე კონსერვატორებზე გადავალთ, მნიშვნელოვანი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ — ირანში საკმაოდ ხშირია ასპარეზზე ერთი ან რამდენიმე „ტექნიკური კანდიდატის“ გამოყვანა, რათა მათ მიზანმიმართულად იმუშაონ იმ ელექტორატთან, რომელთანაც მთავარ კანდიდატს გარკვეული პრობლემები აქვს. არჩევნების წინ ისინი კანდიდატურებს ხსნიან და თავის ამომრჩევლებს მოუწოდებენ, ხმა ამა თუ იმ ლიდერს მისცენ. 2013 წლის არჩევნებში ასეთი კანდიდატი იყო **მოჰამედ-რეზა არეფი**, ახლა იგივე როლი შეიძლება ვიცეპრეზიდენტმა **ჯაჰანგირიმ** შეასრულოს, რომელიც თავიდანვე აცხადებდა, რომ არჩევნებში მხარს რუჰანის დაუჭერს. გამორიცხული არაა, ჰაშემიტაბამ იგივე გააკეთოს, რომელიც ამ ეტაპზე, „უმაღლესი ლიგის“ მოთამაშედ ნამდვილად არ ითვლება. არც ჯაჰანგირის, არც ჰაშიმიტაბას რეიტინგი, IPP-ჯგუფის მონაცემებით, 5%-ს არ სცდება. ამგვარად, **რეფორმატორების ერთადერთი რეალური კანდიტატი ჰასან რუჰანია**.

განსხვავებული ვითარებაა კონსერვატორთა ბანაკში, სადაც სუსტი პრეტენდენტი მხოლოდ ერთია, ორი კი — შედარებით ძლიერი. ყველაზე დიდ ყურადღებას **ებრაჰიმ რაისის** კანდიდატურა იპყრობს. რადიკალურად განწყობილმა მოწინააღმდეგეებმა მას საგულისხმო მეტსახელი — „სისხლიანი აიათოლა“ შეურჩიეს, რადგან ისლამური რევოლუციის შემდეგ რაისიმ, როგორც მოსამართლემ, არაერთი სასიკვდილო განაჩენი გამოიტანა. შემდეგ ის სასამართლო ხელისუფლებაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა; მედია მას ძალზე იშვიათად ახსენებდა. რაისის მხარს ულტრაკონსერვატორები უჭერენ, რომლებიც მიიჩნევენ, რომ აშშ-თან ურთიერთობის გართულებისა და შიდა სიტუაციის გაუარესების ფონზე ქვეყანას „მკაცრი ხელი“ სჭირდება. ამ კანდიდატურას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი უკავშირდება — ებრაჰიმ რაისის განიხილავენ, როგორც ირანის უმაღლესი სასულიერო ლიდერის (რაჰბარის) — ალი ჰამენეის ერთ-ერთ სავარაუდო შემცვლელს. საპრეზიდენტო კამპანიამ შეიძლება ხელი შეუწყოს ებრაჰიმ რაისის „გაპიარებას“ რაჰბარად არჩევის წინ, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ცუდმა შედეგმა არჩევნებში მის პერსპექტივებს რელიგიურ ასპარეზზე ხაზი გადაუსვას. ამ გარემოებას იმთავითვე დაუკავშირდა არჩევნების ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა, ექსპერტები მკითხაობდნენ იმის თაობაზე, მოხსნიდა თუ არა „სისხლიანი აიათოლა“, მომავალი პერსპექტივების გათვალისწინებით, თავის კანდიდატურას სხვა კონსერვატორი კანდიდატის სასარგებლოდ თუ პირიქით — სხვა პრეტენდენტი მხარს მას დაუჭერდა.



თეირანი

**აჰმადინეჟადი დაპირისპირებულია როგორც კონსერვატიული, ისე რეფორმისტული ბანაკის ბევრ ლიდერთან და ამავე დროს მოსახლეობაში საკმაოდ პოპულარულია. მას აქვს იმის პოტენციალი, რომ ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი, ერთგვარი «მესამე ძალა» ჩამოაყალიბოს. ახალი «პოლუსი», დიდი ალბათობით, ბოლოს მოუღებს «ორი ბანაკის» ბიპოლარულ სისტემას, რომლის მეშვეობით სასულიერო ლიდერები ირანულ პოლიტიკას აკონტროლებენ**



მაჰმუდ აჰმადინეჟადი

მეორე ძლიერი კანდიდატი კონსერვატორთა ბანაკიდან თეირანის მერი **მოჰამედ ბაგერ გალიბაფია**. ამ პოსტზე ის 2005 წლის სექტემბერში აირჩიეს, მას შემდეგ, რაც ამავე წლის ივნისში საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა. გალიბაფმა პირველ ტურში ხმათა 13,93% მიიღო და მეოთხე ადგილზე გავიდა, მეორე ტურში კი აჰმადინეჯადმა რაფსანჯანისთან ბრძოლაში გაიმარჯვა. 2013 წლის არჩევნებში გალიბაფმა ხმათა 16,46%-ით მეორე ადგილი დაიკავა. მაშინ პირველსავე ტურში ჰასან რუჰანიმ გაიმარჯვა (50,88%). გალიბაფს ზომიერ კონსერვატორად და რეფორმების მომხრედ მიიჩნევენ, თუმცა მის ბიოგრაფიაში არის ერთი შტრიხი, რომელიც ლიბერალურად განწყობილ ირანელებს აფრთხობს – გალიბაფი პოლიციის უფროსად მუშაობდა, 1999 და 2003 წლების სტუდენტური პროტესტის ჩახშობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მიუხედავად ამისა, მისი რეიტინგი წლევანდელი არჩევნების წინ საკმაოდ დამაჯერებელია და ის, სავარაუდოდ, უფრო მაღალი იქნებოდა, რომ არა რამდენიმე ხმაურიანი კორუფციული სკანდალი თეირანის მერიაში, რომელიც ბოლო დროს მოხდა.

სოციოლოგების შეფასებით, **გალიბაფის რეიტინგი** 15-25 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. IPP-ჯგუფის მონაცემებით, მას ამჟამად 23% აქვს, ხოლო **რაისის რეიტინგი** ბოლო კვირების განმავლობაში 13-დან 20 პროცენტამდე გაიზარდა. მესამე კონსერვატორი კანდიდატის **მუსტაფა მირ-სალიმის რეიტინგი,** ამ მონაცემების თანახმად, 3%-ს არ სცდება. ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, მოხსნის თუ არა რომელიმე კონსერვატორი ბოლო მომენტში თავის კანდიდატურას სხვა პრეტენდენტის სასარგებლოდ.

ექსპერტების შეფასებით, არჩევანს იდეოლოგიური სიახლოვის საფუძველზე ირანელი ამომრჩევლების მხოლოდ 20-25% აკეთებს. დანარჩენებისთვის მთავარია კონკრეტული პრობლემების მოგვარების დაპირება და შთაბეჭდილება, რომელსაც სატელევიზიო დებატების დროს იღებენ. ამასთანავე, დაყოფა კონსერვატორებად და რეფორმატორებად მნიშვნელოვანწილად პირობითია, ზოგიერთი კანდიდატის (მაგალითად, გალიბაფის) შეხედულებები საკმაოდ ეკლექტურია. სხვადასხვა პარტიისა და გავლენიანი პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესები არ ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ კონსერვატორებმა ერთიანი პოზიცია შეიმუშავონ და ერთი კანდიდატის გარშემო გაერთიანდნენ. საბოლოო ჯამში კი არჩევნების დრამატურგიას ქმნიან არა პოლიტიკოსები, არამედ სასულიერო ლიდერები, რომლებიც „კონსტიტუციის მცველთა საბჭოს“ მეშვეობით წყვეტენ, ვინ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში.

საბჭო 12 წევრისგან შედგება, მას **აიათოლა აჰმად ჯანათი** ხელმძღვანელობს. მის ექვს წევრს უმაღლესი სასულიერო ლიდერი ნიშნავს, ექვსს კი — პარლამენტი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დეპუტატობის კანდიდატებსაც ეს საბჭო ამტკიცებს, ნაკლებად სავარაუდოა, იქ თუნდაც ერთი „მეამბოხე“ მოხვდეს. საბჭო ამოწმებს ყველა კანონპროექტს და, აგრეთვე, წყვეტს, მინისტრობის, დეპუტატობისა და პრეზიდენტობის რომელ კანდიდატს შეუძლია დაიკავოს თანამდებობა. საბჭოს უფლება აქვს, პარლამენტის გადაწყვეტილებას ვეტო დაადოს და კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანოს. წელს განაცხადი საბჭოში 1636 კანდიდატმა შეიტანა, მაგრამ არჩევნებზე მხოლოდ 6 დაუშვეს.

სხვებთან ერთად დისკვალიფიკაცია შეეხო ყოფილ პრეზიდენტს — **მაჰმუდ აჰმადინეჟადს** და რამდენიმე მის თანაგუნდელს. საინტერესოა, რომ აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის მიწურულს მას უმაღლეს სასულიერო ლიდერ ალი ჰამენეისთან სერიოზული კონფლიქტი ჰქონდა. წლევანდელი არჩევნების წინ რაჰბარმა ალი ჰამენეიმ ღია წერილში მოუწოდა ყოფილ პრეზიდენტს, არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღო, მაგრამ აჰმადინეჯადმა რეგისტრაცია მაინც გაიარა, რაც, ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკური ტრადიციების გათვალისწინებით, სასულიერო ლიდერის პოზიციის უპრეცენდენტო უგულვებელყოფაა. ის არჩევნებზე არ დაუშვეს, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მცველთა საბჭოს თავმჯდომარე აიათოლა აჰმად ჯანათი მის მოკავშირედ ითვლება და ეს, რაჰბართან კონფლიქტის გარდა, შესაძლოა, კიდევ ერთმა მნიშვნელოვანმა მიზეზმა განაპირობა.

**აჰმადინეჟადი დაპირისპირებულია როგორც კონსერვატიული, ისე რეფორმისტული ბანაკის ბევრ ლიდერთან და ამავე დროს მოსახლეობაში საკმაოდ პოპულარულია. მას აქვს იმის პოტენციალი, რომ ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი, ერთგვარი „მესამე ძალა“ ჩამოაყალიბოს. ახალი „პოლუსი“, დიდი ალბათობით, ბოლოს მოუღებს „ორი ბანაკის“ ბიპოლარულ სისტემას, რომლის მეშვეობით სასულიერო ლიდერები ირანულ პოლიტიკას აკონტროლებენ.** მიუხედავად იმისა, რომ აჰმადინეჟადი არჩევნებზე არ დაუშვეს, სავარაუდოდ, ის კვლავ შეეცდება ხელისუფლებაში დაბრუნებას. ამჯერად კი, თუ კონსერვატორები არჩევნებამდე დარჩენილ მცირე დროში სასწაულს არ მოახდენენ, ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი **ჰასან რუჰანი** გახდება.

სულ ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ გალიბაფმა კანდიდატურა რაისის სასარგებლოდ მოხსნა. ამგვარად „სისხლიანი აიათოლა“ მოქმედი პრეზიდენტის მთავარი კონკურენტი გახდა..

**ლუკა ნემსაძე**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 9.5 მლრდ აშშ დოლარი (25.1 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც 2016 წლის წლიური მშპ-ს 66.1 პროცენტია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 3.8 მლრდ აშშ დოლარია (10.1 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 26.6 პროცენტია.**

# საქართველოს საგარეო ვალმა მოიმატა



**საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს 2016 წლის ბოლოს უცხოელი კრედიტორების 15,5 მლრდ დოლარი ემართა. ეს 41 მლრდ ლარი და ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის 108.2%-ია.**

გასული წლის ბოლო კვარტალში, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 149 მლნ აშშ დოლარით მოიმატა. მთლიანი საგარეო ვალის 93.7 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით. საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 9.5 მლრდ აშშ დოლარი (25.1 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც 2016 წლის წლიური მშპ-ს 66.1 პროცენტია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 3.8 მლრდ აშშ დოლარია (10.1 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 26.6 პროცენტია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2017 წლის აპრილის მონაცემებით, 2016 წლის 31 დეკემბერს ყველაზე დიდი სახელმწიფო ვალი ჰქონდა **იაპონიას** — მშპ-ს 239%, რაც დოლარებში 11 ტრილიონია. მეორე ადგილზეა **საბერძნეთი** — მშპ-ს მიმართ 181%-ით, 335 მილიარდი დოლარი, მესამეზეა **ლიბანი** — მშპ-ს 143 %, 32 მილიარდ 640 მილიონი დოლარი.

ყველაზე მეტი საგარეო ვალი აღებული აქვთ **აშშ**-ს — 17,9 ტრილიონი დოლარი, **ევროკავშირს** —17, 9 დოლარი და **დიდ ბრიტანეთს** — 9,9 დოლარი.

# სეისმოლოგი: საქართველოში 7 მაგნიტუდის მიწისძვრის ალბათობა არსებობს



**ილიაუნის სეისმოლოგიური ცენტრის დირექტორ თეა გოდოლაძის განცხადებით, გრძელვადიანი პროგნოზით, რომელიც 50 წელს მოიცავს, საქართველოში 7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრის ალბათობა არსებობს. თეა გოდოლაძის თქმით, სტატისტიკურად საქართველოში მიწისძვრების რაოდენობა არ გახშირებულა.**

„ეს არის ბუნებრივი პროცესი, რომელიც ახლავს იმ ტექტონიკურ აგებულებას, რომელიც ჩვენს რეგიონს აქვს. ასე რომ, სეისმურად აქტიურ რეგიონში ვართ. მიწისძვრები ჩვენთან იყო და კიდევ იქნება ისეთივე სტატისტიკით, როგორიც დღემდე იყო. ჩვენ ვიმყოფებით არაბეთისა და ევრაზიის ფილაქნების შეჯახების ზოლში. ეს ზოლი თავისთავად აქტიურია სეისმურად და, რომელი უბანი როდის გამწვავდება, არავინ იცის“, — განაცხადა სეისმოლოგმა. თეა გოდოლაძის განცხადებით, მიწისძვრის პროგნოზი გადაუჭრელი საკითხია, თუმცა, გარკვეული ალბათობით, შესაძლებელია გრძელვადიანი პროგნოზების გაკეთება.

„ჩვენ, სეისმოლოგები, ვაკეთებთ გრძელვადიან პროგნოზს, ანუ ვაფასებთ საფრთხეს და ამის ფარგლებში ვაფრთხილებთ, რომ, გარკვეული ალბათობით, ამა და ამ სიზუსტის ფარგლებში შესაძლებელია მოხდეს ამ კლასის მაგნიტუდა. ჩვენ, მაგალითად, ვამბობთ, რომ საქართველოში შესაძლებელია, მოხდეს მიწისძვრები, რომელთა მაგნიტუდა 7-ს აჭარბებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო მზად უნდა იყოს“, — განმარტა სეისმოლოგმა.

ამიერკავკასიაში თითქმის ყოველ მეორე დღეს ხდება მიწისძვრა, რომელიც ნგრევასა და მსხვერპლს არ იწვევს. მხოლოდ მიმდინარე თვეში საქართველოში 3 მიწისძვრა მოხდა.



# სიგარბარის მოსაწყობად სპეციალური ნებართვა იქნება საჭირო

**საკანონმდებლო ინიციატივა, რომ სიგარბარის მოსაწყობად სპეციალური ნებართვა იქნება საჭირო, პარლამენტის ბიუროს უკვე წარედგინა.** სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა 15 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრება. პროექტის ავტორები არიან დეპუტატები: აკაკი ზოიძე და ლევან კობერიძე.

# 2016 წელს განქორწინების რაოდენობამ მოიმატა, ქორწინებისა — შემცირდა



**„საქსტატის“ 2016 წლის მონაცემებით, განქორწინების ყველაზე მეტი შემთხვევა (3 064) იმ წყვილებზე მოდის, რომლებიც დაახლოებით 4 წელს იყვნენ დაქორწინებული. მას მოსდევს 20 და მეტი წლის ხანგრძლივობის ქორწინების მქონე წყვილთა განქორწინება — 2 296 შემთხვევა, 2 274 განქორწინება აღირიცხა 5-დან 9 წლამდე ხანგრძლივობის ქორწინების წყვილებზე. 2016 წელს განქორწინებული წყვილების უმრავლესობა პირველად იყო დაქორწინებული.**

2016 წელს რეგისტრირებული განქორწინების ყველაზე დიდი რაოდენობა — 3 688 შემთხვევა — თბილისზე მოდის, 2015 წელთან შედარებით ეს მაჩვენებლი 87 ერთეულით გაიზარდა. შარშან 1 450 რეგისტრირებული განქორწინება აღირიცხა იმერეთში, 982 კი — ქვემო ქართლში. ყველაზე ცოტა (56) განქორწინება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დარეგისტრირდა. რაც შეეხება ქორწინებებს, შარშან საქართველოში 25 101 ადამიანი დაქორწინდა და 2015 წელთან შედარებით ქორწინების რაოდენობა 4 056 ერთეულით შემცირდა.

„საქსტატის“ ცნობით, ყველაზე მეტი ქორწინება 20-24 და 25-29 წლის ახალგაზრდებზე მოდის. აღსანიშნავია, რომ 20-დან 24 წლამდე 7 978 ქალი, ხოლო 25-დან 29 წლამდე 7 174 კაცი დაქორწინდა. 2016 წელს ყველაზე მეტი ქორწინება (7 304) თბილისში დარეგისტრირდა, თუმცა ეს 2015 წლის მონაცემზე (8 249 ქორწინება) 945 ერთეულით ნაკლებია. 3 832 ქორწინება დარეგისტრირდა იმერეთში, 2 631 კი — აჭარაში. 2016 წელს ყველაზე ცოტა (203) ქორწინების რეგისტრაცია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში აღირიცხა.

## 2016 წელს 9 539 წყვილი განქორწინდა, 427-ით მეტი, ვიდრე 2015 წელს



# რა ღირს დასვენება საქართველოს კურორტებზე

**ზაფხულის მოახლოებასთან ერთად აქტუალური ხდება დასვენება და შვებულების კომფორტულად გატარების თემა. ვებგვერდმა „ბიზნესნიუსმა“ საქართველოს კურორტებზე დასვენების ფასები გამოაქვეყნა:**

### ბორჯომი

ზაფხულის კურორტებიდან ბორჯომი დამსვენებლებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ქალაქში არის როგორც ძვირად ღირებული სასტუმროები, აგრეთვე, კოტეჯები და საოჯახო ტიპის სასტუმროებიც. ყველაზე ძვირად ღირებულ სასტუმრო „ქრაუნ პლაზაში“ ზაფხულის პერიოდში ერთი ღამის მინიმალური ღირებულება 230 დოლარია, ფასში შედის სამჯერადი კვება. რაც შეეხება სახლის დაქირავებას, ერთოთახიანი ბინის ორი კვირით დაქირავება 800-900 ლარიდან იწყება, თუმცა ფასები ადგილმდებარეობის მიხედვით იზრდება.

### საირმე

თუ სასტუმრო „საირმეში“ გადაწყვეტთ დასვენებას, მდინარის ხედით სტანდარტული ნომრის ფასი ერთი დღით იანვრიდან მაისის ჩათვლით 59 დოლარია, იმავე პერიოდში ბუნების პეიზაჟიანი ხედით ნომერში 48 დოლარის გადახდა მოგიწევთ. განსხვავებული თანხა უნდა გადაიხადოთ, თუ სასტუმრო „საირმეში“ დასვენებას ივნისიდან სექტემბრის პერიოდში გადაწყვეტთ — მდინარის ხედით ნომერში 76 დოლარის, ხოლო ბუნების ხედით ნომერში 65 დოლარის გადახდა მოგიწევთ. სასტუმრო „იმერეთში“ დაბინავება კი ერთადგილიან ნომერში ცხელი წყლის გარეშე 50 ლარი ღირს, ცხელი წყლით კი — 65 ლარი.

### რაჭა

რაჭაში ყველაზე ძვირად ღირებული სასტუმრო არის ონის რაიონის ბალნეოლოგიურ კურორტ შოვში „სანსეტ შოვი“, რომელმაც სტუმრების მიღება პირველი მაისიდან დაიწყო. მაისსა და ივნისში სტანდარტული ნომერი ორ ადამიანზე 165 ლარი ღირს, თვეების მიხედვით კი ფასიც იზრდება: ივლისში 220 ლარი იქნება, აგვისტოში კი ფასი 295-მდე მოიმატებს. ნომრის ღირებულებაში გათვალისწინებულია სამჯერადი კვება, უწყვეტი ინტერნეტი და სატელიტური ტელევიზიით სარგებლობა. განსხვავებული ფასებია კოტეჯებზე. სამოთახიანი კოტეჯის დაქირავება (სამი საძინებლით, სამზარეულოთი და სააბაზანოთი) 630 ლარი ღირს. ივლისში ფასი 715 ლარამდე მოიმატებს, ხოლო აგვისტოში — 905 ლარამდე.

### ყაზბეგი

ყაზბეგში ყველაზე ძვირად ღირებული სასტუმროა „რუმსი“. სასტუმროში კვირის სხვადასხვა დღეს სხვადასხვა ფასი მოქმედებს. განსხვავებულია ფასები ხედების მიხედვით. შაბათ-კვირას ორკაციანი ნომრის ფასი 145 დოლარიდან იწყება და 250 დოლარამდე ადის, შუა კვირაში კი ნომრის ფასი 100 დოლარიდან 150 დოლარამდე მერყეობს. ფასში მხოლოდ დილის საუზმე შედის.

### ბათუმი

ზღვისპირა კურორტებიდან ყველაზე პოპულარულია ქალაქი ბათუმი. ბათუმში სეზონი ივლისში იწყება და სექტემბრის შუა რიცხვებამდე გრძელდება. ქალაქში ყველაზე ცნობილი და ძვირად ღირებული სასტუმროების ნომრების ფასი 100 დოლარიდან იწყება. მცირე ტიპის სასტუმროებში ნომრების ფასი 25 ლარიდან იწყება და 100 ლარამდე ადის. გარდა ამისა, დამსვენებელს შეუძლია ბინის დაქირავება. ბინის ფასი კი 15 ლარიდან იწყება და ადგილმდებარეობის მიხედვით იზრდება.

### სვანეთი

სვანეთში, კერძოდ, მესტიაში, ყველაზე ძვირად ღირებულ სასტუმროში ერთი დღე 90 დოლარი ღირს. თუმცა საოჯახო სასტუმროებში ფასი შედარებით მცირეა და ერთ ადამიანს ღამეში, სულ ცოტა, 40 ლარის გადახდა მოუწევს. ზოგიერთი სასტუმროს შეთავაზებაში მანქანით მომსახურება, ცხენით გასეირნება და კვალიფიციური გამყოლების მომსახურებაც შედის.

### კახეთი

კახეთში ყველაზე ძვირად ღირებულ სასტუმროდ კვლავ რჩება „ლოპოტა სპა რეზორტი“, რომელშიც ზაფხულის სეზონზე საოჯახო ტიპის ნომერი 220 დოლარი ღირს. 16 წლამდე მოზარდების მიღება უფასოა. ნომრის ფასში შედის სამჯერადი კვება. განსხვავებული ფასებია ყვარლის სასტუმროებში — „როიალ ბატონში“ ნომერი 95 დოლარიდან იწყება, ყვარლის „ედემში“ კი — 80 დოლარიდან.



**ამ პროტოკოლური ღონისძიებების ამსახველმა ფოტოებმა მხიარულ განწყობაზე დააყენა სოციალური ქსელის მომხმარებლები. ტრამპთან შეხვედრებისას სოციალური ქსელების მომხმარებელთა ყურადღება მიიპყრო თანამოსაუბრეთა — ტრამპის, კვირიკაშვილის, კლიმკინისა და ლავროვის — პოზებისა და ჟესტიკულაციის განსხვავებამ. კომენტარები ასეთი იყო: „ტრამპი: სერგეი, ვიდრე სიგარეტს მოწევ, ჩემს მსახურს ლუდზე გავგზავნი“. „ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს კლიმკინმა ტრამპს ყავა მიართვა“.**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ორი ტრუფალდინო ტრამპთან
# კლიმკინი კვირიკაშვილზე გაუშვეს

**იტალიელმა მწერალმა კარლო გოლდონიმ 1749 წელს დაწერა შესანიშნავი კომედია „ორი ბატონის მსახური“ (ორი საუკუნის შემდეგ ამ ნაწარმოების მიხედვით საბჭოთა კავშირში გადაიღეს ფილმი „ტრუფალდინო ბერგამოდან“, რომელშიც მთავარ როლს კონსტანტინე რაიკინი ასრულებს). ტრუფალდინო, იტალიური დელ არტეს კომედიების (სახალხო მასობრივი კომედიები) პერსონაჟი, შემოსილია სხვადასხვა ფერის ნაჭრისგან შეკერილი ტანსაცმლით, შლაპით და ატარებს კურდღლის კუდს, გოლდონის კომედიაში ემსახურება ორ ბატონს. ამ შემთხვევაში კი, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, პირიქითაა — ერთ ბატონს ორი ყურმოჭრილი მსახური ჰყავს...**

**ე.წ. სტრატეგიული პარტნიორის — აშშ-ის — პატრონყმური დამოკიდებულება საქართველოსა და უკრაინის მიმართ ნათლად გამოჩნდა თეთრ სახლში აშშ-ის პრეზიდენტის მიერ საქართველოს პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილის და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ პავლე კლიმკინის მიღების ცერემონიაზე, სადაც არ ჩანდა არანაირი დიპლომატიური ეტიკეტი და პატივისცემა სტუმრების მიმართ და ეს შეხვედრები სიუზერენისა და ვასალების შეხვედრებს უფრო ჰგავდა.**

აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** კვირიკაშვილისა და კლიმკინის მიღებისას სავარძელში იჯდა, ხოლო საქართველოსა და უკრაინის წარმომადგენლები უხერხულად იდგნენ ფეხზე.

სრულიად განსხვავებული ვითარება იყო მოგვიანებით, როცა ტრამპი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **სერგეი ლავროვს** შეხვდა — ორივენი სავარძელში ისხდნენ და ტოლ-სწორებივით საუბრობდნენ.

ამ პროტოკოლური ღონისძიებების ამსახველმა ფოტოებმა მხიარულ განწყობაზე დააყენა სოციალური ქსელის მომხმარებლები. ტრამპთან შეხვედრებისას სოციალური ქსელების მომხმარებელთა ყურადღება მიიპყრო თანამოსაუბრეთა — ტრამპის, კვირიკაშვილის, კლიმკინისა და ლავროვის — პოზებისა და ჟესტიკულაციის განსხვავებამ. კომენტარები ასეთი იყო:

* ტარამპისა და კვირიკაშვილის ფოტოზე:

**„არანაირი დიპლომატიური ეტიკეტი და პროტოკოლი, არანაირი პატივისცემა!“**

* ტრამპისა და კლიმკინის ფოტოზე:

**„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს კლიმკინმა ტრამპს ყავა მიართვა“.**

* ტრამპისა და ლავროვის ფოტოზე:

**„ტრამპი: სერგეი, ვიდრე სიგარეტს მოწევ, ჩემს მსახურს ლუდზე გავგზავნი“.**

ალსანიშნავია, რომ უკრაინის პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი, ისევე, როგორც ოდესის ყოფილი გუბერნატორი და საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ხშირად ყოფილან სოციალური ქსელის მომხმარებელთა დაცინვის ობიექტი. მომხმარებელთა ყურადღება არაერთხელ მიუპყრია უკრაინის პრეზიდენტის — **პეტრე პოროშენკოს**, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის — პავლე კლიმკინის, ყირიმელი თათრების ლიდერის — **მუსტაფა ჯემილევისა** და მიხეილ სააკაშვილის სამოსელს, ცოტა ხნის წინათ კი გამოქვეყნდა ფოტო, რომელსაც ერთვოდა კომენტარები:

**„როცა მკერავი კრემლის აგენტია“.**

**„როგორც ჩანს, სააკაშვილმა — შარვალი, ხოლო პეტიამ (პოროშენკომ — ლ.მ.) პიჯაკი იჯარით აიღეს“.**



„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს კლიმკინმა ტრამპს ყავა მიართვა“.



„არანაირი დიპლომატიური ეტიკეტი და პროტოკოლი, არანაირი პატივისცემა!“



„ტრამპი: სერგეი, ვიდრე სიგარეტს მოწევ, ჩემს მსახურს ლუდზე გავგზავნი“.



„როცა მკერავი კრემლის აგენტია“. „როგორც ჩანს, სააკაშვილმა — შარვალი, ხოლო პეტიამ პიჯაკი იჯარით აიღეს“.

**P.S. უკრაინის პარლამენტის დეპუტატის — ანდრეი არტიომენკოს განცხადებით, აშშ-ის პრეზიდენტსა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრს შორის 11 მაისს თეთრ სახლში გამართული შეხვედრა უკრაინის სახელმწიფოს 400 ათასი დოლარი დაუჯდა. „ამ შეხვედრის გასამართავად უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ცნობილ ამერიკელ ლობისტურ ფირმას 400 ათასი დოლარი გადაუხადეს, უკრაინელი ხალხისთვის მოპარული ფული“, — დაწერა სოციალურ ქსელში უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა რადიკალური პარტიიდან — ანდრეი არტიომენკომ.**

# ევროპელი ახალგაზრდები
# დემოკრატიით იმედგაცრუებულნი არიან



**საქართველოში ე.წ. დემოკრატიული ფასეულობების დასამკვიდრებლად თავგამოდებით ილვწიან დასავლელი ემისრები თუ მათ მიერ დაქირავებული და გულუხვად დაფინანსებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, თვით დასავლეთში, კერძოდ, ევროპაში კი ახალგაზრდა ევროპელები სულაც არ მიიჩნევენ დემოკრატიას სახელმწიფო წყობის საუკეთესო ფორმად.**

საერთაშორისო ორგანიზაცია YouGov-Studie-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ახალგაზრდა ევროპელთა თითქმის ნახევარი დემოკრატიას არ მიიჩნევს საუკეთესო სახელმწიფო წყობად.

ევროპისა და ევროპული ინსტიტუტების მიმართ დამოკიდებულებაზე გამოკითხული იქნა 16-დან 26 წლამდე ევროპელები დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთსა და ესპანეთში. **რესპონდენტთა 48%-მა განაცხადა, რომ დემოკრატია არ არის სახელმწიფო წყობილების კარგი ფორმა. ბევრი ახალგაზრდა ევროპას, უწინარესად, განიხილავს, როგორც ეკონომიკურ სივრცეს და არა ეროვნული და კულტურული ფასეულობების მქონე თანამეგობრობას.**

გამოკითხული ევროპელი ახალგაზრდების 37% კრიტიკულად არის განწყობილი ევროკავშირის მიმართ და სურს, ევროკავშირს ნაკლები გავლენა ჰქონდეს ამ გაერთიანებაში შემავალ სახელმწიფოებზე, ანუ სურთ, მეტი ძალაუფლება ჰქონდეთ ნაციონალურ ხელისუფლებებს.

**ბერძენი ახალგაზრდების 60% და იტალიელთა 39% მომხრეა, რომ ევროკავშირმა ძალაუფლება დაუბრუნოს ნაციონალურ ხელისუფლებებს. გერმანიაში კი ასეთი თვალსაზრისის მქონე ახალგაზრდები მხოლოდ 23%-ია.**

**მოამზადა ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ადამიანთა მოდგმას ისეთი ერთობლივი სიხარული არასოდეს განუცდია, როგორიც დიდი სამამულო ომის დასრულების დღეს — 1945 წლის 9 მაისს. ომში ჩაბმულმა პლანეტის 62 (იმხანად არსებული 73-დან) დიდმა თუ პატარა სახელმწიფომ 110 მილიონი ჯარისკაცით უდიდესი მსხვერპლის ფასად დაამარცხა ფაშიზმი და მსოფლიო იხსნა კატასტროფისგან, გადაარჩინა ცივილიზაცია. ვინ იყო ამ გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი? — მტერსაც და მოყვარესაც ერთი პასუხი აქვს — სტალინი.**

# სტალინი და 1945 წლის 24 ივნისის გამარჯვების აღლუმი

## «რა ღმერთია ის, ვინც ადამიანებმა ჯვარს აცვეს, და რა ადამიანები არიან ის გადამთიელები, რომლებმაც თავიანთი ღმერთი მოკლეს?»

**სტალინის განვლილ ცხოვრებას როდესაც გაეცნობი და გაიაზრებ, წარმოიდგენ მისი ყოველდღიური საქმიანობის მიზანსა და მიზნის მისაღწევად საჭირო შესაძლებლობებს, აგრეთვე, გააცნობიერებ, რომ ყველაფერი მხოლოდ მისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მოხდა, მიხვდები, რომ ის შენგან, ჩვეულებრივი მოკვდავისგან, ძალიან შორს დგას.**

დღეს, როცა გადმოგდებული რამდენიმე ლარის გამო საღებავს ასხამ სტალინის ქანდაკებას, კვარცხლბეკიდან აგდებ მის ძეგლს და თავში ხელს უბარტყუნებ, ან ფაშიზმის განადგურების აღმნიშვნელ ზეიმზე იმ პატარა ქოხის წინ, სადაც სტალინი დაიბადა, მიზნად ისახავ, ბოლომდე ამოძირკვო სტალინის სახელი, ხოლო ძეგლს უდგამ გადამთიელ **რონალდ რეიგანს** და დედაქალაქში ქუჩას ჯორჯ ბუშის სახელს არქმევ, არც ის პიროვნება ხარ, რომელიც ოდესმე ღმერთს თაყვანს სცემდა და არც სულიერი და ფიზიკური ძალა გაქვს, ღმერთს შეებრძოლო და დაამარცხო. **შენ მხოლოდ ყბედი ნაძირალა ხარ! დამნაშავე არა მხოლოდ ის ნაძირალაა, რომელიც ამას სჩადის, არამედ ყველა, ვინც ამას უყურებს და არ აღკვეთს.**

ადამიანთა მოდგმას ისეთი ერთობლივი სიხარული არასოდეს განუცდია, როგორიც დიდი სამამულო ომის დასრულების დღეს — 1945 წლის 9 მაისს. ომში ჩაბმულმა პლანეტის 62-მა (იმხანად არსებული 73-დან) დიდმა თუ პატარა სახელმწიფომ 110 მილიონი ჯარისკაცით უდიდესი მსხვერპლის ფასად დაამარცხა ფაშიზმი და მსოფლიო იხსნა კატასტროფისგან, გადაარჩინა ცივილიზაცია.

**ვინ იყო ამ გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი? – მტერსაც და მოყვარესაც ერთი პასუხი აქვს — სტალინი.**

1945 წლის 9 მაისს წითელ მოედანზე, მავზოლეუმის ტრიბუნაზე მყოფი სტალინი ერთობ ჩაფიქრებული გაცქეროდა სივრცეს — თავისი ფიქრებით შორს იყო მოედანზე მიმდინარე მოვლენებისგან. რა უნდოდა მას? მეტი? — არა. ნაკლები? — არა. **სტალინს ოკეანის შორეული ტალღის გუგუნი ესმოდა; ესმოდა ნაგასაკისა და ჰიროსიმას ნგრევის ხმაური; გულს უკლავდა ტაო-კლარჯეთის დაბრუნების ფილიგრანულად აწყობილი სტრატეგიული გეგმის შეუსრულებლობა; მხრებზე აწვა ოთხი წლის უძილო ღამეების სიმძიმე და ხანდაზმულობის ასაკს მიახლოებული ნაპატიმრალი კაცის მძიმე ცხოვრების გარკვეული წლები; თვალწინ ტრიალებდა ღალატის, მცონარობის, უცოდინარობის, უკიდეგანო ქვეყნის ინტელექტუალური სიცარიელის კალეიდოსკოპი. წითელ მოედანზე კი გუგუნებდა მოზეიმე ხალხი.**

9 მაისი ხალხის აღფრთოვანებისა და აღტყინების გამომხატველი სპონტანურად ჩატარებული ზეიმის დღე იყო, სადაც ნაკლებად ჩანდა „ბრბოს" მართვის ხელოვნება. **ზეიმიდან რამდენიმე დღის შემდეგ შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა უმაღლესი მთავარსარდლის დირექტივა მიიღო „განსაკუთრებული მნიშვნელობის აღლუმის ჩატარების შესახებ" დირექტივის როგორც სათაურიდან, ისე შინაარსიდანაც ჩანდა, რომ ღონისძიება გრანდიოზული უნდა ყოფილიყო.** გენერალურმა შტაბმა სტალინს „განსაკუთრებული აღლუმის" ზოგადი გეგმა წარუდგინა, რომელშიც მითითებული იყო ღონისძიების მომზადების ხანგრძლივობა და ჩატარების დრო. გენერალურმა შტაბმა აღლუმის მოსამზადებლად 2 თვე მოითხოვა, სტალინმა კი ჯარების მომზადების ვადად 1 თვე განსაზღვრა და 1945 წლის 25 მაისს საიდუმლო ბრძანებაც გამოსცა გენერალური შტაბისა და ფრონტის სარდლების მიმართ „განსაკუთრებული აღლუმის მომზადების შესახებ".

რეჟისორმა ამ გიგანტური წარმოდგენის მომზადებაში უზარმაზარი ფანტაზია ჩადო. ყველა ურთულესი თუ უმარტივესი სცენა და მიზანსცენა სტალინმა გამოიგონა და შექმნა. გამოიანგარიშა პარადის შემადგენლობის რაოდენობა და მათი მოძრაობის სქემაც.

აღლუმზე სტალინმა კვლავ გამოიჩინა რუსი ერისადმი გამორჩეული მიდგომა და პატივისცემა. როგორც იქ, ბერლინში, ისე აქაც, წითელ მოედანზე, უპირატესობა დიდ რუს ერს მიენიჭა.

სტალინის ბრძანებით, აღლუმში მონაწილეობა არ უნდა მიეღო: ამიერკავკასიის, შორეული აღმოსავლეთის, დასავლეთის, ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთის ფრონტებს.

„განსაკუთრებულ აღლუმში" მონაწილეობა უნდა მიეღო კარელია-ფინეთის, ლენინგრადის, ბალტიისპირეთის პირველ, ბელორუსიის მესამე, მეორე, პირველ, უკრაინის პირველ, მეოთხე, მეორე, მესამე ფრონტის მებრძოლებს (ფრონტები იმ რიგითობით ჩამოვთვალე, როგორითაც აღლუმზე გაიარეს), აგრეთვე, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალებს. თითოეულ ფრონტს უნდა ჰყოლოდა სხვადასხვა სახეობის ჯარის ნაწილების 1465 ჯარისკაცი და 10 რეზერვისტი. გამარჯვების აღლუმში მონაწილეობა უნდა მიეღოთ აკადემიებისა და სამხედრო სასწავლებლების კურსანტებს, მოსკოვის გარნიზონის ჯარებს. აღლუმზე უნდა გამოსულიყო ყველა ფრონტის სარდალი.

გაიცა ბრძანება აღლუმში მონაწილე ჯარისკაცთა მკაცრად შერჩევის შესახებ. **ჯარისკაცები უნდა შერჩეულიყვნენ საბრძოლო მამაცობის მიხედვით, ჯილდოებისა და დამსახურების გათვალისწინებით. მკაცრად იყო მითითებული, რომ მებრძოლი უნდა ყოფილიყო გამორჩეული გარეგნობის, ბრგე, სიმაღლით არანაკლებ 176 სანტიმეტრის. განსაზღვრული იყო, აგრეთვე, წლოვანება — არაუმეტეს 30 წლისა.**

მოსკოვის გარნიზონის შენაერთებს, სამხედრო აკადემიებსა და სასწავლებლებს ჰქონდათ სააღლუმე ფორმები, მაგრამ მოსკოვში ჩამოსული ჯარის ნაწილებისთვის საჭირო იყო საზეიმო ტანსაცმელი, და ამის გამოც გარკვეული სიძნელეები შეიქმნა.

გაიცა განკარგულება, მოსკოვის ყველა სამკერვალო ფაბრიკა და ატელიე გადასულიყო ჯარისკაცებისთვის სააღლუმე ფორმის შეკერვაზე. გაიცა მითითება, რომელი ბუზმენტითა და ელემენტით უნდა დამშვენებულიყო საზეიმო ტანსაცმელი. ჩექმები გარედან უნდა დაეფარათ სპეციალური შავი ლაქით, რომელზეც აირეკლებოდა არა მხოლოდ გვერდით მდგომი ჯარისკაცის მოძრაობა, არამედ წითელი მოედნის ფრაგმენტებიც.

**ამ ყველაფერმა შექმნა შესაძლებლობა და განწყობა, რომ წითელი მოედანი ყოფილიყო არა მხოლოდ სამხედრო ღონისძიების, არამედ სილამაზისა და ძალის დემონსტრირების გიგანტური პოდიუმი.**

10 ივნისს მოსკოვის სარკინიგზო სადგურებზე დაიწყეს შემოსვლა სპეციალურმა ლიტერ-ვაგონებმა, რომლებმაც დედაქალაქში გამარჯვების აღლუმში მონაწილე ჯარისკაცები და ოფიცრები შემოიყვანეს. დადგა ძალზე რთული და მომქანცველი წვრთნის დღეები და საათები. ჯარის ნაწილები ყოველდღიურად 6-7 საათის განმავლობაში შეუსვენებლად ვარჯიშობდნენ, როგორც სამხედრო ნაბიჯის, ისე მწკრივებისა და რიგების ურღვეობის დასაცავად. ფრონტიდან ახალჩამოსული მებრძოლები ძნელად ითვისებდნენ სამწყობრო წესებს. ოფიცრები იძულებულნი შეიქნენ, ცენტრალური აეროდრომის საფრენი ბილიკები აეჭრელებინათ წყვეტილი ხაზებით, რომლებიც განსაზღვრავდა ჯარისკაცთა ნაბიჯების სიგრძეს, ხოლო ფეხის ვერტიკალურად ასაწევ ზომას რიგის თავსა და ბოლოში დადგმული ბოძების სიმაღლე განსაზღვრავდა. წვრთნამ და დისციპლინამ შედეგი გამოიღო. ჯარის ნაწილები ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდნენ სამწყობრო სვლას.



ამ მზადებაში სტალინს მიუტანეს შტანდარტების ნიმუშები, რომლებითაც აღლუმზე უნდა ემოძრავათ ფრონტის ნაკრებ ნაწილებს. წარდგენილი ნიმუშები არ მოეწონა უმაღლეს მთავარსარდალს და ბრძანა, მასთან მიეყვანათ დიდი თეატრის მხატვარი და მექანიკური სახელოსნოს უფროსი, რომელიც დეკორაციებს ამზადებდა.

**რამდენიმე კოლონის ჩავლის შემდეგ მავზოლეუმის ტრიბუნას თეთრხელთათმანიანი ჯარისკაცები მიუახლოვდნენ, ხელში გერმანული დროშებითა და შტანდარტებით. ორასკაციანი კოლონა წამით შეჩერდა და გაისმა ბრძანება: «მარჯვნივ!». კოლონამ ბრძანება შეასრულა და ყველამ მზერა უმაღლეს მთავარსარდალს მიაპყრო. გაისმა მეორე ბრძანებაც და ფიცარნაგზე პირველი ადოლფ ჰიტლერის შტანდარტი დაეცა, მას მიჰყვა დანარჩენიც**



**სტალინმა მოწვეულ მხატვარსა და დავალების ფიზიკურად შემსრულებელს გადასცა თავისივე ხელით გაკეთებული მაკეტები, როგორც შტანდარტების, ასევე იმ საზეიმო ლენტებისა, რომლებზეც მებრძოლთა ორდენები თუ მედლები იქნებოდა ჩამოკიდებული და მოსთხოვა მათ აღნიშნული ნიმუშების სრულყოფა. მეორე დღეს სტალინმა დავალების შესრულება შეამოწმა, მოიწონა და დაამტკიცა.**

1945 წლის 20 ივნისს სპეციალურმა მატარებელმა ბერლინიდან მოსკოვში ჩაიტანა რაიხსტაგიდან მოხსნილი გამარჯვების წითელი დროშა, რომელსაც უნდა გაეხსნა გამარჯვების აღლუმი.

რაიხსტაგის ლეგენდარული გმირები — **ნეუსტროევი, ეგოროვი, ქანთარია და ბერესტი** — ემზადებოდნენ, მხედრული სვლით ჩაეტარებინათ წითელ მოედანზე გამარჯვების წითელი დროშა. ნეუსტროევმა ფეხებზე ტრამვების გამო ვერ შეძლო საზეიმო სვლა. სამწყობრო სვლისათვის ასევე ვერ გამოიჩინა თავი ვერც დანარჩენმა სამმა სახელოვანმა გმირმა.

აღლუმის მომწყობმა კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა მოსკოვის ▶

გრიგოლ ოხიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მკვლევარებს არაერთხელ გაუშიფრავთ სტალინის გამოსვლის თუ მის სამუშაო კაბინეტში თანამებრძოლებთან საუბრის შინაარსი და მისი მანერები. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ სტალინში მტკიცედ იჯდა ე.წ. მთვარის კულტი, რომლის გამოც მის ხმის დაბალ ტემბრს, ხანგრძლივ პაუზებსა და ობიექტთან მიახლოება-დაშორების მომენტებს დამთრგუნველი მოქმედების ძალა ჰქონდა მსმენელზე, აუდიტორიასა და საზოგადოებაზე.

◀ოლქის ჯარების სარდალი **პაველ არტემიევი**, გადაწყვიტა, ორეულებით შეეცვალა გმირები და გამარჯვების წითელი დროშა მათ გაეტანათ აღლუმზე, მაგრამ სტალინმა ეს წინადადება არ მიიღო და რაიხსტაგის გმირები მავზოლეუმის ტრიბუნებზე მიიწვიეს, ხოლო დროშა აღარ გამოიტანეს და მუზეუმს ჩააბარეს.

აღლუმზე იყო სხვა დროშებიც. ბერლინიდან და დრეზდენიდან მოსკოვში ჩამოიტანეს მტრისთვის წართმეული 900 შტანდარტი. მათგან შეირჩა 200, რომლებიც უნდა გამოეტანათ გამარჯვების აღლუმზე.

ახლოვდებოდა გამარჯვების აღლუმის ჩატარების სავარაუდო თარიღი და აი, 1945 წლის 22 ივნისს, დილის 6 საათზე, საბჭოთა კავშირის ჰიმნის შესრულების შემდეგ, ლეგენდარულმა დიქტორმა გამოაცხადა უმაღლესი მთავარსარდლის №370-ე ბრძანება:

**„დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად 1945 წლის 24 ივნისს მოსკოვში, წითელ მოედანზე ვნიშნავ მოქმედი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და მოსკოვის გარნიზონის ჯარების აღლუმს — გამარჯვების აღლუმს. აღლუმზე გამოყვანილ იქნას: ფრონტების ნაკრები პოლკები, თავდაცვის სახალხო კომისარიატის ნაკრები პოლკი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაკრები პოლკი, სამხედრო აკადემიები, სამხედრო სასწავლებლები და მოსკოვის გარნიზონის ჯარები. გამარჯვების აღლუმი მიიღოს ჩემმა მოადგილემ, საბჭოთა კავშირის მარშალმა ჟუკოვმა. გამარჯვების აღლუმს სარდლობდეს საბჭოთა კავშირის მარშალი როკოსოვსკი.**

**პარადის ორგანიზაციის საერთო ხელმძღვანელობას ვავალებ მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალსა და ქალაქ მოსკოვის გარნიზონის უფროსს, გენერალ-პოლკოვნიკ არტემიევს“.**

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რატომ მოაწერა ამ ბრძანებას სტალინმა 22 ივნისს. სწორედ 1941 წლის 22 ივნისს ვერაგულად დაესხა თავს ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირს. და სწორედ 4 წლის თავზე სტალინმა აასრულა თავისი ხალხისთვის მიცემული სიტყვა: „ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული!“ და სასწაულები, რომლებიც იმ დღეს დაანახვა მსოფლიოს სტალინმა, ლეგენდებად ჩამოყალიბდა.

ჟუკოვი, რომელმაც თავისი დაბალი განათლების გამო



ჟულბარსი

(მას მხოლოდ 2 კლასის განათლება ჰქონდა) უამრავი შეცდომა დაუშვა ბრძოლის ველზე თუ მშვიდობიანობის პერიოდში, სტალინის ყოვლად გაუმართლებელი გულმოწყალების შედეგად მაინც გამარჯვების „ლეგენდარული“ მარშალი გახდა.

სტალინი ჟუკოვს ოთხჯერ გადაეფარა და დაიცვა იგი არა თავისი მრისხანებისგან, არამედ საბჭოთა კანონებისგან: პირველად — როდესაც სარეზერვო ჯარებში გაუშვა, მეორედ — ბერლინის შტურმის დროს, მესამედ ბერლინიდან ნაძარცვის წამოღების გამო დაპატიმრებისგან იხსნა და მეოთხედ — ოდესაში. მარშლის თავი ოთხჯერ არ გაგორდა სტალინის გულმოწყალების გამო და სწორედ ამიტომ ჟუკოვის მემუარულ წიგნში გაფერმკრთალებულია უმაღლესი მთავარსარდლის როლი დიდ სამამულო ომში. ჟუკოვის წიგნის პირველ გამოცემაში არ იყო ახსნილი მიზეზი, რატომ არ მიიღო სტალინმა, როგორც მთავარსარდალმა, საზეიმო აღლუმი. ჟუკოვის სიკვდილის შემდეგ ამავე წიგნის მეორე გამოცემაში ჩაამატეს, თითქოს ჟუკოვს უთქვამს, როდესაც საჯინიბოში ცხენზე სავარჯიშოდ მივედი, **ვასილ სტალინმა** მითხრა, — მამაჩემი სწორედ ამ ცხენმა გადმოაგდო უნაგირიდან, რის გამოც უარი განაცხადა აღლუმის მიღებაზეო.

ამ „დამამცირებელი“ ფაქტით მიაყენეს ჩრდილი გამარჯვების ტრიუმფატორს, რომლის მხედრული გენიის წინაშეც ქედს იხრიდნენ არა მხოლოდ ორკლასდამთავრებული რუსი სალდაფონები, არამედ მსოფლიოს გამოჩენილი სამხედრო სპეციალისტები და მხედართმთავრები.

**ხრუშჩოვის** მიერ გაბოროტებული და დამცირებული ჟუკოვი წერს: **„სტალინი მხსნიდა, მაქვეითებდა, მაგრამ ღირსებას არასოდეს მილახავდა“.**

**ჟუკოვმა თავისი ცხოვრება ისე დაასრულა, როგორც ეკუთვნოდა. დღეს ის გლობალისტთა სტვირად არის გადაქცეული — ჩაბერავენ და იმ ჰანგს გამოაცემინებენ, რომელიც სჭირდებათ.**

ახლა კი ისევ თემას დავუბრუნდეთ.

სტალინის ბრძანებით, მავზოლეუმის ტრიბუნის ახლოს ფიცარნაგი მოეწყო. არავინ იცოდა, რისთვის იყო იგი საჭირო. წითელ მოედანზე უმაღლესი მთავარსარდლის წინაშე მეომართა მსვლელობის დაწყებიდან 15 წუთში კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ჯარისკაცთა რკინის ჩაფხუტებიდან თუ მაღალი რანგის სამხედროთა ქუდებიდან ნაკადულებად მოედინებოდა წვიმის წვეთები. უმაღლესი მთავარსარდალი იდგა კუთვნილ ადგილზე და თვალყურს ადევნებდა მისი რეჟისორობით დადგმულ საუკუნის ლეგედარულ სცენას.

რამდენიმე კოლონის ჩავლის შემდეგ მავზოლეუმის ტრიბუნას თეთრხელთათმანიანი ჯარისკაცები მიუახლოვდნენ, ხელში გერმანული დროშებითა და შტანდარტებით. ორასკაციანი კოლონა წამით შეჩერდა და გაისმა ბრძანება: „მარჯვნივ!“. კოლონამ ბრძანება შეასრულა და ყველამ მზერა მაღალ მთავარსარდალს მიაპყრო. გაისმა მეორე ბრძანებაც და ფიცარნაგზე პირველი **ადოლფ ჰიტლერის** შტანდარტი დაეცა, მას მიჰყვა დანარჩენიც. ბოლოს კი რუსეთის გამყიდველი „დიდი“ რუსის, ვლასოვის, დროშა დააგდეს. როგორც ტრიბუნაზე მყოფნი, ისე მაყურებელნიც მხოლოდ ამ მომენტში მიხვდნენ: **ფიცარნაგი იმისთვის იყო გაკეთებული, რომ რუსეთის წმინდა მიწას არ შეხებოდა მილიონობით ადამიანის სისხლში ამოსვრილი სვასტიკიანი დროშები.** ეს კიდევ უფრო ნათელი გახდა მაშინ, როცა დროშების ტარზე შენახები ხელთათმანები ჯარისკაცებმა ხელიდან მოიცილეს და ცეცხლში დაწვეს.







**საყურადღებოა ჟუკოვის მიერ მავზოლეუმის ტრიბუნაზე წარმოთქმული სიტყვა, რომლითაც მან არა მხოლოდ წითელ მოედანზე განლაგებულ 24 მარშალს, 249 გენერალს, 2536 ოფიცერს, 31116 ჯარისკაცს და 1400-კაციან ორკესტრს, არამედ პლანეტა დედამიწის უდიდეს ნაწილს მიმართა.**

ნიურნბერგის პროცესზე მსჯელობისას, სადაც საბჭოეთის წარმომადგენლად და მეთვალყურედ მივლინებული იყო **ანდრეი ვიშინსკი**, ისტორიკოსმა და მწერალმა **ვიქტორ სუროვმა** შენიშნა, რომ ვიშინსკის უკან ვიღაც იდგა, ვინც მას დისტანციურად მართავდა. სუროვმა ბოლოს დაასკვნა, რომ ეს იყო სტალინი.

თანამედროვე ისტორიკოსების აზრით, ამ გრანდიოზული, ეპოქალური სანახაობის უკანაც იდგა ვიღაც. და შეუძლებელია, ვინმე სხვა მდგარიყო, სტალინის გარდა, რომლის ხელწერაც ყველა დროსა და სივრცეში თვალშისაცემი გახდა ყველასთვის.

ამას კი ფარდა აეხადა მაშინ, როდესაც გასაიდუმლოებული დოკუმენტაციის ერთ ნაწილს გრიფი „სრულიად საიდუმლო“ მოეხსნა და მკვლევარებს საშუალება მიეცათ, გაეხსნათ კონვერტი, რომელშიც იყო ჟუკოვის მიერ 1945 წლის 24 ივნისს წითელ მოედანზე მავზოლეუმის ტრიბუნიდან წაკითხული მოხსენების ტექსტი. **ვაქვეყნებ ამ მოხსენების ფოტოპირს, რომელშიც ჩანს უხილავი ხელით აბზაცებზე მიწერილი სიტყვები: „ხმადაბლა, მტკიცედ“, „ამაღლებულ ტონში“, „მჭექარედ“** და სხვ.

ორკლასდამთავრებულ ჟუკოვს გაუჭირდებოდა იმის დამახსოვრება, რომელი ფრაზა როგორ უნდა წაეკითხა, მაგრამ „უფროსმა“ ყველაფერი თვალწინ დაუდო ისე, როგორც ბევრი სხვა რამ, როდესაც წყდებოდა ადამიანებისა და ფრონტის ბედი.

ლონდონში ყოფნისას **რიკოვს** ჰკითხეს: „რატომ არ შეუბრუნებთ ხოლმე სიტყვას სტალინს, როდესაც მიგაჩნიათ, რომ ის არასწორ დავალებებს გაძლევთ?“, რიკოვმა უპასუხა: „პოლიტბიუროზე სტალინი ისე გვაჯადოებს, როგორც გიურზა – ცხოველს, და მისთვის სიტყვის შებრუნება შეუძლებელი ხდება“.

მკვლევარებს არაერთხელ გაუშიფრავთ სტალინის გამოსვლის თუ მის სამუშაო კაბინეტში თანამებრძოლებთან საუბრის შინაარსი და მისი მანერები. და ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ სტალინში მტკიცედ იჯდა ე.წ. მთვარის კულტი, რომლის გამოც მის ხმის დაბალ ტემბრს, ხანგრძლივ პაუზებსა და ობიექტთან მიახლოება-დაშორების მომენტებს დამთრგუნველი მოქმედების ძალა ჰქონდა მსმენელზე, აუდიტორიასა და საზოგადოებაზე.

სწორედ მოგვების დიალოგი, მოძრაობის ხასიათი და მანერები ქმნიან სტალინის შინაგან საიდუმლო გარემოს, რომელიც დღემდე ამოუცნობი რჩება. მოგვების თხრობითი პრინციპითაა ჩასწორებული და გახაზული ჟუკოვის გამოსვლის ტექსტი, რომელიც წვიმის წვეთების გამო ზოგ ადგილას დაზიანებულია და ძნელად იკითხება.

გამარჯვების აღლუმზე, საჯარისო ქვედანაყოფში, თავისი სიმაღლის გამო წესის დარღვევით აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის გმირი **საბირ ახტიამოვი**, რომელიც მწარე სინანულს გამოთქვამდა კოლონის დატოვების გამო. იმხანად წითელ მოედანზე არ არსებობდა წვრილმანი საკითხები. ყველაფერს „ის“ წყვეტდა. არც საბირ ახტიამოვი გამორჩენია მხედველობიდან მას და ახტიამოვი, როგორც გამონაკლისი, დაშვებულ იქნა პარადზე.

საჯარისო შენაერთი საჯარისო შენაერთს მიჰყვებოდა და ისმოდა განუწყვეტელი „ვაშა“ და შეძახილი: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“.

მავზოლეუმის ტრიბუნის წინ გამოჩნდნენ მესანგრეები. მათ გვერდს უმშვენებდა მათივე გაწვრთნილი სამხედრო ძაღლები, რომლებმაც აღიარება მოიპოვეს მთელ ფრონტზე. მათთან ერთად მოდიოდა, ასევე, საბჭოთა კავშირის კინოლოგი **ალექსანდრე მაზოვერი.**

როდესაც აღლუმისთვის მესანგრე ძაღლებს ამზადებდნენ, შეუძლებელი შეიქნა სამხედრო ჯილდომიღებული ოთხფეხა გამნაღმველის — ჯულბარსის გაყვანა, რადგან მან მძიმე ტრამვები მიიღო ოთხივე ფეხზე რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და ავსტრიის ტერიტორიების განაღმვისას. აღნიშნულის თაობაზე სამხედრო ძაღლების სკოლის უფროსმა, გენერალ-მაიორმა **მედვედევმა** მოახსენა მარშალ როკოსოვსკის. ჯულბარსი 7000-ზე მეტი ნაღმის განაღმვისა და 150 აუფეთქებელი ყუმბარის აღმოჩენისთვის 1945 წლის 21 მარტს დაჯილდოვდა მედლით „საბრძოლო მამაცობისთვის“.

მარშალმა როკოსოვსკიმ, თავის მხრივ, ეს ამბავი აცნობა უმაღლეს მთავარსარდალს, რომელმაც ბრძანა: „ძაღლი ხელში აყვანილი გამოტარებული იქნას წითელ მოედანზე ტრიბუნების წინ, ჩემს მაზარაში გახვეული“.

ძაღლების საწვრთნელი სკოლის შენობაში სწრაფად მიიტანეს სტალინის მაზარა სამხრეების გარეშე, რომელშიც გაახვიეს ოთხივე ფეხშეხვეული ჯულბარსი.

სწორედ უმაღლესი მთავარსარდლის მაზარაში გახვეული ჯულბარსი ეკავა ხელში მთავარ კინოლოგ ალექსანდრე მაზოვერს, რომელსაც უმაღლესი მთავარსარდლისთვის სამხედრო წესით მისალმების გარეშე შეეძლო ჩაევლო სამთავრობო ტრიბუნის წინ.

ასე დამსახურებულად და თავაწეულად ჩაიარა გამნაღმველმა ჯულბარსმა მავზოლეუმის წინ გამარჯვების აღლუმზე და იგი სამუდამოდ შევიდა რუსეთის საბრძოლო დიდების ისტორიაში.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ე.წ. პროამერიკულად განწყობილი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები გააფთრებით გაჰკივიან ე.წ. რუსულ რბილ თუ ხისტ ძალაზე. ამ წივილ-კივილის მიზანი არა საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესების დაცვა და სიმართლის წარმოჩენაა, არამედ უცხო ქვეყნის ინტერესების გასატარებლად კიდევ მეტი ფულის გამოძალვა თავიანთი დასავლელი პატრონებისთვის.**

# ბირვანქა სტერლინგებითა და დოლარებით განათებული ბნიასი

## ანუ რატომ გაჰკივიან ე.წ. რუსულ პროპაგანდაზე

**საქართველოში ბოლო პერიოდში მოდურია რუსულ პროპაგანდაზე საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მედიასაშუალებების თითქმის 99 პროცენტი დასავლური, კერძოდ, ამერიკული პროპაგანდითაა გაჯერებული და ამისთვის აშშ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ყოველწლიურად 10 მლნ დოლარით აფინანსებს, 2015-2016 წლებში კი ევროკავშირი 28 მლნ ევროთი დაეხმარა საქართველოს, უკრაინასა და სხვა ქვეყნებს (იხ. ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის მარშალის ფონდის (GMF) მხარდაჭერით „ევროპული ინიციატივა — ლიბერალური აკადემია თბილისის“ 2016 წლის კვლევა „რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში“), და ამ საქმეში ჩართულია სოროსის „ღია საზოგადოება საქართველო“, USID-ი, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოები, საქართველოში სახელგატეხილი აი-რა-ი და ენ-დი-აი (ამ ორგანიზაციამ რამდენიმე დღის წინათ თავის კვლევაში შეიტანა ეს საკითხი), ე.წ. პროამერიკულად განწყობილი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მაინც გააფთრებით გაჰკივიან ე.წ. რუსულ რბილ თუ ხისტ ძალაზე. ამ წივილ-კივილის მიზანი არა საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესების დაცვა და სიმართლის წარმოჩენა, არამედ უცხო ქვეყნის ინტერესების გასატარებლად კიდევ მეტი ფულის გამოძალვაა თავიანთი დასავლელი პატრონებისთვის.**



საინფორმაციო ომს აწარმოებს, ანუ ე.წ. რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ იბრძვის არაერთი დასავლური ორგანიზაცია. ამისათვის 2016 წელს ლატვიის დედაქალაქ რიგაში ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი შექმნეს, სულ კი ასეთი ცენტრი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ 20 ქვეყანაში მოქმედებს. აი, რა განუცხადა ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრის დირექტორის მოადგილე პოლკოვნიკმა **აივარ ჯაესკიმ** 2016 წელს საინფორმაციო სააგენტო ipress-ის ჟურნალისტს:

„ეს, მხოლოდ საქართველოს კი არა, გლობალური პრობლემაა. რუსეთს უზარმაზარი რესურსი და საშუალება აქვს, რათა წინ წაწიოს და ყველგან გაავრცელოს კრემლის პროპაგანდა. პირველ რიგში, ჩვენ უნდა გამოვააშკარაოთ ყველა ის ტყუილი, რომლებიც მათგან მოდის, რადგან **პროპაგანდა ყოველთვის ტყუილებისა და სიყალბისგან შედგება. ჩვენი ამოცანა ამ სიყალბეებისა და მანიპულაციების გამოვლენაა...**

**იმისათვის, რომ პროპაგანდა ხალხმა შენიშნოს, აუცილებელია, საზოგადოებას, ჟურნალისტებსა და მაღალჩინოსნებს მისცე განათლება. შედეგად ისინი საკმარისად ჭკვიანები იქნებიან და არ გახდებიან პროპაგანდის მსხვერპლნი“.**

ჯაესკის ნათქვამში ერთი რამ არის სიმართლე: საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს (არა მხოლოდ მათ) მართლაც სჭირდებათ განათლება, რათა გაარჩიონ თეთრი და შავი, მტერი და მოყვარე, დანარჩენი კი...

დასავლელ პოლიტიკოსებს, კერძოდ, ნატოს წარმომადგენლებს სურთ, მსოფლიოს ყველა მედიასაშუალებამ წეროს და ილაპარაკოს მათი ინტერესებიდან გამომდინარე, დასავლეთსა და ნატოს მიერ ჩადენილ დანაშაულებზე კი თვალი დახუჭონ, რადგან ეს თურმე რუსული პროპაგანდაა. არ სურთ, ვინმემ სიტყვა დაძრას ნატოს მიერ ბოლო 20 წლის განმავლობაში გაჩაღებულ სისხლიან კონფლიქტებზე, რომლებსაც დასავლეთის ე.წ. დემოკრატიული მედია „სამშვიდობო ოპერაციებს“ უწოდებდა, არც საიდუმლო და საზარელ ოპერაცია „გლადიოზე“, სიკვდილის ესკადრონებზე, რომლებმაც უამრავი უდანაშაულო ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

აი ნატოს ეს „სამშვიდობო ოპერაციები“:

### იუგოსლავიის დაბომბვა (1999 წ.)

იუგოსლავიაში ინტერვენციის მიზეზად ნატოს ხელმძღვანელობამ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე — კოსოვოში, მეტოქიაში, აგრეთვე, ბოსნია-ჰერცეგოვინაში — ეთნიკური წმენდის შეჩერება დაასახელა. სინამდვილეში კი ეს იყო ოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავდა იუგოსლავიის არმიის დემორალიზებასა და იმ მდგომარეობამდე მიყვანას, რომ მას აშშ-ის ინტერესებისთვის საფრთხე არ შეექმნა.

ნატოს ოპერაციებს უწოდეს „ჰუმანიტარული ინტერვენცია“, მაგრამ ისინი გაეროს მანდატის გარეშე განხორციელდა.

*** დაიღუპა 6700 ადამიანი (5000 ჯარისკაცი), მათ შორის — 400 ბავშვი;**

*** დაიჭრა 7000-მდე მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის — 2000-ზე მეტი ბავშვი;**

*** უგზო-უკვლოდ დაიკარგა 821 ადამიანი.**

ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკების წინააღმდეგ ნატოს მოქმედება ყველა საერთაშორისო ნორმის უხეში დარღვევის მაგალითია. უწინარესად კი, ნატომ დაარღვია ვაშინგტონის ხელშეკრულება, ანუ თავისი წესდების პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც, ალიანსის წევრმა სახელმწიფოებმა **„ყველა საერთაშორისო კონფლიქტი, რომლებშიც, შესაძლოა, ჩართულნი აღმოჩნდნენ, მშვიდობიანი ხერხით უნდა გადაწყვიტონ ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან მშვიდობას, უსაფრთხოებასა და სამართლიანობას მსოფლიოში. მან თავი უნდა შეიკავოს ძალის გამოყენებისგან იმ შემთხვევაში, თუკი ეს შეუთავსებელია გაეროს მიზნებთან“.** ნატომ, აგრეთვე, დაარღვია თავისი წესდების მე-6 პუნქტი, რომელშიც ნათქვამია, რომ **ნატოს კომპეტენცია შემოიფარგლება თავისი წევრი ქვეყნების ტერიტორიებით. იუგოსლავია, მაკედონია, ალბანეთი და ბოსნია კი ნატოს წევრები არ იყვნენ, მაგრამ ნატო უხეშად ჩაერია ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში. ნატომ და აშშ-მა ფეხქვეშ გათელეს გაერო, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა და სახელმწიფოების სუვერენიტეტი.**

იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატომ გამოიყენა იარაღი, რომელიც აკრძალულია ნიურნბერგის ქარტიით, აგრეთვე, ჰააგისა და ჟენევის კონვენციებით. იუგოსლავიაში ნატო იყენებდა ურანის დაბალი შემცველობის ბომბებს, რომლებიც არა მხოლოდ მაღალი სიზუსტით გამოირჩევა, არამედ რადიოაქტიურიც არის და ტოქსიკურიც. გარდა ამისა, ნატომ გამოიყენა ე.წ. კასეტური ბომბები — იარაღი ფეთქებადი ყუმბარებით, რომელიც მოგვიანებით ოტავის კონვენციით აიკრძალა.




### ლიბიის დაბომბვა

არეულობებსა და სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, 2011 წლის 19 მარტს, ლიბია საფრანგეთის, ბრიტანეთისა და აშშ-ის ავიაციამ დაბომბა, სამხედრო ოპერაცია კი ნატომ განაგრძო.

*** დაიღუპა 50 ათასამდე ადამიანი (სამხედრო და მშვიდობიანი მცხოვრები);**

*** ლტოლვილად იქცა — 350 ათასი.**

არადა, 2011 წლის აგვისტოში ნატოს იმჟამინდელი ხელმძღვანელი **ანდერს ფოგ რასმუსენი** ყველას არწმუნებდა, რომ ნატოს ავიაციის დაბომბვით მშვიდობიანი მოქალაქეები არ დაზარალდებოდნენ.

**ნატოს მთავარი დანაშაული არის ის, რომ შეიარაღებისკენ რბოლის ახალ ერაში ჩაითრია მსოფლიო. ნატო არა მხოლოდ განალაგებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს ევროპის კონტინენტზე, არამედ აძლიერებს ატომურ პოტენციალსაც.**

სხვათა შორის, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, თავისი სამხედრო დოქტრინით, უფლებას იტოვებს, გამოიყენოს ატომური იარაღი, რომელიც 1996 წელს საერთაშორისო სასამართლოს მიერ აიკრძალა.

ალიანსის წევრი ქვეყნები წლიდან წლამდე ზრდიან თავიანთ სამხედრო შესაძლებლობებს და ამისთვის კოლოსალურ თანხებს ხარჯავენ. ძლიერი არმია ნატოს იმისთვის სჭირდება, რომ მსოფლიოზე იბატონოს. მსოფლიოზე კი ის იბატონებს, ვისაც ხელი მიუწვდება ნავთობის საბადოებზე, სწორედ ამიტომ მოაწყვეს სასაკლაო ერაყში, ლიბანსა და სირიაში.

სამარცხვინოა ნატოელი ჯარისკაცების საქციელი იმ ქვეყნებში, რომლებშიც ჩადიან ერთობლივი წვრთნების გასამართავად ან ბაზირებულნი არიან. 2014 წელს ლატვიის ქალაქ ვენტსპილსის მერმა **აივარ ლემბერგსმა** ნატოს იმჟამინდელ გენერალურ მდივანს — **ანდერს ფოგ რასმუსენს** საჩივრის წერილი გაუგზავნა ქალაქში ალიანსის მეზღვაურების მოქმედებაზე Open Spirit-2014-ის ოპერაციის მიმდინარეობისას, რომელშიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 26 საზღვაო ხომალდი მონაწილეობდა. ვენტსპილსის მერის თქმით, **„ალიანსის მეზღვაურები ისე იქცეოდნენ, როგორც ოკუპანტი ღორები, რომლებიც არ აღიარებენ ლატვიის კანონებს. მთვრალები შარდავდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ვიტრინებზე, არწყევდნენ. ქუჩებში გლეჯდნენ ყვავილებს და ქალებს ჩუქნიდნენ“. ლატვიელები იძულებულნი იყვნენ, დაეცვათ ქალები აბეზარი მეზღვაურებისგან, რის გამოც რამდენიმე ინციდენტიც მოხდა“.**

ნატოელი ჯარისკაცებისა და დასავლური ე.წ. დემოკრატიული მედიის საქციელსა და დამოკიდებულებას სხვა ქვეყნის მცხოვრებთა მიმართ ნათლად ასახავს ინციდენტი, რომელიც ლატვიის დედაქალაქ რიგაში 2016 წლის ნოემბერში მოხდა. შეგახსენებთ, ეს ის პერიოდია, როცა ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრის დირექტორი, წარმოშობით ესტონელი, აივარ ჯაესკი რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაზე ლაპარაკობდა:

ახალგაზრდა ლატვიელ **აქსელ აიზკალნსს**, რიგის იურიდიული ფირმის თანამშრომელს, რესტორან „მაკდონალდსში“ სტუმრობა ბრიტანელი ჯარისკაცის თავდასხმად და ცხვირის გატეხვად დაუჯდა. ლატვიისა და დიდი ბრიტანეთის ზოგიერთმა გამოცემამ ინციდენტზე პასუხისმგებლობა დააკისრა „პრორუს აქტივისტებს“, რომლებსაც თითქოს მიზნად ჰქონდათ დასახული ნატოს სამხედრო მოსამსახურეების დისკრედიტაცია. დაზარალებულმა კი პორტალ Delfi.lv-ს სრულად მოუყვა, რაც თავს გადახდა:

„2 ნოემბერს, დაახლოებით 17 საათსა და 30 წუთზე, რესტორან „მაკდონალდში“ ჩათრეული აღმოვჩნდი ინციდენტში, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. „მაკდონალდსში“ შესვლისას ▶

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 1995 წელს კუნძულ ოკინავაზე (იაპონია) სამმა ამერიკელმა საზღვაო ქვეითმა ჯერ სასტიკად სცემა, შემდეგ კი გააუპატიურა მცირეწლოვანი მოსწავლე, რის გამოც ქუჩაში 90 ათასი იაპონელი გამოვიდა. 45 ათასი დანაშაულიდან(!), რომლებიც ამერიკელმა სამხედროებმა ჩაიდინეს იაპონიაში, მათ შორის, გაუპატიურება და მკვლელობა, არც ერთი(!) არ დასრულებულა ხანგრძლივი პატიმრობით.

უჩვეულო სანახაობას შევესწარი: რესტორანი სავსე იყო უცხოელებით. აქცენტით მივხვდი, ბრიტანელები იყვნენ, რაღაცას აღნიშნავდნენ. სიტუაცია შევაფასე და რიგში მათ შემდეგ ჩავდექი — ვრაპის (სენდვიჩი — ნ.კ) შეკვეთა მინდოდა. მალე ჩემთან მოვიდა ბრიტანელთა (სულ 30 კაცი იქნებოდა) 2 წარმომადგენელი. ერთ-ერთმა ჰალსტუხში მტაცა ხელი და მკითხა: „სად იშოვე ეს ჰალსტუხი?“. ამ საქციელზე ისეთი რეაქცია მქონდა, როგორიც ექნებოდა ნებისმიერს, ჩემ ადგილას. ვუპასუხე: „გზა მომეცით“. შემდეგ მოვიდა მეორე ჯარისკაცი, რომლის სიტყვები ვერ გავარჩიე, რადგან ძალიან მთვრალი იყო, მაგრამ მზად ვიყავი, დავლაპარაკებოდი, რადგან კარგად ვიცი ინგლისური. უცებ, თითქოს ცივი წყალი გადამასხესო, მომესმა მისი ფრაზა: **„ათამდე დავითვლი და, თუკი კვლავ აქ იქნები, სახეში გაგარტყამ“.** მისმა მეგობრებმა სიცილი ატეხეს — არასოდეს მინახავს, ადამიანებს ასე გაეცინოთ. ვიფიქრე, ეს ან რაღაც გათამაშებაა, რომელიც ვერ გავიგე, რადგან არ ვიცოდი, ადრე რაზე ლაპარაკობდნენ, ან ეს ტიპი ცოტა გარეკილია-მეთქი. **ვკითხე: „რატომ უნდა მცემო?“ მიპასუხა, „იმიტომ, რომ განავალი ხარ“.** მისი მეგობარი კი ამ სიტყვების მოსმენაზე ახარხარდა. არ ვიცოდი, იმ მომენტში როგორ მოვქცეულიყავი — მათთან ერთად მეცინა თუ ვითარებაში გავრკვეულიყავი. **გავიდა რამდენიმე წამი და გაბოროტებული ბრიტანელი ჯარისკაცების ალყაში აღმოვჩნდი, რომლებსაც მუშტები შემართული ჰქონდათ ჩემთვის გამოტანილი ვერდიქტის აღსასრულებლად.** გონს რომ მოვეგე, გატეხილი ცხვირიდან სისხლი მდიოდა. მადლობა „მაკდონალდსის“ თანამშრომლებს, ისინი დამეხმარნენ, თუმცა მოგვიანებით უარესი მოხდა. მეორე დილით **ყბა-სახის ქირურგიის ცენტრში ვიწექი და ველოდებოდი საოპერაციოში გაყვანას, როდესაც მეგობარმა შეტყობინება გამომიგზავნა, რომელშიც მითითებული იყო პორტალ Telegraph.co.uk-ზე გამოქვეყნებული მასალის მისამართი. ეს პორტალი ძალიან პოპულარულია ბრიტანეთში. როდესაც შეტყობინება გავხსენი, პირველი, რაც წავიკითხე, იყო სათაური: „პრორუსულად განწყობილი აქტივისტი რიგაში ბრიტანელ ჯარისკაცებს დაესხა თავს“. ეს სათაური თავდაპირველად სახალისოდ მომეჩვენა, მაგრამ, როდესაც ტექსტი წავიკითხე, გავოგნდი, რა ადვილია, მასების მანიპულირება ჩვენს დროში.** ჩემი თვალსაზრისი მალე დაადასტურა ლატვიურ გამოცემებში გავრცელებულმა ინფორმაციამ. მედიასაშუალებებმა საერთოდ არ ჩათვალეს საჭიროდ, გამოეძიებინათ ინციდენტი და პირდაპირ Telegraph-იდან გადმობეჭდეს სტატია. განა შეიძლება, დასავლეთის ერთ-ერთი გავლენიანი მედიასაშუალება შეცდეს ინფორმაციის გავრცელებისას? ყველაფერს გადააჭარბა გამოცემა Delfi-მ, ამ პორტალზე **„მაკდონალდსის“ ინციდენტის გამოქვეყნების შემდეგ კომენტარების ქარიშხალი ატყდა „რუსების უკიდურესობასა“ და „პუტინის გეგმებზე“. როდესაც ეს კომენტარები ვნახე, მივხვდი, სინამდვილეში როგორი რობოტები ვართ, რადგან ადამიანებს იშვიათად შეაქვთ ეჭვი მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. Telegraph-ში გამოქვეყნებული ეს კონკრეტული სტატია სიძულვილის გაღვივების, ცილისწამებისა და პროვოკაციის მაგალითია. „წარმოგიდგენიათ, რა ხდება, თუკი ყოველი მეორე სტატია ასეთი სიმართლეა?!“** — განუცხადა აქსელ აიზკალნსმა Delfi.lv-ს, რომელმაც ბევრი განაცვიფრა იმით, რომ დაზარალებულის ტექსტი გამოაქვეყნა.

ამერიკელი სამხედროების მიერ ჩადენილ მხეცობებზე კი ლეგენდები დადის:

*** გერმანული გამოცემა „შპიგელის“ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით მეორე მსოფლიო ომის ბოლოს და შემდგომ წლებში ამერიკელმა სამხედროებმა გერმანიაში 190 ათასი ქალი გააუპატიურეს;**

* 1968 წლის 16 მარტს ვიეტნამში, დასახლებულ პუნქტ სონგმიში ამერიკელმა სამხედროებმა ხოცვა-ჟლეტა მოაწყეს: მოკლეს 173 ბავშვი, 183 — ქალი (17 ორსული), 144 — მამაკაცი. რამდენიმე ქალი კი, ვიდრე მოკლავდნენ, არაერთხელ გააუპატიურეს;

*** 1995 წელს კუნძულ ოკინავაზე (იაპონია) სამმა ამერიკელმა საზღვაო ქვეითმა ჯერ სასტიკად სცემა, შემდეგ კი გააუპატიურა მცირეწლოვანი მოსწავლე, რის გამოც ქუჩაში 90 ათასი იაპონელი გამოვიდა;**

**45 ათასი დანაშაულიდან(!), რომლებიც ამერიკელმა სამხედროებმა ჩაიდინეს იაპონიაში, მათ შორის — გაუპატიურება და მკვლელობა, არც ერთი(!) არ დასრულებულა ხანგრძლივი პატიმრობით;**

* 2006 წლის 12 მარტს დასახლებულ პუნქტ ელ მაჰმუდიაში (ერაყი) 5 ამერიკელი სამხედრო — **ჯეიმს ბარკერი, პოლ კორტეზი, ჯესი სპილმანი, ბრაიან ჰოვარდი** და **სტივენ გრინი** — შეიჭრა ერაყელის ოჯახში და გააუპატიურა 14 წლის **აბირ ყასემ ალ-ჯანაბი.** შემდეგ კი გოგონა მშობლებთან და 6 წლის დასთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმეს.

ამერიკელთა სისასტიკის გამომხატველია მათი ქცევა აბუ გრეიბსა თუ გუანტანამოს საპყრობილეში.

თუმცა ამერიკელი სამხედროები არც თავისიანებს ინდობენ:

*** 2014 წელს რამშტაინში (გერმანია) განლაგებული აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრომ ტრენტ სმიტმა ხელმძღვანელებს განუცხადა, რომ ბაზაზე სამსახურის დაწყებისთანავე მასზე სექსუალურად იძალადა სერჟანტმა, იმის შემდეგ კი, რაც მომხდარზე განაცხადა, სმიტის ცხოვრება კოშმარად იქცა;**

* ფორტ-ბენინგში (ჯორჯიის შტატი) ჯარისკაცი **გრეგ ჟელუდოვი** თანაპოლკელებმა საწოლზე დააბეს და გააუპატიურეს შეძახილებით: „აშშ-ში უფროსები ჰომოსექსუალები არიან!“;

* 2012 წლის ნოემბერში სამხედრო ბაზა „ფორტ ბრეგში“ გაასამართლეს გენერალი ჯეფრი სინკლერი, რომელიც არმიაში 30 წლის განმავლობაში მსახურობდა. მას ბრალი დასდეს ქვეშევრდომთა გაუპატიურებაში.


აქსელ აიზკალნსი

აი, თურმე, თუ ასეთ ფაქტებზე დაწერ, ეს არის რუსული პროპაგანდა...

რამდენიმე დღის წინათ ბრიტანელმა ჟურნალისტმა, სახელმწიფო სამაუწყებლო კომპანია „ბი-ბი-სის“ ყოფილმა თანამშრომელმა **ნაიჯელ ქეიმ** ქართველ ჟურნალისტებს პრორუსული პროპაგანდის გაშუქების სპეციფიკაზე „ტრენინგი“ (ასე იუწყებოდნენ ქართული საინფორმაციო საშუალებები) ჩაუტარა და დამოძღვრა:

„ქართველმა ჟურნალისტებმა უნდა გააშუქონ ყველაფერი, **ოღონდ სწორი კონტექსტი** (?! — ნ.კ.) **უნდა შეურჩიონ“.**

ნაიჯელ ქეი წარმომადგენელია იმ ქვეყნისა, რომლის ერთ-ერთმა მრავალტირაჟიანმა გამოცემამ — The Sun-მა ცოტა ხნის წინათ კიევში ფეხბურთის უკრაინელი ფანატიკოსების რასისტული გამოხდომა რუსებს მიაწერა და კიევის სტადიონზე მომხდარის ამსახველი ვიდეო ასე დაასათაურა: **„რასიზმი რუსეთში:** „დინამოს“ გულშემატკივრებმა „შახტარის“ წინააღმდეგ რასობრივი აგრესიის გამოვლენით შოკი გამოიწვიეს“. მანამდე კი გამოცემა **„დეილი მეილმა“** დაწერა, რომ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და „სპარტაკის“ მატჩის შემდეგ რუსმა გულშემატკივრებმა ცემა-ტყეპა გამართეს და ამ მასალას დაურთო ტყეში გამართული ორთაბრძოლების ამსახველი ფოტოები.

საქართველოს ე.წ. სტრატეგიული პარტნიორების მიზანი თავიანთი ინტერესების დაცვაა მათ მიერ დაქირავებული ანტისახელმწიფოებრივად მოქმედი მედიასაშუალებებისა და არასამთავრობოების ხელით. ეს ინტერესები კი რუსეთთან ბრძოლაში ამ ქვეყნის სიმდიდრეების ხელში ჩასაგდებად საქართველოს გამოყენებაა. ამიტომ ცდილობენ, არ დაუშვან საქართველოში თავიანთი გავლენის შესუსტება და საქართველოს არ მისცენ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის საშუალება. ამისათვის კი ჩვენს ქვეყანაში ჰყავთ მეხუთე კოლონა. ამას მოწმობს **„კავკასიასა და მოლდოვაში კონფლიქტების აღმოფხვრის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის დიდი ბრიტანეთის ფონდის (CSSF)“ 2016-2017 წლების საპროგრამო დოკუმენტი.** სწორედ ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები უცხო ქვეყნების აგენტებითაა სავსე, ისიც, თუ რატომ მიჰყავთ ქართველები უცხოეთის, ძირითადად, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სასწავლებლებში „კვალიფიკაციის ასამაღლებლად“. **დიდი ბრიტანეთი, როგორც ნათლად ჩანს CSSF-ის საპროგრამო დოკუმენტიდან, არ მალავს, რომ საქართველოს განიხილავს, როგორც საინფორმაციო ომის პოლიგონს, თანაც დაუფარავად აცხადებს, რომ აპირებს არა ობიექტური ინფორმაციისა და უტყუარი ფაქტების, არამედ „განსხვავებული“ ალტერნატიული ინფორმაციის გავრცელებას, ანუ დეზინფორმაციის ტირაჟირებას.** თანაც, ეს დეზინფორმაცია 5 ენაზე უნდა ვრცელდებოდეს, რათა მრავალეროვან საქართველოში არავის მოაკლდეს ანგლოსაქსების მზრუნველი ხელი.

**დიდი ბრიტანეთი, როგორც ნათლად ჩანს CSSF-ის საპროგრამო დოკუმენტიდან, არ მალავს, რომ საქართველოს განიხილავს, როგორც საინფორმაციო ომის პოლიგონს, თანაც დაუფარავად აცხადებს, რომ აპირებს არა ობიექტური ინფორმაციისა და უტყუარი ფაქტების, არამედ «განსხვავებული» ალტერნატიული ინფორმაციის გავრცელებას, ანუ დეზინფორმაციის ტირაჟირებას. თანაც, ეს დეზინფორმაცია 5 ენაზე უნდა ვრცელდებოდეს, რათა მრავალეროვან საქართველოში არავის მოაკლდეს ანგლო-საქსების მზრუნველი ხელი**



აქცია ოკინავაზე

კავკასიასა და მოლდოვაში კონფლიქტების აღმოფხვრის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის დიდი ბრიტანეთის ფონდის 2016-2017 წლების საპროგრამო დოკუმენტში ყველაზე შეურაცხმყოფელია პუნქტი, რომელშიც საუბარია საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საინფორმაციო ბრძოლის საკითხების დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის მუდმივად ყოფნაზე. როგორც ჩანს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწორედ ბრიტანეთის წარმომადგენელი მართავს და არა მინისტრი, ანუ საქართველოს სუვერენიტეტი ფიქციაა — ვატარებთ არჩევნებს, ვქმნით სახელმწიფო ატრიბუტებს, მაგრამ სინამდვილეში ქვეყანა გარედან იმართება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში პირველი საკონცენტრაციო ბანაკის შემქმნელი (პირველი საკონცენტრაციო ბანაკი სამხრეთ აფრიკაში ინგლისელებსა და ბურებს შორის ომის პერიოდში (1899-1902) შექმნა ბრიტანელმა ლორდმა **ჰორაციო კიტჩენერმა** ბურების ოჯახებისთვის) ქვეყნის, **დიდი ბრიტანეთის, ხელისუფლება არ მალავს, რომ მისი მთავარი მიზანი საქართველოში რუსეთის გავლენის შესუსტება და ამიერკავკასიიდან მისი გაძევებაა, ამისთვის უკვე გამოყო 4,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი და 2020 წლამდე ყოველწლიურად კიდევ იგეგმება ამ ოდენობის თანხის გამოყოფა,** მაგრამ არაფერს ამბობს, რას გამოიწვევს ეს „გრძელვადიან პროექტები“ საქართველოში და ფეხებზე ჰკიდია, ამის გამო კბილებამდე შეიარაღებული რუსეთი თუ სამიზნეში ამოიღებს ჩვენს ქვეყანას, რომელიც ამერიკა-ბრიტანეთისა და რუსეთის სამხედრო დაპირისპირების პოლიგონად იქცევა.

ამიტომაც არ არის გასაკვირი, რატომ იკლავენ თავს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ჰომოსექსუალების უფლებების დაცვისთვის, რატომ უტევენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, რატომ ცდილობენ მარიხუანის მოყვანისა და მოწევის ლეგალიზებას და სხვ. მათ ხომ ამისთვის 2020 წლამდე ყოველწლიურად 4,5 მლნ გირვანქა სტერლინგი და კიდევ მილიონობით დოლარი უნდა მიიღონ? თანაც ბრიტანეთის ხელისუფლება მიზანშეწონილად მიიჩნევს, თავისი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენოს ადგილობრივი და არა საერთაშორისო ორგანიზაციები — **„ადგილობრივი არასამთავრობოების გამოყენების სტრატეგია ხშირად გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციების გამოყენების სტრატეგია, ამასთანავე, ამცირებს საერთო ხარჯებს“**, — გულწრფელად აღიარებენ ისინი. როგორც ჩანს, ადგილობრივი „მეხუთე კოლონა“ სამშობლოს უფრო იაფად ყიდის, ყოველ შემთხვევაში, ბრიტანელების აღიარებით, რენეგატების მოსყიდვა გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე სპეციალისტების დაქირავება.

რუსეთის საინფორმაციო გავლენაზე ლაპარაკი კი სასაცილოა, როცა ქართული საინფორმაციო საშუალებების 99% დასავლეთის ინტერესებზე გაჰკივის და გაშმაგებით ლანძღავს რუსეთს. ან, საერთოდ, რა შუაშია რუსული პროპაგანდა იმასთან, რომ საქართველოს მოსახლეობის ნდობა საგრძნობლად შემცირდა დასავლეთის მიმართ, იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონებით გვემუქრება?! **არასამთავრობო სექტორსა და მედიაში კი გირვანქა სტერლინგებითა და დოლარებით განათებული გნიასი უკვე დაიწყო. ოპერატიულად იქმნება ახალი მედიარესურსები, რომლებიც გაკაპასებით ამტკიცებენ, რომ აშშ-ისა და ნატოს მიერ იუგოსლავიაში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, აზიაში, აღმოსავლეთ ევროპაში სუვერენული სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევა, მათ ტერიტორიაზე გაეროს სათანადო მანდატის გარეშე სამხედრო მოქმედებების ჩატარება, ევროპული ქვეყნების ლიდერების ფარული მიყურადება და თვალთვალი არა მწარე რეალობა, არამედ რუსული პროპაგანდის მიერ მოგონილი მითია და ა.შ.** საქართველოში ყოველდღიურად იჩეკებიან ახალ-ახალი „მედიარესურსები“ და არასამთავრობოები ნანატრი გრანტის მისაღებად. ოღონდ სტერლინგები და დოლარები იყოს და სახელმწიფოს ინტერესებით მოვაჭრეთა რიგი კიდევ დიდხანს იდგება უცხო ქვეყნების რეზიდენტთა კარის ზღურბლზე.

**ნიკა კორინთელი**

სხოზს სახელისა...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კახაბერ ოქრიაშვილის სახელთან არის დაკავშირებული: შპს „მარგვეთი“; „GMP PRODUCTION LTD“; შპს „სანიმედი“; შპს „პსპ“; შპს „ჯეომედი“ და შპს „აქსა მედიქალი“. ყველა ჩამოთვლილ კომპანიაში პარლამენტარის მონაწილეობა უვადო პარტნიორობით განისაზღვრება.**


კახაბერ ოქრიაშვილი


გოჩა ენუქიძე

# კახაბერ ოქრიაშვილის «პსპ», სხვა შპს-ები და გოჩა ენუქიძის მიწის ნაკვეთები

**საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, 900 ათასამდე მოქალაქე სოციალურ შემწეობასა და პენსიაზეა დამოკიდებული, რაც სრულფასოვანი კვებისთვისაც არ არის საკმარისი. მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ლამის მილიონამდე მოქალაქე შიმშილის ზღვარზეა, პარლამენტსა თუ მთავრობაში მილიონერების სიმცირეს არ ვუჩივით. საქართველოს პარლამენტში 41 მილიონერი დეპუტატია (დამთხვევა სიმბოლურია — 41 ხომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო ნომერია?!)... მილიონერ დეპუტატთა შორის საპატიო ადგილი უკავიათ კახაბერ ოქრიაშვილს 5 637 900 ლარით და გოჩა ენუქიძეს 5 181 800 ლარით.**

პარლამენტარი კახაბერ ოქრიაშვილი 1966 წლის 21 მარტს თბილისში დაიბადა, მისი მეუღლე **ლინა თოფურია** კი — 1967 წლის 16 აგვისტოს სოხუმში. ოქრიაშვილს დეკლარაცია 2016 წლის 16 ივნისს შეუვსია. დეკლარაციის მიხედვით, დეპუტატის უძრავი ქონების ნუსხა საკმაოდ შთამბეჭდავია. კახაბერ ოქრიაშვილის საკუთრებაა 500 კვ.მ საცხოვრებელი სახლი წავკისში. ლინა თოფურიასია ჯანაშიას/ხორავას ქუჩაზე 94.23 კვ.მ ბინა. პარლამენტარის მეუღლეს ეკუთვნის 276 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი აღმაშენებლის გამზირზე. ოქრიაშვილის საკუთრებაა 888 კვ.მ მიწის ნაკვეთი აღმაშენებლის გამზირზე. თავის დროზე ნაციონალების მხარდაჭერით გადეპუტატებული ოქრიაშვილის საკუთრებაა 1250კვ.მ, 12357 კვ.მ, 6363 კვ.მ და 3091 კვ.მ მიწის ნაკვეთები. დმანისში 31, 40 კვ.მ და 32 კვ.მ ბინებიც დეპუტატის სახელზეა გაფორმებული. ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრის, კახაბერ ოქრიაშვილის, საკუთრებაა 1682 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი თბილისში აღმაშენებლის გამზირზე. დეპუტატის სახელზეა, აგრეთვე, გაფორმებული 4499 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 200 კვ.მ. საცხოვრებელი სახლი დმანისში, სოფელ განთიადში.

კახაბერ ოქრიაშვილი სს „ელექტრონიკა 94“-ის აქციების მფლობელიცაა. ფასიანი ქაღალდების ნომინალი 1 აშშ დოლარია, სულ კი 21 624 ცალს ფლობს.

კახაბერ ოქრიაშვილს მიმდინარე ანგარიშზე „ბანკ ქართუში“ 350.57 ლარი, 546.90 აშშ დოლარი და 11020 ევრო ერიცხება. ლინა თოფურიას „ბანკ ქართუში“ მიმდინარე ანგარიშზე 30683.43 და 53.99 ლარი ერიცხება. დეპუტატს „საქართველოს ბანკის“ მიმდინარე ანგარიშზე 19988.72 ლარი აქვს დარიცხული.

ლინა თოფურია სს „ეგისის წარმომადგენლობის“ დირექტორია (უვადოდ) და მისი წლიური შემოსავალი აღნიშნული საქმიანობიდან 78381 ლარითაა განსაზღვრული. **კახაბერ ოქრიაშვილი 2002 წელს დაფუძნებულ შპს „პსპ ფარმას“ პარტ-**

## რა ქონებას ფლობენ «ქართული ოცნების» მილიონერი დეპუტატები

**ნიორია და სამეწარმეო საქმიანობაში მისი მონაწილეობა უვადოდაა განსაზღვრული, ხოლო მისი წლიური შემოსავალი 6 700 000 ლარია.** პარლამენტარი შპს „ალფას“ პარტნიორიც უვადოდაა. სს „ელექტრონიკა 94“-ს აქციონერი პარლამენტარის წლიური შემოსავალი 50973 ლარია. კახაბერ ოქრიაშვილი შპს „მანდარინის“ პარტნიორიც უვადოდ გახლავთ. შპს „პსპ დაზღვევაშიც“ პარლამენტარის პარტნიორობა უვადოდ განისაზღვრება. უვადო პარტნიორია შპს „ჯისითი ინჯინირინგშიც“ და შპს „პატრია მედიკაშიც“.

კახაბერ ოქრიაშვილის სახელს უკავშირდება შპს „მარგვეთი“; „GMP Production Ltd“; შპს „სანიმედი“; შპს „პსპ“; შპს „ჯეომედი“ და შპს „აქსა მედიქალი“. ყველა ჩამოთვლილ კომპანიაში პარლამენტარის მონაწილეობა უვადო პარტნიორობით განისაზღვრება. შპს „ჯი-ემ-პი“-ს პარტნიორია (უვადოდ) ლინა თოფურია. ის, აგრეთვე, არის შპს „ლინატის“ პარტნიორი და დირექტორი.

ფრაქცია „ქართული ოცნება — რეგიონების განვითარებისთვის“ თავმჯდომარის — კახაბერ ოქრიაშვილის წლიური შემოსავალი 65 625 ლარს შეადგენს. კახაბერ ოქრიაშვილის სესხი „ბანკ რესპუბლიკაში“ 899134.26 დოლარია, აღნიშნულ სესხზე წლიური გასავალი კი — 89622.68 დოლარი.

რაც შეეხება ოქრიაშვილის ბიზნესს, ზემოთ ჩამოთვლილ კომპანიებში წილების მართვა მინდობით ხორციელდება, თუმცა დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი, ვის მიანდო პარლამენტარმა ქონების მართვა.

კახაბერ ოქრიაშვილს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, სპეციალობით — სამკურნალო საქმე. მისი სამუშაო გამოცდილება კი ასეთია:

* შპს „პსპ“ (PSP) გენერალური დირექტორი (1995-2003);
* დმანისის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი (1990–1995;
* სოფელ განთიადის საექიმო ამბულატორიის მთავარი ექიმი (1989-1990).

„ქართული ოცნების“ კიდევ ერთი მილიონერი დეპუტატი, **გოჩა ენუქიძე,** 1962 წლის 8 აპრილს თბილისში დაიბადა. მეუღლე **დეა მელაძეც** თბილისშია დაბადებული 1971 წლის 12 დეკემბერს. შვილები **თინათინ** და **გიორგი** ენუქიძეებიც თბილისში არიან დაბადებული, შესაბამისად — 1997 წლის 4 მაისსა და 1999 წლის 8 იანვარს. დეპუტატს დეკლარაცია 2016 წლის 6 ივნისს აქვს შევსებული.

ენუქიძეების უძრავი ქონების ნუსხა მოცულობითია და შთამბეჭდავად გამოიყურება. დეპუტატის საკუთრებაა ყიფშიძის ქუჩაზე 345 კვ.მ ბინა და 20 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართობი, ასევე, 71.87 კვ.მ მიწის ნაკვეთი. პარლამენტარის საკუთრებაა, აგრეთვე: ამბროლაურში 1018 კვ.მ მიწის ნაკვეთი; საგურამოში კი 2400 კვ.მ მიწის ნაკვეთი. დეა მელაძის საკუთრებაა 792 კვ.მ მიწის ნაკვეთი ბაკურიანში; 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთი საგურამოში. პარლამენტარის მეუღლის საკუთრებაა საგურამოში 1300 და 534 კვ.მ 2 მიწის ნაკვეთი. გოჩა ენუქიძეს ეკუთვნის 69.83 კვ.მ ბინა დაბა წყნეთში. დეა მელაძის საკუთრებაა 750 კვ.მ საცხოვრებელი სახლი საგურამოში. დეპუტატი ბათუმშიც ფლობს 52 კვ.მ ბინას. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, 62.30 კვ.მ ბინაც ენუქიძის საკუთრებაა. მის სახელზეა აგრეთვე გაფორმებული 156.20 კვ.მ ბინა და 43 კვ.მ ავტოფარეხი. 22.60 კვ.მ-ის კიდევ ერთი ავტოფარეხი ჭავჭავაძის გამზირზე პარლამენტარის საკუთრებაა. დეა მელაძე დაბა ბაკურიანში 250 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 118.80 კვ.მ საცხოვრებელი სახლის მფლობელიცაა. გოჩა ენუქიძის საკუთრებაა, აგრეთვე, 75.40 კვ.მ ბინა ჭავჭავაძის გამზირზე.

„ქართული ოცნების“ დეპუტატი სს „ლიბერთი ბანკში“ აქციების მფლობელია. ფასიანი ქაღალდის ნომინალი 0.01 ლარია, რაოდენობა კი — 1 201 278 ცალი.

გოჩა ენუქიძეს „საქართველოს ბანკში“ მიმდინარე ანგარიშზე 10188 ლარი, 20606 აშშ დოლარი და 2594 ევრო ერიცხება. დეპუტატს „საქართველოს ბანკში“ ანაბარზე 160 000 გირვანქა სტერლინგი ერიცხება, კიდევ ერთ ანაბარზე ასევე „საქართველოს ბანკში“ — 50 000 აშშ დოლარი. გოჩა ენუქიძეს „თი-ბი-სი ბანკში“ საკრედიტო ანგარიშზე 15 000 აშშ დოლარი ერიცხება, მიმდინარე ანგარიშზე კი — 1863 აშშ დოლარი. პარლამენტარს „საქართველოს ბანკში“ მიმდინარე ანგარიშზეც ერიცხება 4020 გირვანქა სტერლინგი. „პროგრეს ბანკში“ კი მას დეპოზიტზე 100 000 და 50000 ევრო აქვს.

გოჩა ენუქიძეს შვილების — თინათინ და გიორგი ენუქიძეების სწავლის საფასური 25000 ევრო და 6000 ევრო აქვს გადახდილი. ოჯახის დასვენებისა და მოგზაურობის წლიური ხარჯი 10000 ლარია. გოჩა ენუქიძეს ბიზნეს წილების მართვა მინდობილი აქვს **ბექა კიკალეიშვილისა** და **მიხეილ ალხანიშვილისთვის.**

გოჩა ენუქიძეს დამთავრებული აქვს ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, სპეციალობით — წარმოების ეკონომიკა და მართვა. მისი სამუშაო გამოცდილება:

* შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ გენდირექტორის მოადგილე (2004-2009);
* შპს „იბერკომპანი ჰოლდინგის“ პრეზიდენტი (1999-2008);
* შპს „ივერია-ენსის“ დირექტორი (1995-1999);
* კოოპერატივი „ალფას“ თავმჯდომარე (1989-1995);
*მეჯამბარე საურნალე საამქროში — რუსთავის მეტალურგიული ქარხანა (1986-1988);
* ზეინკალ-შემკეთებელი — თბილისის ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანებაში (1979-1982).

**გოჩა ენუქიძეს შვილების — თინათინ და გიორგი ენუქიძეების სწავლის საფასური 25000 ევრო და 6000 ევრო აქვს გადახდილი. ოჯახის დასვენებისა და მოგზაურობის წლიური ხარჯი 10000 ლარია**

**გიორგი გელაშვილი**

მოკლედ

## სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება 3 წლამდე პატიმრობით დაისჯება

**კანონმდებლები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში აზუსტებენ, რა შეიძლება ჩაითვალოს წვევამდელის მიერ სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდებად, რაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოიწვევს.**

პარლამენტს წარედგინა პროექტი, რომლის მიხედვით წვევამდელის მიერ სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება, მათ შორის, ავადმყოფობის სიმულაციის, სხეულის თვითდაზიანით, ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ან სხვაგვარად მოტყუებით დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე. პროექტის ავტორია თავდაცვისა და უშიროების კომიტეტის თავმდჯომარე **ირაკლი სესიაშვილი.** როგორც სესიაშვილმა განაცხადა, სისხლის სამართლის კოდექსში არ არის დაკონკრეტებული, რას ნიშნავს სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება. **„თუკი გამწვევი კომისია ჩათვლის, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს თავის არიდებას მოტყუებით, თვითდაზიანებით, სხვაგვარი სიმულაციის გზით, მას შეეძლება საქმე პროკურატურას გადასცეს“,** — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ირაკლი სესიაშვილმა.



ეს საკანონმდებლო ინიციატივა პასუხია „გირჩის“ მიერ რელიგიური ორგანიზაციის დარეგისტრირებაზე, რომლის შექმნის მიზანი ახალგაზრდებისთვის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისგან თავის არიდებაში დახმარებაა.

**ხომ გერმანიაში იშვა ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, ამიერიდან მამათმავლების, ლესბოსელების, ტრანსგენდერებისა და კიდევ იმათი, „ვინც მოდის მანდ, მომავლიდან“ შეერთების ლოზუნგის ავტორობაც ამ ქვეყანას მიეწერება... ოღონდ გერმანიის, უფრო კონკრეტულად, ერთი პარტიის — „ალტერნატივა გერმანიისთვის“ მასშტაბით. ჰოდა, ვაშა იმ პარტიას, რომელიც ლესბოსელს დაასვამს გერმანიას თავზე. ამ დიდებულ ქვეყანას.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## გერმანიის კანცლერობაზე პრეტენზიას ლესბოსელი კანდიდატი აცხადებს

**გერმანიაში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლების თავისუფლების საკითხზე გამარტივებული წარმოდგენაა გავრცელებული. გერმანიის საზოგადოების მენტალობას წარუშლელი დაღი დაამჩნია ცნობილმა „175-ე პარაგრაფმა“, რომელიც ერის მამად წოდებულმა ოტო ფონ ბისმარკმა 1871 წელს მიიღო და კანონგარეშედ დააყენა მამაკაცებს შორის სქესობრივი კავშირი.**



ალექსანდრ გაულანდი



ალისა ვაიდელი

**გერმანიაში სამუშაო ადგილებზე მამათმავალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის პროფკავშირული გაერთიანებებიც კი შეიქმნა, მათ შორის, პოლიციელების, სამხედროების, სკოლის მასწავლებლების, ექიმებისა და ასე შემდეგ**

ეს „პარაგრაფი“ ძალაში რჩებოდა თითქმის 100 წლის განმავლობაში. მისი სულისკვეთებით აღიზარდა გერმანელების რამდენიმე თაობა.

მხოლოდ 1969 წელს გაუქმდა გერმანიაში სისხლის სამართლებრივი სასჯელი, 21 წლის ასაკს მიღწეული მამაკაცების ნებაყოფლობითი სექსუალური კონტაქტების გამო რომ იყო დაწესებული.

გაიხარეს პედერასტებმა! უფრო მეტად — 1973 წელს, როცა სხვათა უკანალზე ორიენტაციის უფლება 18 წლიანებს მიენიჭათ.

ამ სიხარულს ოდნავ ამიქშერებდა „ჰომოსექსუალების ვარდისფერი სიები“, რომლებსაც პოლიცია ადგენდა ყოველი შემთხვევისთვის. 1994 წლის ივნისში კი ეს „დისკომფორტიც“ მოეხსნათ, როცა გაერთიანებული გერმანიის ბუნდესტაგმა საერთოდ გააუქმა ყოველგვარი შეზღუდვები.

მიდი, მიაწექ!

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში საზოგადოებაში გავრცელდა მოარული ხმები, რომ ბერლინის კინოფესტივალი მამათმავლების კინოდათვალიერებაა. მაგრამ იმ პერიოდში დომინირებული ინფორმაციული შეზღუდულობის მიზეზით შეუძლებელი იყო ამ ხმების დადასტურებაც და უარყოფაც. იმ დროის „განუვითარებელი“ საზოგადოებრივი აზრისთვის ზნეობის დაცემის ამგვარი ვარიანტი მაინც მიუღებელი ჩანდა.

„ნეტარ არიან მორწმუნენი“... დღეს აბსოლუტურად დადასტურებულია, რომ **თანამედროვე** ლგბტ მოძრაობა მაინცდამაინც ბერლინის XXI კინოფესტივალზე ჩაისახა რეჟისორ **როზ ფონ პრაუნჰაიმის** ფილმის დემონსტრაციით — „ჰომოსექსუალი კი არ არის გარყვნილი, არამედ სიტუაცია, რომელშიც იგი ცხოვრობს“.

იყო წელი 1971 და იყო ერთადერთი გამონაკლისი, როცა მამათმავლებმა რაღაცის ჩასახვა შეძლეს.

იმავე წელს დასავლეთ ბერლინში შეიქმნა ქვეყანაში პირველი გეების უფლებათა დამცველი ორგანიზაცია Homosexuelle Aktior Westberlin.

ეტყობა, ლატენტური მამათმავლობა, რომელიც მას შემდეგ ჩაითესლა გერმანიაში, რაც საბჭოთა არმიამ ბოლომდე იხმარა ნაქები ვერმახტი, რასაც შედეგად 70-იანების პირველსავე წელს ლგბტ მრავალი ორგანიზაციის აღმოცენება მოჰყვა, ხოლო 1972 წელს ქალაქ მიუნსტერში გერმანიის ისტორიაში ლგბტ-ის უფლებების დამცავი პირველი დემონსტრაციები გაიმართა.

ცოტა კიდევ და, **გერმანიაში სამუშაო ადგილებზე მამათმავალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის პროფკავშირული გაერთიანებებიც კი შეიქმნა, მათ შორის, პოლიციელების, სამხედროების, სკოლების მასწავლებლების, ექიმებისა და ასე შემდეგ.**

ასე შემდეგ კი საქართველოშიც აქოთქოთდნენ, აკრიახდნენ კრუხები, ანუ ქათმები, მაგრამ დღეს ჩვენ ამათზე სალაპარაკოდ არ გვცალია.

დღეს გერმანიაზე ვსაუბრობთ, სადაც ჰომოსექსუალობა, როგორც ექსპერტები გვიდასტურებენ, მარგინალური სოციალური ჯგუფების, უცხოური დიასპორების, ბოჰემისა და სტუდენტობის ერთი ნაწილის ხვედრად რჩება. იგი ძნელად ლეგალიზდება პრივილეგირებულ სოციალურ წრეებში. მაღალი თანამდებობის პირთა მამათმავლობის მაგალითები უფრო გამონაკლისია. ყოველ შემთხვევაში, ძირითადი პოლიტიკური პარტიების მმართველობაში მსგავსი არაფერი დასტურდება.

ეს კი არა, ახლადარჩეული პრეზიდენტი, 39 წლის **მაკრონი** მასზე 24 წლით უფროსი ცოლის ერთგულების ნიმუშად წარმოგვიდგა.

მაგრამ ეს საფრანგეთია.

გერმანიაში კი ბუნდესკანცლერის თანამდებობაზე პარტიამ „ალტერნატივა გერმანიისთვის“ წამოაყენა ლესბოსელი **ალისა ვაიდელი.**

**მკვლევარები გვიმტკიცებენ, რომ ნებისმიერი პატიოსანი გერმანელის შეკითხვაზე — შეიძლება თუ არა გერმანიის ფედერალური კანცლერი ლესბოსელი გახდეს? — გიპასუხებთ, რომ ასეთი რამ ყოვლად წარმოუდგენელია.**

რატომ?

იმიტომ, რომ გერმანიის სახელმწიფოს მეთაური, თუ იგი ქალია და არა ვილაც სექსორიენტაცია აღრეული გაუგებრობა, რომელიც „ქალზეა“ დაქორწინებული და შვილს მამის გარეშე ზრდის, ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო, ანუ გარყვნილების ფაქტია — გონების გარყვნილების, რწმენის წარყვნის, როგორც ბიბლია გვასწავლის.

ეს ბიბლიური დოგმა კი, როგორც ანალიტიკოსები მიიჩნევენ, გერმანელებს „დედის რძესთან ერთად აქვთ შესისხლხორცებული“.

მაშ, რომელ კომბოსტოში იპოვეს ეს ლესბოსელი კანცლერობის კანდიდატი? და აირჩევს კი მას საშუალო გერმანელი?

ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად ანალიტიკოსები გადაგვამისამართებენ პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ვიცეთავმჯდომარესთან, 76 წლის **ალექსანდრ გაულანდთან**, რომელმაც ფსონი მაინცდამაინც 38 წლის ალისა ვაიდელზე დადო, რომელთან ერთადაც აპირებს არჩევნების მოგებას.

გერმანული პოლიტიკის ეს „ხანდაზმული“ მოღვაწე, როგორადაც მას წარმოგვიდგენენ, უწინ გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს იყო მიტმასნილი, მართალია, მეორეხარისხოვან თანამდებობებს ვერ გასცდა, მაგრამ ინტრიგების ხლართვის დიდი გამოცდილება შეიძინა. პოლიტიკაში ასე თუ ისე წარმოჩნდა მას შემდეგ, რაც 2013 წელს გადაბარგდა პარტიაში „ალტერნატივა გერმანიისთვის“, რომელიც ის-ის იყო ყალიბდებოდა და ვიცეთავმჯდომარეობასაც მიაღწია.

გაულანდს მიაწერენ, რომ სწორედ მისი წყალობით შეძლო ახალმა პარტიამ „გაეთავისებინა ამომრჩეველთა განწყობილებანი... ის პოლიტიკური რეგისტრები, რომლებითაც მიიპყრო გერმანიის მოქალაქეთა საკმაოდ დიდი ნაწილის ყურადღება“ და ზოგიერთ ფედერალურ მიწაზე წამყვან პარტიებსაც კი მიუახლოვდა.

ამბობენ, გაულანდს გუმანმა უკარნახა, რომ აღარ ღირდა პარტიის მაშინდელი ლიდერის — **ფრაუ პეტრის** იმედად ყოფნა, რადგან იგი პოლიტიკური კრიტიკის საცერში იმდენჯერ გაატარეს და იმდენჯერ „რეცხეს ქვიშითა“, რომ მას უკვე ეუხერხულებოდა ზოგიერთი პარტიული ლოზუნგის აფიშირება და პარტნიორების დათანხმება, თავიანთი მოძრაობა ბურჟუაზიული პარტიის ჩარჩოებში მოექციათ. მან ისიც კი მოითხოვა, რომ „ალტერნატივა გერმანიისთვის“ პროპაგანდისტული მიმართვებიდან ამოეღოთ რასისტული, ანტისემიტური და ნაციონალისტური ხასიათის დებულებები.

მისი გათვლით, ახალი ლიდერი თაფლის ის წვეთი იქნებოდა, რომელსაც გერმანელი ლგბტ-ები ისე დაეხვეოდნენ, როგორც სტამბოლიდან მოფრენილი, ტკბილ ნექტარს დახამებული ბუზები.

ესეც — ელექტორატი!

ხომ გერმანიაში იშვა ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, ამიერიდან მამათმავლების, ლესბოსელების, ტრანსგენდერებისა და კიდევ იმათი, „ვინც მოდის მანდ, მომავლიდან“ შეერთების ლოზუნგის ავტორობაც ამ ქვეყანას მიეწერება... ოღონდ გერმანიის, უფრო კონკრეტულად, ერთი პარტიის — „ალტერნატივა გერმანიისთვის“ მასშტაბით.

ჰოდა, ვაშა იმ პარტიას, რომელიც ლესბოსელს დაასვამს გერმანიას თავზე.

ამ დიდებულ ქვეყანას.

მე აქ ამათ, რაც შემიძლია, ვლანძღავ, გაულანდს კი იმედი აქვს, რომ სწორედ ასე იქნება.

არცთუ უსაფუძვლოდ.

ჯერ ერთი, ლგბტ ჩვენი დროის წარმატებული პროექტია; მეორე, ნეოლიბერალიზმი მოდური იდეოლოგიაა; მესამე, ეგებ უმთავრესი არ უნდა დაგვავიწყდეს — „ცისარტყელისფერებიანი ინტერნაციონალი“ თავისი ფინანსური, ორგანიზაციული და არალეგალური რესურსებით.

ამიტომო, ვარაუდობენ ექსპერტები, არატრადიციული ორიენტაციის კანდიდატის წამოყენებას შეიძლება მოულოდნელი ეფექტი მოჰყვეს.

ამას გარდა: საეჭვოა, საშუალო ბიურგერი ალისა ვაიდელით მოიხიბლოს, უფრო — პირიქით. სხვა საქმეა ახალგაზრდობა — სიახლის მძებნელი, მარგინალები, სოციალურად დაუცველი ჯგუფები. მათი მხარდაჭერა არც ისე ეფემერულია, როგორადაც ერთი შეხედვით ჩანს.

„ალტერნატივა გერმანიისთვის“ ანტიისლამური კურსი დადასტურებულია პარტიის ლოზუნგით: „ისლამს გერმანიაში არ დაედგომება!“. ამ მკაცრი რიტორიკის ფონზე, როგორც ანალიტიკოსები ამბობენ, ინტელიგენტური და გარეგნულად მომხიბვლელი ალისა ვაიდელი განსაკუთრებით ეფექტურად აღიქმება. თურქეთში ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ მან განაცხადა, რომ ყველა თურქს, რომლებიც გერმანიას არიან შეკედლებულნი და ხმა ერდოღანს მისცენ, უნდა გაუუქმდეთ გერმანიის მოქალაქეობა.

ალექსანდრ გაულანდი გვარწმუნებს, რომ ლესბოსელი ალისა ვაიდელი პარტიული სიის სათავეში „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ფედერალურ არჩევნებში ხმების 15-დან 30 პროცენტს მიიღებს.

იქამც იყოს!

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. პედერასტია შეტევაზეა გადასული, სახელმწიფო მმართველობისთვის იბრძვის, თუმცა ახლაც ხელს არ აკლებენ.**

**რომის პაპმა, იეზუიტმა ფრანცისკმა ამასწინათ მიიღო პედერასტების წყვილი — ლუქსემბურგის პრემიერმინისტრი კსავიე ბეტელი და მისი „ქმარი“ გოტიე დესტენეი, — იტყობინება GSN.**

**„ჩემთვის და გოტიესთვის დიდი პატივი იყო კათოლიკური ეკლესიის მეთაურის მიწვევა“, — დაწერა თავის „ტვიტერში“ ლუქსემბურგის ნაკაცარმა პრემიერმინისტრმა...**

**ერთი მაგათი... მაგრამ ვერც შეაგინებ, რადგან მამათმავლებში ჩაგწერენ.**

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პირადად ბერიას ყოფნა ფრონტის წინა ხაზზე ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთებას აძლიერებდა, რადგან ნათელს ხდიდა, რომ კავკასიის დათმობას ქვეყნის ხელმძღვანელობა არ აპირებდა. ნოემბერში გერმანელების შეტევა შეაჩერეს.**

# საბჭოების ქვეყანა. დავიწყებული ბელადები

# ლავრენტი ბერია

**რუსეთის საზოგადოებრივმა ტელევიზიამ OPT-მ ამ დღეებში დაიწყო ახალი კინოპროექტის — „საბჭოების ქვეყანა, დავიწყებული ბელადების“ ჩვენება. ამ მრავალსერიანი ფილმის ერთი ნაწილი, რომელიც ლავრეტი ბერიას მიეძღვნა, ეთერში 14 მაისს გავიდა. „საქართველო და მსოფლიო“ მკითხველებს ამ ფილმის შემოკლებულ საგაზეთო ვარიანტს სთავაზობს, რომელიც იწყება იმ ისტორიული მომენტიდან, როცა ფაშისტები კავკასიონის ქედს მოადგნენ, როცა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ბედი ბეწვზე ეკიდა. ამ ურთულეს პერიოდში იოსებ სტალინი კავკასიის ფრონტზე გზავნის ლავრენტი ბერიას.**

1942 წლის 23 აგვისტოს **ლავრენტი ბერია** მოსკოვიდან რამდენიმე ქართველი ოფიცრის თანხლებით თბილისისკენ გამოფრინდა.

ბაქოს რომ მიუახლოვდნენ, თვითმფრინავს ტექნიკური გაუმართაობის მიზეზით ცეცხლი გაუჩნდა. კატასტროფა გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ბერიას თვითმფრინავის პირადი პილოტის, პოლკოვნიკ **გრაჩოვის** ოსტატური მანევრირების წყალობით, ხანძრის ჩაქრობა ჰაერშივე მოხერხდა და თვითმფრინავი იმავე ღამით თბილისის აეროპორტში მშვიდობით დაეშვა.

ბერია და მისი თანმხლებნი დაუყოვნებლივ გაემართნენ მოზდოკისკენ, რომლის მისადგომებთან უკვე მიმდინარეობდა ბრძოლები.

კავკასიის დაცვის ხელმძღვანელობა ბერიამ საკუთარ ხელში აიღო. უწინარეს ყოვლისა, შეცვალა კადრები და არმიას სათავეში ახალგაზრდა, ნიჭიერი ოფიცრები ჩაუყენა, ახალი, ბრძოლისუნარიანი ნაწილები კავკასიის ფრონტზე გადმოაჯგუფა. მისი განკარგულებით, სასაზღვრო ჯარებმა დაუყოვნებლივ გადაკეტეს უღელტეხილები. მობილური სამთო მსროლელთა რაზმები, რომლებიც პროფესიონალი ალპინისტებით იყო დაკომპლექტებული, უხმაურო, მაყუჩიანი იარაღით აღჭურვეს. **პირადად ბერიას ყოფნა ფრონტის წინა ხაზზე ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთებას აძლიერებდა, რადგან ნათელს ხდიდა, რომ კავკასიის დათმობას ქვეყნის ხელმძღვანელობა არ აპირებდა.**

**ნოემბერში გერმანელების შეტევა შეაჩერეს.**

1953 წელს, ბერიას დაპატიმრების შემდეგ, მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს შორის ერთი ასეთიც იყო: რატომ მოხდა ისე, რომ 1942 წლის შემოდგომაზე ბერიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარებს ნება არ დართო, მონაწილეობა მიეღოთ კავკასიის დაცვის ბრძოლებში. ხომ არ ცდილობდა იგი კავკასიის ფრონტის დაშლას და გერმანელებისთვის კავკასიის ჩაბარებას?!

ასეთი ვარაუდი აბსურდული და ყოვლად უსაფუძვლოა.

**პირადად ბერიას განკარგულებაში მყოფი შინსახკომის ჯარის ნაწილები, რომლებიც 120 ათასამდე ჯარისკაცს აერთიანებდა, ბრძოლებში მართლაც არ მონაწილეობდნენ: ისინი ემზადებოდნენ სხვა ოპერაციის განსახორციელებლად, რომელიც უმკაცრესად გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობდა.**

ჩრდილოეთ კავკასიაში გერმანიის ჯარების შეჭრამდე კარგა ხნით ადრე აქ დაიწყო ნაციონალისტურად განწყობილი დაჯგუფებების შეიარაღებული დაპირისპირება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წინააღმდეგ. მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა 1942 წელს, გერმანიის არმიის კავკასიაზე შეტევის დაწყებისთანავე. ფაშისტები თავიდანვე შეეცადნენ ადგილობრივი მოსახლეობის მიმხრობას და ამ მიზნით ფართო პროპაგანდისტული კამპანია გააჩაღეს. **ბანდფორმირებების წევრები იოლად წამოეგნენ ამ ანკესს და კავკასიის ტერიტორიების რაიხის უღელქვეშ მოქცევის აქტიური მხარდამჭერები გახდნენ. ბანდიტების რაზმები თავს ესხმოდნენ წითელი არმიის ალალს, ძარცვავდნენ და ხოცავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ხელს უშლიდნენ საბჭოთა არმიის ნაწილების გადაჯგუფებას. ბანდებში ერთიანდებოდნენ დეზერტირები.** ნაციონალისტებს, როგორც წესი, გერმანელი აგენტები ხელმძღვანელობდნენ, რომლებიც საბჭოთა კავშირის ზურგში იყვნენ შემოგზავნილი აჯანყებებისა და დივერსიების მოსაწყობად.

**ჩრდილოეთ კავკასიის გათავისუფლების შემდეგ ბანდიტები ბრძოლას წითელი არმიის რეგულარული ნაწილებისა და შინსახკომის ჯარების წინააღმდეგ განაგრძობდნენ, კლავდნენ ადგილობრივ პარტიულ და სამეურნეო მუშაკებს, აპარტახებდნენ კოლმეურნეობებს, იტაცებდნენ პირუტყვს. დივერსიები შეწყდა მხოლოდ 1944 წელს, როცა ზოგიერთი კავკასიური ეროვნების წარმომადგენლები ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში — ყახაზეთში, ურალსა და ციმბირში გადაასახლეს...**



დეპორტაციას ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფო უშიშროების მეორე რანგის კომისარი **ივანე სეროვი** და **ბოგდან ქობულოვი**, რომელიც წლების განმავლობაში ბერიას უახლოესი გარემოცვის წევრი იყო. თვით ბერია უმნიშვნელოვანესი ოპერაციების ინიციატორი გახლდათ. იგი პირადად აკონტროლებდა მათი განხორციელების პროცესს და ამტკიცებდა ინსტრუქციებს გადასახლებათა წესის შესახებ.

გადასახლებულებს მომსამზადებლად 24 საათი ეძლეოდათ...

სხვადასხვა მონაცემით, **ომის წლებში გადაასახლეს 61 ეროვნების წარმომადგენლები. საიდუმლო ინსტრუქციების თანახმად, გადასახლება არ ეხებოდა სამხედრო მოსამსახურეებსა და ქალებს, რომლებიც სხვა ეროვნების წარმომადგენლებზე იყვნენ გათხოვილნი. ყველა გადასახლებულს უნარჩუნდებოდა საარჩევნო უფლება, რჩებოდა პარტიის წევრად, უნარჩუნდებოდა წოდება და თანამდებობა; თითოეულ ოჯახს უფლება ჰქონდა, წაეღო 500 კილოგრამამდე პირადი ნივთები, ფული და ძვირფასეულობა არ ჩამოერთმეოდათ...**

1941 წლის თებერვალში შინსახკომის სტრუქტურიდან ცალკე გამოყვეს სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი, მომავალი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს **ვსევოლოდ მერკულოვი**, ბერიას უახლოესი გარემოცვის წევრი, მაგრამ ბერიას სამსახურებრივი დატვირთვა ამით არ შემცირებულა. მას მხრებზე დააწვა შინსახკომის საქმიანობის ახალი მიმართულებების ტვირთი, რომლებიც ომის პერიოდში წარმოიქმნებოდა ხოლმე. **ბერია ოფიციალურად იყო პასუხისმგებელი 1943 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამართულ თეირანის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის დელეგაციის უსაფრთხოებაზე, რომელსაც იოსებ სტალინი მეთაურობდა. იგი (ბერია) უზრუნველყოფდა სალიტერო მატარებლის მოძრაობას მოსკოვიდან ბაქომდე. ამ მომენტში გერმანიის ჯარებს ჯერ კიდევ ოკუპირებული ჰქონდა საბჭოთა ტერიტორიის ნაწილი და მატარებელი გზაში კინაღამ დაბომბა გერმანიის თვითმფრინავებმა.** ბაქოდან თეირანში დელეგაცია „დუგლასის“ ორი თვითმფრინავით გაფრინდა, რომელსაც 27 საბჭოთა ავიაგამანადგურებელი მიაცილებდა.

ანალოგიური მოვალეობა დაეკისრა ლავრენტი ბერიას სახელმწიფოთა მეთაურების **ყირიმის კონფერენციის** ჩატარებისას. ცოტა ხნის წინათ ყირიმი ფაშისტების ხელში იყო. საჭირო შეიქნა სარკინიგზო ლიანდაგების გერმანული ნაღმებისგან გაწმენდა, კონფერენციისთვის გათვალისწინებული შენობების კეთილმოწყობა, კავშირგაბმულობისა და სპეციალური დანიშნულების ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა და ა.შ.

არანაკლებ რთული იყო **პოტსდამის კონფერენციის** მომზადება, ანუ „ოპერაცია პალმის“ განხორციელება, როგორი კოდური სახელწოდებაც ჰქონდა მინიჭებული მოკავშირე სახელმწიფოების ამ შეხვედრას საბჭოთა დოკუმენტებში. სამოქმედო გეგმა ბერიას ბრძანებით დამტკიცდა 1945 წლის 6 ივნისს.

ღონისძიებათა სისტემა ითვალისწინებდა გზების გაწმენდას, დანგრეული შენობების გასუფთავებას, ხიდების, სატელეფონო სადგურების, წყალმომარაგების სისტემისა და კანალიზაციის აღდგენას, ორი ელექტროსადგურის ამუშავებას და ორი აეროდრომის მომზადებას ყველა ტიპის თვითმფრინავების მისაღებად.

ამას გარდა, საჭირო იყო ათასობით საომარი მასალის მიგნება და გაუვნებელყოფა, რომლებიც ათობით სატვირთო მანქანას ერთი თვის განმავლობაში გაჰქონდა ქალაქიდან.

სპეციალური მატარებლის უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად, რომლითაც სტალინი მიემგზავრებოდა პოტსდამში, მობილიზებული იყო შინსახკომის ჯარების 17 ათასი მებრძოლი და ოფიცერი.

1945 წლის 2 ივლისს ბერიამ მოახსენა სტალინს და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ **ვიაჩესლავ მოლოტოვს** „ოპერაცია პალმის“ მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შესახებ.

15 დღის შემდეგ მუშაობა დაიწყო პოტსდამის კონფერენციამ.

კონფერენციის სხდომებს შორის შესვენებისას აშშ-ის პრეზიდენტმა **ჰარი ტრუმენმა** სტალინს აცნობა, რომ ამერიკელებმა წარმატებით გამოსცადეს ბირთვული იარალი. ეს არ ჰგავდა საკუთარი მიღწევის მოკავშირისთვის მიწოდებულ ახალ ამბავს. ამით შტატები შეეცადა, გავლენა მოეხდინა საბჭოთა კავშირზე, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ ამერიკისა და დიდი ბრიტანეთისთვის იდეოლოგიურ მტრად იქცა.

1945 წლის 9 მაისს სამამულო ომი დამთავრდა, მაგრამ პოტსდამის კონფერენციის შემდგომ დაიწყო საბჭოთა კავშირის უსაფრთხო- ▶



ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავი




ფაშისტები კავკასიონს მოადგნენ



მესაზღვრეებმა უღელტეხილები გადაკეტეს

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ატომური ენერგიის სამხედრო მიზნებისთვის გამოყენების შესახებ ბერიამ სტალინს პირველად ჯერ კიდევ ომამდე აცნობა და ამ დარგში მუშაობის დაუყოვნებლივ დაწყება შესთავაზა.


კავკასიელი მოთარეშეები



გადასახლების მიმართულება


სტალინი და რუზველტი იალტის კონფერენციაზე

◀ების დაცვისთვის ბრძოლის ახალი პერიოდი.

**ატომური ენერგიის სამხედრო მიზნებისთვის გამოყენების შესახებ ბერიამ სტალინს პირველად ჯერ კიდევ ომამდე აცნობა და ამ დარგში მუშაობის დაუყოვნებლივ დაწყება შესთავაზა,** მაგრამ საქმე ადგილიდან ძნელად დაიძრა — ძირითადი რესურსები ფრონტს ხმარდებოდა. სამუშაოთა სამეცნიერო-ტექნიკურ ნაწილს ხელმძღვანელობდა მომავალი აკადემიკოსი **იგორ კურჩატოვი**, რომელიც აღშფოთებული იყო ადგილობრივი ხელმძღვანელების უმოქმედობით და დახმარების სურვილის უქონლობით. ბირთვული პროექტის საერთო კოორდინაციით დაკავებულნი იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც არც სათანადო ცოდნა ჰქონდათ და არც გამოცდილება, ღრმად ჩასწვდომოდნენ სამეცნიერო და ტექნიკური პრობლემების კოლოსალურ რაოდენობას.

საბჭოთა ატომური პროექტი ელოდა ადამიანს, რომელიც ხელს მოჰკიდებდა მის რეალიზაციას, მსოფლიო კი უკვე ახალი ეპოქის კარიბჭესთან იდგა, ბირთვული იარაღის ეპოქაში შედიოდა.

1945 წლის 6 აგვისტოს აშშ-მა ატომური ბომბი ააფეთქა **ჰიროსიმას** თავზე. რამდენიმე წუთში ეს ქალაქი დედამიწაზე ჯოჯოხეთად იქცა. ათასობით მშვიდობიანი, უდანაშაულო ადამიანი — ბავშვები, ქალები, მოხუცები, რომლებიც აფეთქების ეპიცენტრში აღმოჩნდნენ, მყისიერად დაიღუპნენ, ინგრეოდა შენობები, ხანძარი მასშტაბურ ქარიშხალად იქცა.

სამი დღის შემდეგ, 9 აგვისტოს, იაპონიის **ნაგასაკი** მეორე ატომურმა ბომბმა აღგავა პირისაგან მიწისა. **ამ ორი ელვისებური ოპერაციით ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა 200 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დახოცეს.**

იაპონიის დაბომბვის არავითარი სამხედრო აუცილებლობა არ არსებობდა. ეს გაკეთდა საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების დასაშინებლად. შეიცვალა ძალთა განლაგება მსოფლიოში. საერთაშორისო პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის მიერ შესასრულებელი როლის წარმატება ამიერიდან დიდად დამოკიდებული იყო იმაზე, შეძლებდა თუ არა იგი უმოკლეს დროში ბირთვული იარაღის შექმნას.

**1946 წლის 15 იანვარს გაზეთ „იზვესტიაში“ დაიბეჭდა რამდენიმე სტრიქონი: „საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა ამხანაგ ბერიას თხოვნა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობისგან გათავისუფლების შესახებ მისი სხვა ცენტრალური სამუშაოთი გადატვირთულობის გამო“. ახალი სამუშაო ადგილის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი, რადგან თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1945 წლის 20 აგვისტოს დადგენილებას ედო გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“.** სტალინის ხელმოწერილი განკარგულებით იქმნებოდა სპეციალური კომიტეტი, რომელიც აღიჭურვებოდა საგანგებო უფლებამოსილებით ატომური პროექტის განსახორციელებლად.

ბერია, როგორც ამ კომიტეტის თავმჯდომარე, აღიჭურვილი იყო გადაწყვეტილებების მიღების იმ პერიოდისთვის წარმოუდგენელი უფლებებით, რესურსების გამოყენების უსაზღვრო უფლებით — ფინანსურისა და საკადროსიც.

დღემდე არსებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, **ბერიას მოღვაწეობა არასოდეს შემოფარგლულა საზღვარგარეთიდან აგენტურული ინფორმაციის მიღებით. თუმცა მის მიერ ორგანიზებული უცხოეთიდან ბირთვული კვლევების შესახებ სადაზვერვო მონაცემების მოპოვების ოპერაცია ჭეშმარიტად უნიკალური იყო დაზვერვის ისტორიაში.**

ჯერ კიდევ ომის წლებში საბჭოთა აგენტები ჩანერგილი იყვნენ აშშ-ის სამეცნიერო და კვლევით ცენტრებში, იქ, სადაც ატომური იარაღი იქმნებოდა. აშშ-ში პირველი ბირთვული ბომბის შექმნიდან მეთორმეტე დღეს მოსკოვში ბომბის სრული აღწერა მიიღეს. გამოჩენილი საბჭოთა ფიზიკოსები, რომლებიც ატომურ პროექტზე მუშაობდნენ — **იგორ კურჩატოვი, იული ხარიტონი, ისააკ კოკოინი, იაკობ ზელდოვიჩი, ლევ ლანდაუ, აბრამ ალიხანოვი** და ბევრი სხვა, ითვალისწინებდნენ უცხოეთიდან მიღებულ გამზადებულ დასკვნებს, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა ატომური ბომბის კონსტრუქციის პრინციპული საკითხის გადაწყვეტა.

მაგრამ მხოლოდ იმის ცოდნა, როგორაა მოწყობილი ატომური ბომბი, საკმარისი არ არის. ასაფეთქებელი ნივთიერების დამზადება არანაკლებ რთული საკითხი აღმოჩნდა და საბჭოთა სპეციალისტებს უდიდესი მოცულობის სამუშაოს ჩატარება მოუწიათ ამ პრობლემის გადასაწყვეტად.

უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირში არასაკმარისი ოდენობით მოიპოვებდნენ ურანის მადანს. ერთი ატომური ბომბის შესაქმნელად კი ამ ქანის ტონობით მოპოვება იყო საჭირო. ერთი ტონა ურანის დამზადებას არანაკლებ 500 ტონა ქანის გადამუშავება სჭირდება.

1945 წლის აგვისტოსთვის საბჭოთა კავშირში გეოლოგიური დაზვერვით მოძიებული მარაგი სულ 300 ტონამდე იყო. ურანის უკმარობა თავიდან შეავსეს ნაალაფევი გერმანული ნედლეულით, ასევე, აღმოსავლეთ ევროპის ურანის მომპოვებელი საწარმოების პროდუქციით, რომლებთანაც საბჭოთა კავშირმა შეთანხმება გააფორმა.

ეს მოცულობა მაინც არასაკმარისი იყო.

ბერია გეოლოგიის საკითხებით დაინტერესდა. პროფესორი **მიხეილ ალტჰაუზენი**, რომელიც საკავშირო მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის №6 სექტორს ხელმძღვანელობდა, იხსენებდა: **„ბერია ტაქტიანი და ყურადღებიანი იყო. თათბირი ღამის 12 საათზე დაიწყო და დილის 6 საათისთვის დამთავრდა. ჩვენი მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილდა, სამუშაო ძალას მოთხოვნისთანავე გვიგზავნიდნენ, პროდუქტებსა და აღჭურვილობას რიგგარეშე გვაწვდიდნენ. სამეცნიერო თანხას, მაგალითად, ოთხჯერ უფრო მეტს გვიხდიდნენ, სხვა გეოლოგებთან შედარებით.**

1949 წლისთვის ურანის გეოლოგიურ დაზვერვასა და მოპოვებაში დასაქმებული იყო 600 ათასზე მეტი ადამიანი, მათ შორის — **„გულაგის“ პატიმრები და გერმანელი ტყვეები.**

ქვეყანაში გაიხსნა ათობით ახალი ინსტიტუტი, ლაბორატორია, საკონსტრუქტორო ბიურო, შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები. ატომური ობიექტები უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო გაფანტული: მოსკოვი, ლენინგრადი, სოხუმი, კუნძული ახალი მიწა, სემიპალატინსკი, ქალაქები ურალის ცენტრსა და სამხრეთში. კვლევითი ცენტრი განლაგდა სოფელ სეროვში, მომავალ „არზამას-16“-ში, რომელმაც დახურული რეჟიმის ქალაქის სტატუსი მიიღო. აქ ბირთვული ბომბის პროექტზე მუშაობდნენ ქვეყნის წამყვანი ფიზიკოსები.

**ბერიამ საბჭოთა ატომური იარაღის შექმნაში გერმანელი სპეციალისტებიც ჩართო. შეიქმნა კომისია, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირში ეძებდა ნიჭიერ სტუდენტებსა და სპეციალისტებს. სწორედ მაშინ შენიშნეს ახალგაზრდა სპეციალისტი ანდრეი სახაროვი, მომავალი აკადემიკოსი და ნობელის პრემიის ლაურეატი, მსოფლიოში პირველი ზემძლავრი თერმობირთვული, ანუ წყალბადის ბომბის ერთ-ერთი შემქმნელი.**

სახაროვი იხსენებდა 1950 წელს ბერიასთან პირველ შეხვედრას: „იგი წამოდგა და მიგვანიშნა, რომ საუბარი დამთავრებული იყო, მაგრამ უცებ თქვა: ეგებ გაქვთ შეკითხვები? სპონტანურად, მოულოდნელად შევეკითხე: ასე ნელა რატომ ინერგება ჩვენ მიერ დამუშავებული საკითხები? რატომ ჩამოვრჩებით აშშ-სა და სხვა ქვეყნებს ტექნიკურ შეიარაღებაში?

ბერიამ პრაგმატულად მიპასუხა: იმიტომ, რომ არ გვაქვს საწარმოო-საცდელი ბაზა, ამერიკელებს კი აქვთ ასობით ფირმა მძლავრი ბაზებით“.

**ბერიას კარგად ესმოდა, რომ სასურველი შედეგის მიღწევა ერთადერთი გზით იყო შესაძლებელი — სამეცნიერო, სამრეწველო და საფინანსო რესურსების ერთი პრობლემის გარშემო კონცენტრირების გზით. ესმოდა ისიც, რომ ატომური პროექტის რეალიზაციისას შეუძლებელია ჩვეული დაგეგმვის განხორციელება. ხომ წარმოუდგენელია წინასწარ ვიცოდეთ, როგორი იდეები დაიბადება მეცნიერებს და რა ცნობებს გამოგზავნის დაზვერვა უცხოეთიდან.** ბერიამ სამუშაოთა ხელმძღვანელებს უფლება დართო, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და პროექტების გარეშე შეესრულებინათ, განაღდება კი განეხორციელებინათ პრაქტიკული დანახარჯების მიხედვით, ასევე, გასცა განკარგულება, თანამშრომლებისთვის პრემიების გასაცემად გაეთვალისწინებინათ დანახარჯების 1,5-2 პროცენტის ოდენობა.

**ატომური პროექტის მრავალტომიანი დოკუმენტაცია ბერიას გამოწვლილვით ჰქონდა დამუშავებული. თანამშრომლებმა იცოდნენ, რომ ბერიას ვერ გამოაპარებდნენ შეუსრულებელ საქმეს.**

დაზვერვის გენერალ **სუდოპლატოვის** მოგონებებიდან: „თავდაპირველად ადამიანებს მისი ეშინოდათ, მაგრამ მასთან რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ შიშის განცდა ქრებოდა და ჩნდებოდა რწმენა, რომ ბერია მათ მხარს დაუჭერს, თუ ისინი წარმატებით შეასრულებენ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანებს.

სპეციალური ატომური პროექტის კომიტეტის შექმნიდან მეოთხე წელს საცდელ პოლიგონზე №2 ყაზახეთში ემზადება რდს-1 ბომბის გამოსაცდელად. 1949 წლის 29 აგვისტო, დილის 7 საათია.

გამოცდა წარმატებით დაგვირგვინდა.

ამ დროს დაზვერვა გზავნის ცნობას, რომ ამერიკელები ბაქტერიოლოგიური იარაღის შექმნაზე მუშაობენ. ბერიას პატრონაჟით შეიქმნა ბიოლოგიური შეტევისგან თავდაცვის საშუალებების შემუშავების კვლევითი ჯგუფი. ამ ჯგუფში შედიოდა მომავალში საბჭოთა კავშირის მთავარი სანიტარული ექიმი **პეტრე ბურგასოვი.** იგი იხსენებდა: **„როცა მასთან (ბერიასთან) კაბინეტში შევდიოდით, დიდ ბლოკნოტს ამოიღებდა, არ უყვარდა არავითარი წინათქმა და განყენებული საუბარი. და, როცა საქმეებზე მოვახსენებდით, იგი რაღაცის ხატვას იწყებდა თავის ბლოკნოტში. თავდაპირველად არ მესმოდა, რაში იყო საქმე, მაგრამ ადამიანს ყურადღების მოკრების ასეთი ჩვეულება ჰქონდა“.**

მეორე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისა და სარაკეტო იარაღის შექმნა იყო. **საბჭოთა სარაკეტო მშენებლობა ბერიას უშუალო კონტროლით ხორციელდებოდა. ასე ეყრებოდა საფუძველი კოსმოსის ათვისების საქმეს.**

**სერგეი კოროლიოვი** ჯერ კიდევ 1946 წელს დაინიშნა განსაკუთრებული საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელად. ამ ბიუროს ბალისტიკური და გეოფიზიკური რაკეტების შექმნა ევალებოდა. პირველი რაკეტის გაშვება, რომლის ბორტზეც ძაღლები იყვნენ, 1951 წლის 22 ივლისს განხორციელდა, 8 წლით ადრე ლეგენდარული ბელკასა და სტრელკას გაფრენამდე.

**პრაგმატული ბერია კოსმოსში გაფრენას ერთგვარი ირონიით ეკიდებოდა. როცა კოროლიოვმა კოსმოსში ძაღლების წარმატებული გაფრენის შესახებ მოახსენა, ბერიამ ოდნავი ირონიით ჰკითხა: „მაშ, კოსმოსში?“ კოროლიოვმა ღიმილით უპასუხა: „90 კილომეტრი უკვე კოსმოსია, ამხანაგო ბერია“.**

1953 წლის თებერვალში ბერიამ ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს ორ დადგენილებას შორი მოქმედების რაკეტების შექმნის საცდელ-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სამწლიანი გეგმების შესახებ.

საფუძველი ეყრებოდა კონტინენტთაშორისი და კოსმოსური მძლავრი რაკეტების შექმნას. მალე გაჩნდება კოროლიოვის დამუშავებული რ-7, რაკეტები: **სემიონ ლავოჩკინის** „ბურია“ და **ვლადიმერ მიასიშჩევის** „ბურანი“.

**დასასრული შემდეგ ნომერში**



„იზვესტიის“ 15 იანვრის ნომერი


ანასტას მიქოიანი და ლავრენტი ბერია

პირველი საბჭოთა ატომური ბომბის გამოცდა



მოზაიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სინდისი ჩვენი მნიშვნელოვანი შემადგენელია და თავისი არსით ადამიანის საქციელის მარეგულირებელი. სწორედ სინდისის გამო თოკავენ ადამიანები თავიანთ ზოგიერთ სურვილს, მიუხედავად იმისა, რომ მათი განხორციელება გულით სწადიათ.**

# როგორ მართავს სინდისი ადამიანს



**ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის მკვლევარებმა განაცხადეს, რომ მათ შეძლეს, დაედგინათ, თუ როგორ შეუძლია სინდისს ადამიანზე ზემოქმედება.**

კვლევის შედეგად მეცნიერებმა გააკეთეს დასკვნა: სინდისს ბუკვალურად შეუძლია ადამიანის მართვა. დამტკიცდა, რომ მორალის არასაწინააღმდეგო მოქმედების შესრულებისას ტვინის ზოგიერთი უბნის მაღალი აქტიურობა შეინიშნება. მაგრამ, თუკი ადამიანის საქციელი ეწინააღმდეგება მორალს, ტვინი ნაკლებად რეაგირებს ამაზე.

ადრეც ითვლებოდა, რომ ადამიანის ქცევაზე სინდისი ზემოქმედებს, მაგრამ არ იცოდნენ, რამდენად სერიოზულად. ამჯერად კი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სინდისს ნამდვილად შეუძლია ადამიანის ქცევის შეცვლა — მისი იძულება, უარი თქვას სასურველ საქციელზე და გააკეთოს ის, რაც არ უნდა.

ალმოჩნდა, რომ **სინდისი ჩვენი მნიშვნელოვანი შემადგენელია და თავისი არსით ადამიანის საქციელის მარეგულირებელი. სწორედ სინდისის გამო თოკავენ ადამიანები თავიანთ ზოგიერთ სურვილს, მიუხედავად იმისა, რომ მათი განხორციელება გულით სწადიათ.**

ამასთანავე, ყველაზე გასაოცარი არის ის ფაქტი, რომ საქციელზე სინდისის ზემოქმედებისთვის თვალყურის დევნება ფიზიოლოგიურ დონეზეა შესაძლებელი — ამ დროს ბუკვალურად იცვლება ადამიანის ტვინის მუშაობის პრინციპი, მასში სხვადასხვაგვარად აქტიურდება ესა თუ ის უბანი.

ალმოჩნდა, რომ ამორალურ ქცევაზე ტვინი მშფოთვარე პროცესებით რეაგირებს, მსგავსი რამ მეცნიერებს სხვა შემთხვევაში არ შეუნიშნავთ.

ამგვარად, მეცნიერებმა ადამიანის ორგანიზმში აღმოაჩინეს სინდისის უბანი და დააკვირდნენ მის ფუნქციობას. ეს აღმოჩენა დაეხმარება მეცნიერებს, უკეთ გაიგონ, როგორ მუშაობს ადამიანის ტვინი და რა არის მისი მოტივატორი ამა თუ იმ ქმედებისას.

# ამერიკელმა «ღვთის თვალი» გადაიღო



**აშშ-ში თვითმხილველმა მოახერხა და იდუმალ გიგანტურ თვალს, რომელიც ცაზე მისი სახლის შორიახლოს გამოჩნდა, ფოტო გადაუღო. ამის თაობაზე წერს Politexpert.net.**

ამერიკელის თქმით, გადაღების მომენტში მან იგრძნო, რომ ცუდად გახდა. რამდენიმე წუთში კი უცნაური ბუნებრივი მოვლენისგან კვალიც არ დარჩა.

სპეციალისტებმა ფოტო გააანალიზეს და მისი ნამდვილობა დაადასტურეს.

თვითმხილველმა განაცხადა, რომ თავისი ფოტოგრაფული კარიერის განმავლობაში მსგავს ანომალიას არასოდეს წასწყდომია.

მოცემულ მომენტში მეცნიერები ცდილობენ, გაარკვიონ იდუმალი „თვალის“ ნამდვილი ბუნება. სოციალური ქსელების მომხმარებლებმა კი ის უკვე მონათლეს და მას „ღვთის თვალი“ უწოდეს.

# იერუსალიმის ქვეშ არსებულმა იდუმალმა პირამიდამ არქეოლოგები ჩიხში შეიყვანა



**ისრაელელი არქეოლოგები ცდილობენ, იერუსალიმის ტერიტორიაზე მდებარე პირამიდის წარმომავლობა დაადგინონ.**

მიჩნეულია, რომ ეს პირამიდა განეკუთვნება პირველ საუკუნეს ჩვენს ერამდე, როცა მსგავსი ნაგებობები დამკრძალავი პალატების ფუნქციას ასრულებდა, ეგვიპტურის მსგავსს. გამოკვლევისთვის ამჟამად ხელმისაწვდომია მხოლოდ მისი მწვერვალი. მეცნიერებმა არ იციან, რამდენად ღრმადაა შენობა მიწაში ჩაფლული.

მაგრამ ერთი რამ ცხადია: **პირამიდა კონსტრუქციით მთლიანად განსხვავდება ეგვიპტური „თანამოძმეებისგან“.** ისრაელელი არქეოლოგი **ორიტ ბარკატი** იმედოვნებს, რომ მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, გათხრებისას აღმოაჩენს რაიმე ხელჩასაჭიდს, რომელიც მონუმენტის აშენების ზუსტ თარიღზე მიანიშნებს. „უფრო საფიქრებელია, რომ ეს ებრაელთა სამარხი იყო“, — თქვა ბარკატმა.

როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ელინისტურ და რომაულ პერიოდებში ებრაელებისთვის დამახასიათებელი იყო ძეგლების მშენებლობა სამარხ გამოქვაბულებზე. ამ ძეგლებს **ნეფეშს** უწოდებდნენ. მათი გამოჩენა **მაკავეების პერიოდს** განეკუთვნება (160-იან წლებს ჩვენს ერამდე).

# რატომაა თვითმფრინავში საკვები უგემური?



**მკვლევარებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის მიმდინარეობისას ჰაერში ასაფრენ ბილიკზე მდგომი დიდი ავიალაინერის ბორტზე ფრენის მოდელირება მოახდინეს.**

გაირკვა, რომ **წნევის ცვალებადობისა და ჰაერის განსხვავებული ტენიანობის გამო ადამიანის ლორწოვანი შრება და გემოს რეცეპტორები სხვაგვარად იწყებს რეაგირებას საჭმელზე. კერძოდ, საჭმელი ხდება „უმარილო“, ყავა — „მწარე“, მხოლოდ ტომატის წვენია შედარებით გემრიელი.**

აღსანიშნავია, რომ დღეს დიდ და თანამედროვე ლაონერებზე ხელოვნურად შექმნილია წნევისა და ჰაერის ტენიანობის ისეთი პირობები, როგორიც დედამიწაზეა, ამიტომ ეს ცვლილებები ფრენისას ნაკლებად იგრძნობა.

# ლონდონში გაიხსნა სპორტდარბაზი ძილისთვის



**ლონდონის ერთ-ერთ პოპულარულ ფიტნესკლუბში უცნაურ „ვარჯიშს“ ატარებენ: 45 წუთის განმავლობაში იძინებენ.**

კურსს ეწოდება Napercise და მათ, ვინც ამ კლუბს ეწვევა, გირებისა და ველოტრენაჟორების ნაცვლად სთავაზობენ ერთადგილიან საწოლს, ბალიშს, საბანსა და თვალების ნიღაბს.

სეანსი იწყება და მთავრდება კუნთების მოსადუნებელი ვარჯიშით, რომლის შემდეგაც ადამიანები იძინებენ საამისოდ იდეალურ ჰაერის ტემპერატურაზე.

ვარჯიშის მიზანია, „გამოაცოცხლოს გონება, გააუმჯობესოს განწყობა და რამდენიმე ზედმეტი კალორიაც დაწვას“. გამოცემა Mashable ეჭვს გამოთქვამს, რომ „45-წუთიანი ძილი და 15-წუთიანი სავარჯიშოები საკმარის კალორიებს დაწვავს იმისათვის, რომ ეს შესამჩნევი იყოს“.

მაგრამ, თუკი ფიტნესკლუბის ჩანაფიქრი გაამართლებს, მსგავს რამეს მთელი ბრიტანეთი გააკეთებს. ბევრმა კვლევამ აჩვენა, რომ **45-წუთიანი ძილი ნამდვილად სასარგებლოა ორგანიზმისთვის — ნაწილობრივ ის ახდენს ტვინის აქტივობის სტიმულირებას და ეხმარება სტრესის უკეთ გადატანაში.**

# თვითმფრინავი MC-21 ქარხნიდან გამოვიდა






**რუსული ვიწროფიუზელაჟიანი თვითმფრინავის — MC-21-ის პირველმა ეკზემპლარმა კორპორაცია „ირკუტის“ ქარხნის ასაწყობი საამქრო დატოვა. ამჟამად მიმდინარეობს პირველი გამოსაცდელი გაფრენისთვის მზადება.**

ლაინერი ორიენტირებულია მსოფლიო ავიაბაზრის ყველაზე ტევად სეგმენტზე — საშუალომაგისტრალურ გადაზიდვებზე. დეველოპერები იმედოვნებენ, რომ ის გახდება Boeing-737-ისა და Airbus A320-ის კონკურენტი. MC-21 იფრენს გაცილებით სწრაფად და ეკონომიური თვალსაზრისითაც აჯობებს დასავლელ კონკურენტებს. **„ირკუტის“ გათვლებით, MC-21-ის ექსპლუატაციით ავიაკომპანიები 3 მილიონ დოლარს დაზოგავენ წელიწადში.**

პირველი ამ ლაინერს გამოიყენებს რუსული კომპანია „აეროფლოტი“. თვითმფრინავების მიწოდება 2018 წლის ბოლოსა და 2019 წლის დასაწყისისთვის იგეგმება. კომპანია „აეროფლოტი“ 150 ლაინერის ყიდვას აპირებს.

პერსპექტიული სამგზავრო ლაინერის ტევადობა 150-დან 211 მგზავრამდეა. ასევე, მას აქვს უახლესი ტექნოლოგიების შესაბამისად აწყობილი ძრავი, საბორტო მოწყობილობა და სისტემები. ლაინერი შეცვლის ისეთ საბჭოთა თვითმფრინავებს, როგორიცაა „Ту“, „Як“ და „Ан“.



ალმოჩნდა, რომ ძალიან ახალგაზრდა და ძალიან მოხუცი მამების ბავშვები (25 წელზე უმცროსი და 51-ზე უფროსი, შესაბამისად) განვითარების ადრეულ სტადიაზე ადვილად ახდენენ საზოგადოებაში ინტეგრაციას, ოღონდ მოზარდობის პერიოდის დასაწყისში უკვე ჩამორჩებიან თანატოლებს. ეს ეფექტები დამოკიდებული არ არის დედის ასაკზე. ამას გარდა, მეცნიერთა აზრით, კომუნიკაციის უნარის განვითარება გენებით უფრო განისაზღვრება, ვიდრე გარემო ფაქტორებით. რაც უფრო დიდი ასაკისაა მამა, მით უფრო ძლიერია მისი გენები.

მოზაიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საზოგადოებაში ბავშვის ინტეგრაციაზე გავლენას მამის ასაკი ახდენს



**საზოგადოებაში ადამიანის ქცევაზე გავლენას ახდენს მამის ასაკი, კერძოდ ის, თუ რამდენი წლის იყო ის შვილის დაბადების მომენტში.**

ნიუ-იორკში, მაუნტ-სინაის საავადმყოფოსთან არსებული აუტიზმის კვლევისა და მკურნალობის ცენტრის მეცნიერებმა, **მაგდალენა ჯანეცკოის** მეთაურობით, შეისწავლეს ბავშვების ქცევა ადრეული ბავშვობიდან ზრდასრულობის პირველ წლებამდე. ისინი მუშაობდნენ 15 ათასი ტყუპის საერთობრიტანულ ბაზაზე და ცდილობდნენ, გაერკვიათ, როგორ მოქმედებს მამის ასაკი საზოგადოებაში მათ ინტეგრაციაზე; ასევე, სწავლობდნენ განვითარებასთან დაკავშირებულ ასპექტებს — კონტაქტებსა და კონფლიქტებს თანატოლებთან, მათ ემოციურობასა და აქტივობას. შედეგად მეცნიერებმა სხვა ფაქტორების ზემოქმედება „გამორიცხეს“ (გენეტიკურ და გარემო ფაქტორებთან დაკავშირებული).

ალმოჩნდა, რომ ძალიან ახალგაზრდა და ძალიან მოხუცი მამების ბავშვები (25 წელზე უმცროსი და 51-ზე უფროსი, შესაბამისად) განვითარების ადრეულ სტადიაზე ადვილად ახდენენ საზოგადოებაში ინტეგრაციას, ოღონდ მოზარდობის პერიოდის დასაწყისში უკვე ჩამორჩებიან თანატოლებს. ეს ეფექტები დამოკიდებული არ არის დედის ასაკზე. ამას გარდა, **მეცნიერთა აზრით, კომუნიკაციის უნარის განვითარება გენებით უფრო განისაზღვრება, ვიდრე გარემო ფაქტორებით.** რაც უფრო დიდი ასაკისაა მამა, მით უფრო ძლიერია მისი გენები.

მეცნიერები იმედოვნებენ, რომ დამატებითი კვლევების ჩატარების შემდეგ გაკეთებული დასკვნები საშუალებას მისცემს მათ, უკეთ გაიგონ, მამის ასაკზე რამდენადაა დამოკიდებული აუტიზმისა და შიზოფრენიის განვითარების რისკი.

# მეცნიერებმა ჩინეთში ფრინველის ბუმბულიანი დინოზავრის ნეშტის ნაწილები აღმოაჩინეს



**პალეონტოლოგებმა ჩინეთის ჩრდილოეთში ერთმეტრიანი დინოზავრის ნარჩენები აღმოაჩინეს, რომელსაც ბუმბულიანი სხეული ჰქონია, სავარაუდოდ, მას ფრენა შეეძლო. მეცნიერებმა მისი აღწერა ჟურნალ Nature Communications -ში გამოაქვეყნეს.**

უძველესი სოფლის — ბაიცაი-გოუს შემოგარენში ცარცული პერიოდის შესწავლისას, რომელიც 125 მილიონი წლის წინათ ჩამოყალიბდა, მეცნიერები წააწყდნენ აქამდე უცნობი დიდი ფრთიანი დინოზავრის ნაშთს, რომელიც ეკუთვნის ტროოდონებს — საშუალო ზომის მტაცებელი დინოზავრების რიგს, რომლებიც ფრინველების უახლოესი ნათესავები არიან. **მისი სიგრძე დაახლოებით 1 მეტრს შეადგენდა, თუ ბუმბულის კუდს არ ჩავთვლით, ხოლო წონა — დაახლოებით სამ კილოგრამს.**

ეს არსება, თუ მისი სხეულის შემორჩენილი რბილი ქსოვილებითა და ბუმბულით ვიმსჯელებთ, უფრო მეტად ჰგავდა დიდ ფრინველს, ვიდრე ტიპურ დინოზავრს. მას ჰქონდა დიდი, ფუმფულა კუდი, ლამაზი ფრთები, ხოლო მთელი მისი სხეული ნაზი ბუმბულით იყო შემოსილი. ფრინველებისგან ის განსხვავდებოდა დაკუნთული სხეულითა და ბასრკბილებიანი პირის ღრუთი.

მეცნიერებმა ამ არსებას Jianianhualong tengi უწოდეს პალეონტოლოგ ფანფან ტენგისა და კომპანია „ციანიანხუას“ პატივისცემის ნიშნად, რომელმაც გათხრები დაასპონსორა.

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, Jianianhualong tengi-ს ფრთებმა, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეცვალოს ჩვენი წარმოდგენა იმაზე, თუ რამდენად სწრაფად განუვითარდა ფრთები ფრინველების წინაპრებს.

ყველაფერი ერთი უბრალო კითხვის პასუხზეა დამოკიდებული: **JIANIANHUALONG TENGI იყენებდა თუ არა ფრთებს ფრენისთვის?**

სავსებით შესაძლებელია, რომ ის ვერ დაფრინავდა და ფრთებსა და კუდს იყენებდა იმისათვის, რომ ხიდან და ფერდობებიდან დაშვებისას ვარდნის სიჩქარე შეემცირებინა; ან, შესაძლოა, ფრთები მას მორიგი მსხვერპლის დაჭერაში სიჩქარის ასაკრებად ან დამუხრუჭებაში ეხმარებოდა. „აეროდინამიკური“ ფრთებიანი დინოზავრების შესწავლა, როგორც მეცნიერები თვლიან, ამ კითხვას პასუხს გასცემს.

# მეცნიერებმა ჩაის საიდუმლოებები მისი დნმ-ის გაშიფვრით გამოიცნეს



**ჩინელმა გენეტიკოსებმა ჩაის ბუჩქის Camellia sinensis-ის დნმ გაშიფრეს და დაადგინეს, რატომ აქვს ჩაის უნიკალური გემო და კოფეინი.**

ჩაის გენეტიკური სტრუქტურის გამოკვლევა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ **ჩაის გემონი შედგება 3 მილიარდზე მეტი წყვილი ნუკლეოტიდებისგან.**

ასევე დადგინდა, რომ ამ მცენარის დნმ-მა ევოლუციის განმავლობაში ორჯერ განიცადა სრული გენური დუპლიკაცია (ლათ. გაორმაგება): პირველი, ყველაზე ძველი, რამდენიმე სახეობას შეეხებოდა, მეორე კი უნიკალური იყო კამელიას სახეობისთვის.

ჩინელი გენეტიკოსების ვერსიით, სწორედ მეორე დუპლიკაციამ აქცია ჩაის გემო უნიკალურად და საშუალება მისცა მცენარეს, შეგუებოდა სხვადასხვა გარემო პირობას. ამას გარდა, დადგინდა, რომ ჩაის გემოში კოფეინის სინთეზი უნიკალური მოვლენაა, რამდენადაც მისი გენეტიკური „წინაპრებისთვის“ ეს უცხო იყო.

# ესპანეთში ლუდისგან ნაყინი დაამზადეს

**ესპანელმა კულინარებმა ლუდისგან ნაყინი დაამზადეს და მას Enigma Origen უწოდეს.**

დესერტი წარმოდგენილი იქნა გასტრონომიულ გამოფენა, რომელიც მადრიდში 24-27 აპრილს მოეწყო. აღნიშნულ ნაყინზე მუშაობდა ლუდის სახარში კომპანია Cervezas Enigma-ს რამდენიმე წარმომადგენელი და ნაყინის მწარმოებელი კომპანია Acaram Helados-ი.

აღსანიშნავია, რომ დესერტი დამზადებულია ნატურალური პროდუქტებისგან, ყოველგვარი არომატიზატორებისა და კონსერვანტების დამატების გარეშე. ნაყინი ღია ქარვისფერია, აქვს შოკოლადის, კაკაოსა და კარამელის გემო, რომელიც დამახასიათებელია ლუდის ერთ-ერთი სახეობისთვის, რომელსაც კომპანია Cervezas Enigma აწარმოებს.

მომავალში ლუდის ნაყინის შეკვეთა შესაძლებელი იქნება ესპანეთის ზოგიერთ რესტორანში.

შარშან სამხრეთ კორეაში დაიწყეს „ნაბახუსევის საწინააღმდეგო“ ნაყინის წარმოება.



დესერტი სახელწოდებით „გამაგრდი“ შეიცავს ხის — **ტკბილი ჰოვენიის** წვენს, რომელიც კორეაში ჯერ კიდევ XVII საუკუნიდანაა ცნობილი, როგორც ბახუსის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალება.

# გამჭვირვალე ტყავი კომპანია ECCO-სგან



**ყოველდღიური ფეხსაცმლისა და აქსესუარების ბრენდმა Ecco-მ წარმოადგინა ახალი მასალა — გამჭვირვალე ტყავი.**

ჰოლანდიელი სპეციალისტები რამდენიმე წლის განმავლობაში სწავლობდნენ ტყავის დამუშავების ეგვიპტურ და ბერძნულ მეთოდებს. მათი აზრით, ახალი მასალის გამოყენება შეიძლება ჩანთების, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შესაქმნელად.

ეს არის ფუტურისტული მასალა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ტყავის ყველა ის თვისება, რომლებიც ჩვენ მოგვწონს და იმავე დროს ემატება სიახლეც — გამჭვირვალეა. ამჟამად გამოშვებულია მსგავსი ნაწარმი, რომელიც ქარვის, სალათის, ყავისფერნარინჯის, შავი, წითელი და სპილოს ძვლის ფერია.

მარკა **Ecco** 1963 წელს დანიაში დააფუძნდა **კარლ ტუსბიმ** და დღემდე მისი ოჯახის წევრებს ეკუთვნის. კომპანია აწარმოებს კლასიკურ, ყოველდღიურ და სპორტულ ფეხსაცმელსა და აქსესუარებს მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისთვის. კომპანიის ქარხნები გახსნილია პორტუგალიაში, ინდონეზიაში, ტაილანდში, სლოვაკიასა და ჩინეთში.

# ყველაზე მავნე სასმელები



**კანადელმა მეცნიერებმა იმის გასარკვევად, რა უფრო მავნეა ადამიანის ორგანიზმისთვის — ალკოჰოლი თუ ენერგეტიკული სასმელი, ჩაატარეს კვლევა. კვლევისას ისინი ეყრდნობოდნენ იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომლებმაც დაადგინეს, რომ ენერგეტიკული სასმელები ჯანმრთელობისთვის საზიანოა.**

მეცნიერთა აზრით, **სისხლში ალკოჰოლისა და ენერგეტიკული სასმელის კომპონენტების ერთდროულად მოხვედრა გაცილებით საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, ვიდრე ერთ-ერთი მათგანის.**

ალკოჰოლი ადამიანის შენელებულ რეაქციას იწვევს და აკარგვინებს საკუთარ სხეულზე კონტროლს, ხოლო ენერგეტიკული სასმელი პირიქით — აქტიური მოქმედებისთვის ორგანიზმის სტიმულირებას ახდენს. ამდენად, თუკი ალკოჰოლმიღებული ადამიანი ძალების აღდგენასა და მოთენთილობის მოხსნას ენერგეტიკული სასმელით შეეცდება, ეს მას „ცრუ აქტიურობამდე“ მიიყვანს — საკუთარი მოქმედების გაკონტროლება ძალიან გაუძნელდება, რაც ტრავმით ან სხვა უბედური შემთხვევით შეიძლება დასრულდეს. ამავე დროს, ეს ნაზავი დიდ ზიანს მიაყენებს მის გულ-სისხლძარღვთა სისტემას.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმპორტის საბაჟო პირობების გაადვილების შედეგად ქვეყანა მომარაგებულია ყველანაირი ხარისხისა და ფასის ჩაის პროდუქციით. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ მაღალი ხარისხის ჩაი, ვიდრე შემოტანილია. ამიტომ დარგის შენარჩუნება-განვითარება აუცილებელია. სამწუხაროდ, მსოფლიოში ოდესღაც ცნობილი არომატული ქართული ჩაი მოგონებად დარჩა. საქართველო დღეს, ფაქტობრივად, ამოვარდა ჩაის მწარმოებელი ქვეყნების რიცხვიდან, ამიტომ აქტიურად უნდა დადგეს საქართველოში მეჩაიეობის აღორძინების საკითხი.**

# გადავარჩინოთ ქართული ჩაი — ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე

**სუბტროპიკული მეურნეობა საქართველოს ეროვნული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. იგი გვაძლევს კვებისათვის ძვირფას და სასარგებლო პროდუქტებს, ხოლო მრეწველობის რიგი დარგისთვის — ნედლეულს. სუბტროპიკული კულტურები ფართოდაა საქართველოში გავრცელებული, მას სამრეწველო მნიშვნელობა აქვს და დამოუკიდებელ საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება.**



მეჩაიეობის დარგს საქართველოში 150-წლიანი ისტორია აქვს. გასულ საუკუნეში ის კუსტარულ მეურნეობიდან გადაიქცა სოფლის მეურნეობის წამყვან, მაღალგანვითარებულ დარგად და ასრულებდა გადამწყვეტ როლს რესპუბლიკის ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების, საზოგადოებრივი მეურნეობებისა და მოსახლეობის შემოსავლებში. მსოფლიოში ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის საქართველო მე-5 ადგილზე იყო წელიწადში 130-140 ათასი ტონა ჩაის მზა პროდუქციის წარმოებით და შიგა ეროვნულ შემოსავლებში მისი ხვედრითი წილი 10-12%-ის ფარგლებში მერყეობდა. საქართველოში ჩაის წარმოების შემცირების მიზეზები და მისი დღევანდელი მდგომარეობა დაემთხვა იმ ცვლილებებს, რომელსაც მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა. ნედლეულის შესყიდვის სახელმწიფო სისტემის შეცვლამ, საშუალებების არქონამ, დარგი იქამდე მიიყვანა, რომ დღევანდელი კრიზისიდან გამოყვანა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს დახმარებით.

მეჩაიეობაში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის გამო უმუშევარია ათეული ათასობით ადამიანი. საგრძნობლად შემცირდა ბიუჯეტის შემოსავლებიც. მეჩაიეობის დარგში მთავრობის მიერ განხორციელებული ცალკეული ღონისძიებები, როგორიცაა ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა და უცხოელი ინვესტორების მოზიდვა, საკმარისი არ აღმოჩნდა, ხოლო ფერმერები და ჩაის მეპატრონეები უსახსრობის გამო ვერაფერს აკეთებენ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისა და მაღალხარისხიანი ჩაის პროდუქციის საწარმოებლად, ქვეყნის მოსახლეობის ქართული ჩაით უზრუნველსაყოფად და, პარალელურად, უცხოური ბაზრის მოსაძიებლად.

XX საუკუნე ჩაის დარგისთვის საოცრად ხელსაყრელი იყო, ვიდრე მისი განვითარების წინა პერიოდი. 2010 წელს მსოფლიო აწარმოებდა 3 მლნ კგ-ზე მეტ ჩაის, როდესაც მისი წარმოება 1970 წელს არ აღემატებოდა 1,5 მლნ კგ-ს ბოლო მონაცემებით, ჩაის მოყვარულთა რიცხვი მიუახლოვდა 3 მილიარდ ადამიანს. მსოფლიოში წელიწადში მიირთმევენ 3 ტრილიონ ფინჯანი ჩაის. დღესდღეობით ჩაის სმის ტრადიცია გავრცელებულია მსოფლიოს 150 ქვეყანაში, რომელთაგან 50 ითვლება ჩაის ფოთლის მწარმოებელ ქვეყნად, ხოლო 100 — მზა პროდუქციის იმპორტიორად. ბოლო 40 წლის განმავლობაში მსოფლიოში ჩაის პლანტაციების ფართობებმა მოიმატა 60%-ით და მიაღწია 2 მილიონ ჰა-ს, ხოლო მოსავლიანობა გაიზარდა 40%-ით. ყველაზე მსხვილი ექსპორტიორები არიან: შრი-ლანკა (ცეილონი) — 265 ათასი კგ, ინდოეთი — 250 ათასი კგ, ჩინეთი — 250 ათასი კგ, კენია — 245 ათასი კგ, ინდონეზია — 150 ათასი კგ. ამ ხუთ ქვეყანაზე მოდის მსოფლიოში წარმოებული ჩაის 70%. დღეს მსოფლიოში წარმოებული ჩაის 75-76% შავი ბაიხის ჩაია, ხოლო 24-25% — მწვანე ჩაი. ოოლონგსა (წითელი, ყვითელი ჩაი) და სხვა სახის პროდუქციას უმნიშვნელო ადგილი უკავია მსოფლიოში წარმოებული ჩაის მოცულობაში (დაახლოებით 1%).

მომავალში ჩაის წარმოების შემდგომი მკვეთრი ზრდა თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან ჩაის პლანტაციების რეზერვი ძალიან შეზღუდულია და, შესაბამისად, უახლოეს წლებში შეიძლება გაჩნდეს ამ პროდუქციის დეფიციტი, ამიტომ არ არის გამორიცხული, საქართველოსათვის ჩაი კვლავ გახდეს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე.

როდესაც ჩაის დარგი ასეთ მდგომარეობაშია, იმპორტის საბაჟო პირობების გაადვილების შედეგად ქვეყანა მომარაგებულია ყველანაირი ხარისხისა და ფასის ჩაის პროდუქციით. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ მაღალი ხარისხის ჩაი, ვიდრე შემოტანილია. ამიტომ დარგის შენარჩუნება-განვითარება აუცილებელია. **სამწუხაროდ, მსოფლიოში ოდესღაც ცნობილი არომატული ქართული ჩაი დარჩა მოგონებად. საქართველო დღეს, ფაქტობრივად, ამოვარდა ჩაის მწარმოებელი ქვეყნების რიცხვიდან, ამიტომ აქტიურად უნდა დადგეს საქართველოში მეჩაიეობის აღორძინების საკითხი.** ამისათვის აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჩაის წარმოების განვითარებას და მისი გადამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმების სრულყოფას. აღნიშნული ამოცანის წარმატებებით გადაწყვეტა დამოკიდებულია მიზანმიმართულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე, მეცნიერული მიღწევებისა და წარმოების მოწინავე გამოცდილების სწრაფად და წარმატებით დანერგვაზე.

დარგის მდგომარეობას ამჟამად ართულებს 10-15 წლის განმავლობაში პლანტაციების მოუვლელობა, ნარგავების მნიშვნელოვანი ნაწილის ბიოლოგიურად დაბერება და ამორტიზაცია, რადგან მათი უმეტესობა გაშენებულია გასული საუკუნეების 30-იან წლებში. ჩაის პლანტაციების აღსადგენად საჭიროა დიდი თანხები, რაც ქვეყანას ეკონომიური სიძნელეების გამო არ აქვს, ამიტომ ფერმერებმა მათზე იჯარით გაცემული ან საკუთრებაში არსებული ჩაის ფართობები თანდათანობით უნდა აღადგინონ, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან, ხელშეწყობის მიზნით, გაიცეს შეღავათიანი სესხები გარკვეული ვადით, რომლის უკან დაბრუნება განისაზღვროს 3-5 წლით.

**საქართველოში მეჩაიეობას სხვა დარგებთან შედარებით განვითარების უკეთესი შესაძლებლობები აქვს, რასაც განაპირობებს, ძირითადად, ორი გარემოება: პირველი** — მეჩაიეობის განვითარების საუკუნოვანი ტრადიციები და დაგროვილი უნიკალური გამოცდილება, **მეორე** — ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება, რაც განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდგომარეობითა და რელიეფის თავისებურებებით. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა ჩამოყალიბდეს მეჩაიეობის დარგი საქართველოში.

ამჟამად, **როდესაც ჩაის დარგი ქვეყანაში გადაშენების პირასაა, მისი აღდგენის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ფორმად კოპერატიული მეურნეობები მიგვაჩნია. მათ მიერ რეაბილიტირებული ჩაის პლანტაციებიდან მოკრეფილი ნედლეულის გადასამუშავებლად აუცილებელი იქნება მცირე საწარმოების შექმნა (მიკრო ან მაკრო ჩაის ფაბრიკა), მათ მეტი შესაძლებლობა ექნებათ კონკურენტუნარიანი, მაღალი ხარისხის ჩაის პროდუქციის მისაღებად.** აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად შექმნილია მცირეგაბარიტიანი ტექნოლოგიური მანქანა-მოწყობიობები მოკრეფილი ნედლეულის გადასამუშავებლად: ჩაის ფოთლის საგრეხი მანქანა — როლერი, მოკრეფილი ფოთლის დამხარისხებელი, ჩაის საშრობი მანქანა და ნახევარფაბრიკატის დამხარისხებელი. ყველა დანადგარი აკმაყოფილებს ტექნოლოგიური პროცესების სრული შესაბამისობით დღეში 400-500 კგ სტანდარტული ნაზი და მოუხეშო ნედლეულის გადამუშავებას.

ადრე ჩაის კულტურა იყო ქვეყნის მარჩენალი, ტრადიციული დარგი და შემოსავლების მთავარი წყარო. ამჟამად ამ დარგში შექმნილია სავალალო მდგომარეობა. გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში არსებული 65 ათასი ჰა ჩაის პლანტაციიდან, სადაც დასაქმებული იყო დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი, სავარაუდოდ, დარჩენილია 10-12 ათასი ჰა. დანარჩენი ფართობები წლების განმავლობაში სხვადასხვა კულტურით ჩაანაცვლეს ან გაველურდა და განადგურდა. თუ აღნიშნულ ფართობებს შევინარჩუნებთ და გავხდით მათ მოსავლიანს, შეგვიძლია ჰა-ზე მოვკრიფოთ 3-3,5 ტონა მწვანე ნედლეული. ამ რაოდენობის ნედლეულიდან შესაძლებელია მივიღოთ 9-10 ათასი კგ მზა პროდუქცია. ამით საქართველოს შეეძლება, პირველ რიგში, დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნა ჩაიზე და გარკვეული რაოდენობა გაიტანოს საზღვარგარეთ.

**მეჩაიეობაში და ჩაის მრეწველობაში განხორციელებულმა პრივატიზაციამ მოსალოდნელი შედეგები ვერ მოგვცა, პირიქით, კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა. პრივატიზაციის შემდეგ საწარმოთა ვერც ერთმა მეპატრონემ ვერ შეძლო საწარმოების და აგროკომპლექსის სრულყოფილად ამუშავება, ჩაის ნედლეულის წარმოება, ხარისხიანი პროდუქციის გამოშვება-რეალიზაცია, საკრედიტო დავალიანებების დაფარვა და მოსახლეობის დასაქმება.**

მაინც რატომ უნდა აღვადგინოთ ჩაის კულტურა და რა უპირატესობა აქვს მას:

**1.** რაც ზემოთ მოგახსენეთ მისგან მთავარია მოსალოდნელი შემოსავალი და ადამიანთა დასაქმება და ისიც, რომ იგი ჩვენში უალტერნატივო კულტურაა;

**2**. ჩვენთან ჩაისთვის ძირითადი ტიპიური ნიადაგებია, რომელიც სხვა კულტურისათვის არ არის პერსპექტიული ნიადაგების მაღალი მჟავიანობის გამო;

**3.** მზიანი დღეები, ნალექები, ნიადაგობრივი შემადგენლობა აკმაყოფილებს ჩაის ნაზი ყლორტების წარმოქმნას და მასში არომატული ნივთიერებების გენერაციას, რის გამოც ქართული ჩაი სხვებისაგან გამორჩეულია.

**4.** გვყავს ჩაის დარგის სპეციალისტები, მუშახელი, არსებობს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები მაღალკვალიფიციური პოტენციალით;

**5.** გვაქვს ჩაის ბუჩქის უხვმოსავლიანი სელექციური ჯიშები, მაღალი ბიოქიმიური და ტექნოლოგიური პოტენციალით;

**6.** ჩაის პლანტაციები უდიდეს როლს ასრულებს ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის საქმეში და მნიშვნელოვანია ეკოლოგიური თვალსაზრისითაც. ამასთანავე, 18-20%-ით დაბალია რადიაციული ფონი სხვა ქვეყნებთან შედარებით;

**7.** ქართველი მეცნიერების მიერ შემუშავებულია და დანერგილია ჩაის კულტურის გაშენების, მოვლა-მოყვანის, კრეფის, ტრანსპორტირების, კომპლექსური მექანიზაციის გადამუშავების და რეალიზაციის ტექნოლოგიები;

სანამ არ გადაშენებულა ჩაის კულტურა, მეჩაიეობაში მდგომარეობის სასიკეთოდ შემობრუნება ნაწილობრივ შეიძლება, რისთვისაც აუცილებელია:

**1.** საქართველოს მთავრობამ ვენახთან ერთად ჩაის მიმართ გამოხატოს სახელმწიფოს პოზიცია და იგი მეჩაიეობის რაიონებისათვის პრიორიტეტულ დარგად აღიაროს;

**2.** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განკარგულებით, საკუთრების მიუხედავად, ჩატარდეს არსებული ჩაის პლანტაციებისა და გადამამუშავებელი საწარმოების აღწერა-ინვენტარიზაცია; დადგინდეს ფოთოლსაკრეფი, პერსპექტიული და უპერსპექტივო ჩაის პლანტაციები. უპერსპექტივოები ჩამოიწეროს და გამოთავისუფლებული ფართობები გაკულტურების შემდეგ გამოყენებულ იქნას ახალი პლანტაციების გასაშენებლად. ანალოგიურად დადგინდეს ჩაის ფაბრიკების ვარგისიანობა.

**3.** ჩაის პლანტაციებში მესაკუთრეებმა უზრუნველყონ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, მისი მხოლოდ დანიშნულებით გამოყენება და ამიერიდან აიკრძალოს ჩაის პლანტაციების უნებართვოდ ამოძირკვა-განადგურება;

**4.** პერსპექტიული ჩაის პლანტაციების მესაკუთრეებისა და ჩაის გადამამუშავებელ საწარმოების მიმართ გაწეული იქნას ფინანსური დახმარება ან გაიცეს შეღევათიანი კრედიტები ჩაის პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციისა და მხოლოდ ხარისხიანი ნედლეულის დამზადების მიზნით.

**5.** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჩაის მწარმოებელ და გადამამუშავებელ საწარმოებს გაუწიოს დახმარება პროდუქციის რეალიზაციისა და სათანადო ბაზრის მოძიების მიზნით. პარალელურად განახორციელოს ღონისძიება ქვეყნის მოსახლეობის, ჯარის ნაწილების, სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამამულო ჩაით მომარაგებისთვის. აიკრძალოს ან შეიზღუდოს საზღვარგარეთიდან დაბალხარისხიანი ჩაის პროდუქციის იმპორტი მასზე საბაჟო გადასახადების გაზრდით, როგორც ეს მეზობელ სახელმწიფოებშია;

**6.** საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მისი გეოგრაფიული სიახლოვე ჩაის არამწარმოებელ ქვეყნებთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩაის წარმოების გასავითარებლად.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ სუბტროპიკული ზონის კოპერატივები და ფერმერული მეურნეობები დაკავებული იყვნენ მონოკულტურით. ჩაიმ და ციტრუსებმა უნდა დაიკავონ პრიორიტეტული ადგილი. ეს დასაბუთებულია იმით, რომ აღნიშნული კულტურების პროდუქციაზე ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება ბაზრის მოთხოვნა, რაც ფერმერებს მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის საშუალებას მისცემს.

**თამაზ ცანავა,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**
**ვაჟა ფიფია,**
**ლიცენზირებული ქსპერტი სოფლის მეურნეობაში**

**ქაცვი ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო კენკრაა, რომელიც სამკურნალო თვისებებითაა დაჯილდოებული. Qქაცვის ნაყოფი მდიდარია პოლივიტამინებით. დიდი რაოდებითაა მასში შაქარი ( 4-7%), ორგანული მჟავები (2,6%), ვიტამინები— B1, B2, C, A, E, P, კაროტინი, თიამინი, რიბოფლავინი, ასევეა მდიდარი ვიტამინებით ქაცვის თესლი. Nნაყოფის რბილობი შეიცავს 8%-მდე ცხიმოვან ზეთს. თესლებში მისი შემცველობა 12%-მდეა. ქაცვის ქერქში ნაპოვნია სეროტონინი, რომელზეც წარმოებს ცდები, როგორც სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალებაზე. ხალხურ მედიცინაში ქაცვი გამოიყენება სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.**

ფერმერის სკოლა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

# ქაცვის კულტურა, ნერგის წარმოება, გაშენება და მოვლა

**ქაცვი ეკუთვნის ფშატისებრთა (Elaeagnaceae ) ოჯახს. იგი ორბინიანი და ცალსქესიანი, ქარით დასამტვრიანებელი მრავალწლოვანი მცენარეა. ქაცვი ხშირტოტებიანი, ეკლიანი ბუჩქი ან მცირე ზომის ხეა, რომლის სიმაღლე 1,5–6 მეტრია. მისთვის დამახასიათებელია დატოტვილი გაშლილი ვარჯი.**

ქაცვის შესწავლა და მისი გაკულტურება დაიწყო 1934 წლიდან **მ. ა. ლისავენკოს** მიერ. ციმბირის მეხილეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შესწავლილი და გამოყვანილია ქაცვის 18-მდე ჯიში, რომელთაგან წარმოებაში დანერგილია სიმწიფის სხვადასხვა პერიოდის რამდენიმე ჯიში. საქართველოს პირობებისთვის პერსპექტიულია: საადრეო ჯიშებიდან — ჩუისკაია და პრევოსხოდნაია, ხოლო საგვიანოდან — სიბირსკაია, იანტარნაია და ზოლოტისტაია სიბირ.

ქაცვი გავრცელებულია ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, აზიაში. საქართველოში იგი თითქმის ყველგან გვხვდება: ზღვის დონიდან 2000-2200 მ სიმაღლემდე – გურიაში, რაჭაში, ქართლში, კახეთში, ხევსურეთში, შატილში, ყაზბეგში, გარე კახეთში, არღუნის ხეობაში, თრუსოს ჭალებში; განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული რიონისა და ცხენისწყლის ხეობებში; იზრდება მდინარის ნაპირებზე, ნესტიან ადგილებში, მთის მშრალ ფერდობებზე, სადაც ხშირად ქმნის ძნელად მისადგომ აღმონაცენს. რაც უფრო მოყინული იქნება ყაზბეგური ქაცვი, მით უფრო გემრიელი წვენი გამოდის, ამზადებენ კახეთის ქარხანაში, გააქვთ გერმანიასა და საფრანგეთში; ამ ქვეყნებში კი ნატურალურობისა და დამახასიათებელი გემოს გამო ყაზბეგის ქაცვზე მოთხოვნა იზრდება.

ბუნებაში ქაცვს შემცირების ტენდენცია ახასიათებს. ქაცვის ნაყოფის შეგროვებისას ხშირად მცენარე იმ ზომამდე ზიანდება, რომ იგი კნინდება. დღეს ქაცვი წითელ წიგნშია შეტანილი.

დაქანებულ ადგილებზე ქაცვის გაშენება კარგი საშუალებაა ნიადაგის ეროზიისაგან დასაცავად. მართალია, მისი ფესვები ნიადაგის სიღრმეში არ მიდის, მაგრამ კორომში, ზედაპირთან ახლოს ქმნის ფესვთა „ბადეს“, რომელიც ნიადაგს იცავს ეროზიისგან.

## ქიმიური შემადგენლობა და გამოყენება

ქაცვი ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო კენკრაა, რომელიც სამკურნალო თვისებებითაა დაჯილდოებული. ქაცვის ნაყოფი მდიდარია პოლივიტამინებით. დიდი რაოდებითაა მასში შაქარი ( 4-7%), ორგანული მჟავები (2,6%), ვიტამინები- B1, B2, C, A, E, P, კაროტინი, თიამინი, რიბოფლავინი, ასევეა მდიდარი ვიტამინებით ქაცვის თესლი. ნაყოფის რბილობი შეიცავს 8%-მდე ცხიმოვან ზეთს. თესლებში მისი შემცველობა 12%-მდეა. ქაცვის ქერქში ნაპოვნია სეროტონინი, რომელზეც წარმოებს ცდები, როგორც სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალებაზე. ხალხურ მედიცინაში ქაცვი გამოიყენება სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

ქაცვის ნაყოფისგან ამზადებენ ზეთს. ქაცვის ზეთი წარმოადგენს ღია ნარინჯისფერ გამჭვირალე სითხეს დამახასიათებელი სუნითა და გემოთი. **ქაცვის ზეთი ხელს უწყობს ეპითელიზაციას და ჭრილობების შეხორცებას, გააჩნია ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება, ამიტომაც ქაცვის ზეთი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დაავადებების დროს. მის სახვევებს იყენებენ დამწვრობისას, ნაწოლებზე, კანის სხივური დაზიანების დროს. ქაცვის ზეთი გამოიყენება პირის ღრუს დაზიანების, ნახეთქების, ეროზიების და კანის ზედაპირის სხვა დაზიანების დროს. გარდა გარეგანი ფორმებისა, ქაცვის ზეთი გამოიყენება შიგნით მისაღებადაც წყლულოვანი დაავადებების დროს.**

**ქაცვის ნედლი ნაყოფი და წვენი ხასიათდება ბაქტერიოციდული მოქმედებით.** იგი ასტიმულირებს საჭმლის მონელებას. რეკომენდირებულია უმი ნაყოფისა და წვენის გამოყენება კუჭის წვენის დაქვეითებული მჟავიანობისას; გამოიყენება ასევე ტოქსიკური ჰეპატიტის კომპლექსურ მკურნალობაში და, როგორც ვიტამინების ბუნებრივი წყარო.

**ქაცვის ნაყოფი შეიცავს ბეტა-სიტოსტერინს**, რომელიც ანტისკლეროზულ ზემოქმედებას ახდენს და მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც პროფილაქტიკის მიზნით, ისე ათეროსკლეროზისა და ასაკობრივი ცვლილებებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობაში.



**ქაცვის ნედლი ნაყოფი და წვენი ხასიათდება ბაქტერიოციდული მოქმედებით. იგი ასტიმულირებს საჭმლის მონელებას. რეკომენდირებულია უმი ნაყოფისა და წვენის გამოყენება კუჭის წვენის დაქვეითებული მჟავიანობისას**

## ნერგის წარმოება

ქაცვი ძირითადად მრავლდება მწვანე ყლორტის და ერთწლიანი ტოტის დაფესვიანებით. მწვანე ყლორტის მისაღებად ეწყობა სადედე ნაკვეთები. გასაშენებლად თხრიან 30-40 სმ სიღრმის ორმოს და მასში რგავენ წინასწარ დაფესვიანებულ ნერგს. დარგვის სქემა 0,3X0,7მ კვების არით. ერთი ჰექტარი სადედედან შეიძლება მიღებულ იქნეს 500-600 ათასი ყლორტი. ყლორტის აჭრა იწყება დარგვიდან მეორე-მესამე წელს. კარგი მოვლის პირობებში ყლორტი შეიძლება აიჭრას 25-30 დღის ინტერვალით 2-3-ჯერ.

მწვანე ყლორტის დასაფესვიანებლად წინასწარ მზადდება საზაფხულო სათბური — რკინის გისოსებიან ჩარჩოზე პოლიეთილენის აფსკით გადახურული. სათბურში გაყვანილი უნდა იქნეს წყლის მილები, რომლებზეც მაგრდება წყლის გამფრქვევი ბუნიკები ისე, რომ დროგამოშვებით ხდებოდეს სათბურის წყლის ბურუსით დატენიანება. ივნის-ივლისში სადედე ხეებიდან მაკრატლით ჭრიან 18-20 სმ სიგრძის მწვანე ყლორტს. ყლორტს ძირის მხარეს აცლიან 4-5 ცალ ფოთოლს, კრავენ 50-50 ცალიან კონებად და ათავსებენ ზრდის რეგულატორის ხსნარში 14-16 საათის განმავლობაში. შემდეგ გადააქვთ სათბურში წინასწარ მომზადებულ კვლებში. ირგვება 3-4 სმ სიღრმეზე 7X3 სმ დაშორებით. ასეთი წესით მოწყობილ სათბურში ყლორტები ფესვიანდება 10-12 დღის განმავლობაში. 1-1,5 თვის შემდეგ პოლიეთილენის აფსკი იხსნება და ხდება დაფესვიანებული ნერგის გაკაჟება. ასეთ პირობებში რჩება შემოდგომამდე ან ადრე გაზაფხულამდე. შემოდგომით გადააქვთ სანერგეში; სანერგეში დარგვა წარმოებს წინასწარ მომზადებულ ბაზოებზე ხელით ან ჩითილის სარგავი მანქანით 0,7X0,15 მ კვების არით. ერთი სავეგეტაციო პერიოდის გავლის შემდეგ კარგად განვითარებული სარგავი მასალა უკვე მზად არის სარეალიზაციოდ.





## გაშენება და მოვლა

ქაცვის გასაშენებლად შერჩეული ნიადაგი უნდა იყოს მსუბუქი მექანიკური შედგენილობის, სარწყავი, გრუნტის წყალი არ უნდა იყოს 50 სმ-ზე ახლოს. დარგვის წინ ნიადაგი იხვნება ღრმად (40-50სმ), მოხვნის წინ შეაქვთ სუპერფოსფატი (6-8 ცენტნერი ჰექტარზე). დარგვა შეიძლება როგორც შემოდგომაზე, ისე ადრე გაზაფხულზე (კვირტების დაბერვამდე). Dდარგვა უკეთესია 4X2 მ კვების არეზე. რადგან ჯვარედინ დასამტვერიანებელია: დარგვის დროს ყოველ მეოთხე რიგში მეხუთე მცენარედ უნდა დაირგას მამრობითი სქესის მატარებელი ნერგი, ისე, რომ გამანაყოფიერებელ მცენარეთა რაოდენობა 6-7% იყოს. დამტვერვა კარგად მიმდინარეობს, როდესაც დაცილება 10 მეტრია.

დარგვის შემდეგ ნიადაგი ღრმად არ უნდა დამუშავდეს. რიგთაშორისში მისი სიღრმე არ უნდა აღემატებოდეს 15 სმ-ს, ხოლო მცენარესთან ახლოს — 4-5 სმ-ს, მორწყვისთვის საჭიროა 500–600 მ3 წყალი ჰექტარზე.

მორწყვის შემდეგ ნიადაგი უნდა გაფხვიერდეს კულტივატორით 8—10 სმ სიღრმეზე.

## მოსავლის აღება

ქაცვის ნაყოფის კრეფა შრომატევადი სამუშაოა. მუშის დღიური ნორმა 13—15 კგ-ია, 100—120 ცენტნერი მოსავლის მიღების შემთხვევაში საჭიროა 600-800 კაცდღე. მოსავლის რაოდენობა კვლევითი ინსტიტუტების ბაზებზე აღწევს 200—250 ც /ჰექტარზე. მეურნეობაში კი — 80—100 ც/ჰექტარზე. ამის გამო ქაცვის წარმოება მეურნეობისათვის ყოველთვის მომგებიანია.

ნაყოფის კრეფის ასეთი სირთულის გამო უაღრესად მნიშვნელოვანია მოსავლის აღების მექანიზაცია. დღეს პრაქტიკულად ქაცვის ნაყოფის საკრეფად გამოყენებულია ჩვეულებრივი, 3—4 მმ დიამეტრის მავთულისგან დამზადებული მოწყობილობა (საკეცის მაგვარი). Mმკრეფავი ცალი ხელით იკავებს ქაცვის ნაყოფიან ტოტს, ხოლო, მეორე ხელით ამ მოწყობილობით აცლის ტოტს ნაყოფებს და ყრის სპეციალურ ყუთში. ასეთი წესით მოსავლის აღება გაადვილებულია, მაგრამ იწვევს სანაყოფე ტოტების დაზიანებას და მომავალი წლის მოსავლიანობის შემცირებას. ციმბირის ინსტიტუტში ქაცვის მოსავლის ამღები მანქანა უკვე შექმნილია და სასიგნალო ეგზემპლარი დამზადებულია, რომელიც მუშაობს ვიბრაციის პრინციპით.

**იუზა ვასაძე**,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;
**ნუგზარ შენგელია**,
**ნანა მიროტაძე**,
**იოსებ ბასილია**,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები

# უკრაინა პირველ ადგილზეა კორუმპირებულ სახელმწიფოთა შორის

**ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, ინდოეთისა და აფრიკის 41 სახელმწიფოს შორის კორუმპირებულობის მიხედვით, Ernst & Yourg აუდიტორული კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით, პირველ ადგილზე უკრაინა დასახელდა.**

## უკრაინა ფინანსურ ვალდებულებათა ბადეში ისეა მოქცეული, როგორც ოქროს თევზი, რომელმაც მებადურს ყველა სურვილი უნდა შეუსრულოს



ქრთამის საშუალო ოდენობამ მიმდინარე წელს, **ტელეარხ „გრომადსკის“** მიხედვით, დაახლოებით 1,4 ათასი ევრო შეადგინა, რაც საშუალო ხელფასს ხუთჯერ აღემატება.

კორუფცია გავრცელებულია პრაქტიკულად ყველა სფეროში — უწყებათაშორისი კორუფციით დაწყებული, უნივერსიტეტებით, საგადასახადო ორგანოებითა და სასამართლოებით დამთავრებული. უფრო მეტიც, აშშ-ში მიიჩნევენ, რომ კორუფციამ უკრაინაში ბირთვულ დარგშიც კი შეაღწია. აშშ-ის პრესა წერს, ასეთ სერიოზულ დარგში რომ მექრთამეობა შეიძლება გახდეს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის მსგავსი კატასტროფა.

„პრობლემები, რომლებიც უკრაინის ატომურ ენერგეტიკაში წარმოიქმნა, მრავალწახნაგოვანია, მაგრამ მათ შორის მთავარი არის კორუფცია, რომელიც ბადებს უპასუხისმგებლობასა და უდარდელობას კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურაში“, — წერს **„ვაშინგტონ თაიმსი“.**

ნუ წარმოიდგენენ ჩვენი მკითხველები ისე, თითქოს ახლახან გაჩნდა ეს პრობლემა ამ ქვეყანაში. რა თქმა უნდა, არა. კორუფციის დონის შესამცირებლად დონორ ქვეყნებს ადრეც არაერთხელ გამოუყვიათ ათობით მილიონი დოლარი, კორუფცია კი არა თუ არ კლებულობს, არამედ უფრო ვრცელდება.

**კორუფციას და ხელისუფლების გაუმჭვირვალობას წლების განმავლობაში ებრძვიან ევროკავშირიც, დიდი ბრიტანეთიც, კანადაც და ამერიკის შეერთებული შტატებიც, მაგრამ მათ მიერ უკრაინისთვის გამოყოფილი სახსრები უფრო ჰგავს მექრთამეობის ხანძრისთვის შეკეთებულ მუგუზალს, ვიდრე ხანძარზე მიშვებულ წყლის ჭავლს.**

ანალიტიკურ წერილში, რომელიც სოციალურ ქსელებში ახლახან გამოქვეყნდა, ჟურნალისტი **დიანა ოვსეპიანი** საინტერესოდ მიმოიხილავს უკრაინისა და დასავლეთის წამყვანი ქვეყნების ურთიერთობას ამ კუთხით.

ასე, მაგალითად, **სულ რამდენიმე თვის წინათ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 800 ათასი დოლარი გამოუყო უკრაინის საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მასმედიას ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გასაკონტროლებლად. შემდეგ დამატებით გაიღო 20 მილიონი დოლარი კიევის ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ორგანიზების, მოქალაქეთა მიერ მოხელეების საქმიანობის გაკონტროლებისა და ქვეყნის კანონმდებლობის ევროპული სტანდარტების დონემდე ასამაღლებლად. გასულ თვეში ამავე მიზნების განსახორციელებლად უკრაინას კიდევ 54 მილიონი დოლარი უბოძეს.**

შედეგი?!

„არც თეთრი სახლი, არც სახელმწიფო დეპარტამენტი არ იტყობინება, სად მიედინება ამერიკელ გადამხდელთა მილიონობით დოლარი და რა შედეგებს მიაღწია ვაშინგტონმა კიევში“, — აღნიშნულია პუბლიკაციაში.

ესენი დუმან, პრეზიდენტი **პოროშენკო** კი არ მალავს უკმაყოფილებას თავის ქვეყანაში მიმდინარე ანტიკორუფციული საქმიანობით.

**ევროპის აუდიტორთა სასამართლოს** მონაცემებით, 2007-დან 2015 წლებში **ევროკავშირმა** ამ ქვეყნის ხელისუფლებას 1,6 მილიარდი ევრო გამოუყო გრანტების სახით, 3,4 მილიარდი ასესხა. ამ სასამართლოს დასკვნით, ევროკავშირის მიერ გაღებული ფული უეფექტოდ იხარჯება, უკრაინა ევროპაში ყველაზე კორუმპირებულ ქვეყნად რჩება. „შედეგები არამდგრადია“, — ხაზს უსვამენ აუდიტორები.

უცნაური ლოგიკაა: აღიარებენ, რომ ფული წყალს მიაქვს და განაგრძობენ დაფინანსებას: აპრილის დასაწყისში უკრაინა ევროკავშირმა 600-მილიონი ევროთი დააფინანსა. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა კი 3 აპრილს 1 მილიარდი დოლარის ტრანში მიართვა ეკონომიკური რეფორმების განსახორციელებლად.

**ფინანსური დახმარების საერთო ოდენობა 8.4 მილიარდი დოლარია.**

აშშ-ის დოლარების საბეჭდი დაზგა გამართულად მუშაობს.

იქით **კანადამ** გამოიღო ხელი: ოტავამ უკრაინის დემოკრატიზაციის პროგრამა აამოქმედა და მზად არის, 19 მილიონი დოლარი გაიღოს ამ კეთილშობილი მიზნის მისაღწევად. ამ ფულით, როგორც განცხადებულია, შეიქმნება ღია მთავრობა, რომელმაც ქვეყანაში კორუფციის დონე უნდა შეამციროს.

ოტავა კიევში ფედერალური ექსპერტებისა და მოხელეების გაგზავნას აპირებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა და პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა.

**დანიაც** კი თავს ევლება უკრაინას. 2015 წლიდან აამოქმედა პროგრამა უკრაინაში ანტიკორუფციული საქმიანობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებათა დასაფინანსებლად. ამ მიზნისთვის გამოყოფილი აქვს 10 მილიონი დოლარი, გასულ თვეში 65 მილიონიც დაუმატა.

მოკლედ, უკრაინა ფინანსურ ვალდებულებათა ბადეში ისეა მოქცეული, როგორც ოქროს თევზი, რომელმაც მებადურს ყველა სურვილი უნდა შეუსრულოს.

**P.S. სახელმწიფო დაფინანსების გაუმჭვირვალობისა და კორუფციის პრობლემებმა კიევში „ევროვიზიის“ კონკურსის ორგანიზების პროცესშიც იჩინა თავი.**

**უკრაინის ეროვნული ტელეკომპანიის გადამდგარმა დირექტორმა ზურაბ ალასანიამ განაცხადა, რომ მის მიერ თანამდებობის დატოვების ერთ-ერთი მიზეზი ქვეყანაში სიმღერის კონკურსის ლეგალური და გამჭვირვალე გზის არარსებობა იყო. „ევროვიზიისთვის“ მომზადების პროცესში, როგორც მან თქვა, თავი იჩინა თანმდევმა ხარჯებმა „ათობით მილიონი ევროს ოდენობით“.**

# ტრამპის თანაშემწეემ «ვაშინგტონ პოსტის» სტატიას სიცრუე უწოდა



**თეთრი სახლი „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს სრულიად საიდუმლო ინფორმაცია გაუზიარა.**

**„დღევანდელი ისტორია, როგორც არის ის გადმოცემული, სიცრუეა“,** — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში — **ჰერბერტ მაკმასტერმა**, რომელიც ტრამპისა და ლავროვის შეხვედრას ესწრებოდა.

„პრეზიდენტმა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საერთო საფრთხეები განიხილეს, რომლებიც ტერორისტული ორგანიზაციებისგან მოდის. პრეზიდენტს არ განუხილავს დაზვერვის წყაროები ან მეთოდები, არ გაუსაჯაროებია ინფორმაცია სამხედრო ოპერაციების შესახებ“, — აღნიშნა მაკმასტერმა.

ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ აშშ-ის ადმინისტრაციაში წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, შესაძლოა, სრულიად საიდუმლო ინფორმაცია გაუზიარა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს და აშშ-ში რუსეთის ელჩ სერგეი კისლიაკს თეთრ სახლში გამართულ შეხვედრაზე.

გაზეთის ინფორმაციით, „ტრამპის მიერ ამ მონაცემების გასაჯაროებამ საფრთხე შეუქმნა აშშ-ის სადაზვერვო სამსახურის მნიშვნელოვან წყაროს, რომელიც ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ შესახებ ინფორმაციას მოიპოვებს.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


# ანზორ მაისურაძე 80

**„საქართველო და მსოფლიოს“ ერთგული მკითხველი და უშიშროების საკითხებში უცვლელი რესპონდენტი, ჩვენი ნამდვილი მეგობარი და ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე 80 წლის გახდა.**



ბატონი ანზორი წლების განმავლობაში თანამშრომლობს ჩვენს გაზეთთან. მისთვის ჩამორთმეულ ინტერვიუებში, რომლებიც ქვეყანაში არსებულ პრობლემებს შეეხება, მკითხველი საზოგადოება ყოველთვის პოულობს სრულ და ამომწურავ პასუხებს ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის პრობლემურ საკითხებზე. მისი ანალიტიკა ყოველთვის გამოირჩევა ობიექტური მიდგომითა და მაღალი პროფესიონალიზმით. მისი მსჯელობა გულწრფელია, ხოლო დასკვნები საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისკენა დახალხის კეთილდღეობისკენაა მიმართული.

ვულოცავთ ბატონ ანზორს სახელოვან იუბილეს, ვუსურვებთ ურყევ ჯანმრთელობას, ბედნიერებას მას და მის ოჯახს მრავალჟამიერ!

კვლავაც გვეთანამშრომლოს!

უღრმესი პატივისცემით,
გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“
ჟურნალისტები


საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894